

ქეთევან ბარბაქაძე

ზეპირსიტყვიერების სწავლების საკითხები ქართულ
კვლავობიკურსა და მეთოდოლოგიურ აზროვნებაში
(XIX საუკუნის 60-იანი და XX საუკუნის 50-იანი წლები)

თბილისი 2008

რედაქტორი:

პროფესორი ამირან არაგული

რეცენზენტები:

პროფესორი მარია ნინიძე
პროფესორი თამარ გობოლაძე

შესავალი

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიულ მშენებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხალხის ერთიან ნებას, ურთიერთთანადგომასა და სულიერებას. ქართველი ხალხის გაუხუნარი სულიერი მესხიერება, რომელიც ზეპირსიტყვიერებაშია გამოხატული დაუშრეტელი პატრიოტიზმით, შრომის სიყვარულით, გმირობითა და თავდადებით, და, რაც მეტად საყურადღებოა, თანამედროვე თვალთახედვით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით, უაღრესად მნიშვნელოვანია დღესაც.

მეორე მხრივ, ხალხის ზეპირსიტყვიერ სიბრძნესა და მრავალსაუკუნოვან ცხოვრების ყოფაში დაუნჯებულ ამ ძველთაძველ საგანძურს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის სწავლებისა და ჰარმონიული აღზრდისათვის.

მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალის შესწავლით ირკვევა, რომ კოლექტიურ შემოქმედს თავდაპირველად კარგად შეუნიშნავს თავისი სულიერების ეს სპეციფიკური მნიშვნელობა და მისი განხორციელებისათვის გარკვეული ხალხური დიდაქტიკური მოთხოვნებიც დაუწესებია. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ის დიდაქტიკური ტერმინოლოგიაც, რომელიც შეინიშნება მდიდარ ქართულ ფოლკლორულ მასალაში.

ზეპირსიტყვიერების საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ამოცანების მეცნიერული შესწავლა საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

„სამოციანი წლების რეფორმათა ხანაში მეფის მთავრობა ... იძულებული გახდა გაემრავლებინა საშუალო სკოლების, (გიმნაზიების, რეალური და სასულიერო სასწავლებლების რიცხვი) და დაბალი წოდების ბავშვებისათვისაც გაეხსნა დაწყებითი სკოლები, რომელსაც „სახალხო სკოლა“ უწოდეს.

ქართველმა გლეხობამ სცადა ფართოდ გამოეყენებინა სწავლის უფლება და ენერგიულად შეუდგა სკოლების გახსნას. 60-70-იან წლებში სახალხო დაწყებითი

სკოლების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა.¹

მეტიც: „XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების საქმე მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდა და 90-იანი წლების ბოლოს წერა-კითხვის მეცადინეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში“.²

ამ პერიოდში სასწავლო-საგანმანათლებლო საქმის გაუმჯობესებასთან ერთად გარკვეულ წილად ვითარდება სკოლებში ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ზეპირსიტყვიერების სწავლებაც. ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიურად და პედაგოგიკურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის გუნდისა და, განსაკუთრებით, იაკობ გოგებაშვილის ნაყოფიერ მოღვაწეობას. შეიქმნა ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. იაკობ გოგებაშვილს საშვილიშვილო საქმეში მხარი აუბეს შემოქმედმა პედაგოგებმა: ნიკო ცხვედაძემ, ლუარსაბ ბოცვაძემ, ნიკო ჯანაშიამ, ვასილ ბარნოვმა, ალექსი ჭინჭარაძემ, ივანე როსტომაშვილმა და სხვ.

შემუშავდა სასწავლო პროგრამები, სადაც გათვალისწინებული იყო ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლებაც. ნოვატორმა პედაგოგებმა დაწერეს სასწავლო სახელმძღვანელოებიც ზეპირსიტყვიერების სწავლებასთან დაკავშირებით, და რაც მთავარია, შეიქმნა ჯეროვანი მეთოდიკური ნააზრევიც ხალხური საუნჯის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

აღებულ პერიოდში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, იაკობ გოგებაშვილის მოძღვრების ერთგული მიმდევრის, ლუარსაბ ბოცვაძის სრულიად ახალი პედაგოგიკური შეხედულებები სასწავლო პროცესის ევროპული და ამერიკული ინოვაციური ტექნოლოგიების მიხედვით განსახორციელებლად.

როგორც ირკვევა, ლუარსაბ ბოცვაძის მოსაზრებებს, რომელიც 87 წლის წინათ აისახა სასწავლო პროგრამაში, გარკვეულად მხარი დაუჭირეს ისეთმა შემოქმედმა პედაგოგებმა, როგორებიც იყვნენ: ვ. ბარნოვი, მ. კელენჯერიძე, ვ. ხუროძე და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ლუარსაბ ბოცვაძის ეს ახალი პედაგოგიკური იდეები, რომელიც ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა ზეპირსიტყვიერების სწავლების გაუმჯობესებასაც, იმდროინდელ საქართველოში არსებული სოციალური და უფრო მეტად, კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო სისტემად ვერ ჩამოყალიბდა.

¹ ნ. ბერძენიშვილი, მ. ღონდუა და სხვები „საქართველოს ისტორია“, I, თბ., 1958, გვ. 581-582.

² იქვე.

ქართველ ხალხს, როგორც ირკვევა, უძველესი დროიდან სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზეპირსიტყვიერება ჯეროვნად გამოუყენებია მომავალი თაობის აღზრდისათვის, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ მონოგრაფიულად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი ჩვენი სულიერების ამ ძვირფასი საუნჯის სწავლების საკითხი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილი ფოლკლორისტის ქს. სიხარულიძის ერთადერთ მეთოდურ ნაშრომს „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში“, 1941). თუმცა, რასაკვირველია, იყო არაერთი ცდა ამ დარგის ცალკეული საკითხების შესწავლისა ქართულ მეთოდურ აზროვნებაში (მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ანტ. ხინთიბიძე, თ. ქურდოვანიძე და სხვ).

რამდენადაც ზეპირსიტყვიერების სწავლება სკოლაში და მეთოდური რეკომენდაციების ისტორიული გენეზისი სხვადასხვა ფოლკლორისტა და მეთოდისტა ნააზრევში შესწავლილია მხოლოდ მწირად და ფრაგმენტულად, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ამდენად, ჩვენ სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ მკვლევართა ნააზრევის მიმოხილვას გთავაზობთ სხვადასხვა თავებში.

დღეს კი არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. ახალი სასკოლო რეფორმა ითვალისწინებს ცალკეული დისციპლინების შემოქმედებითად ინტერაქტიული მეთოდით სწავლებას. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით შემოქმედ პედაგოგთა პრაქტიკულ გამოცდილებას ზეპირსიტყვიერების სწავლებისას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია ლუარსაბ ბოცვაძის, თითქმის ერთი საუკუნის წინადროული, ინოვაციური სწავლების იდეებს და მისი მიმდევრების კერძო მეთოდური შეხედულებების შესწავლას, ჩვენი აზრით, თანამედროვე პედაგოგიკური აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავი I. ეროვნული ზეპირსიტყვიერების უმეცნეობითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა

სულიერების ისეთი შთამბეჭდავი და უტყუარი წყარო, როგორც ფოლკლორია, ოდითგანვე კოლექტიური შემოქმედის – ხალხისგან იქმნებოდა და ხალხშივე ვრცელდებოდა. მართალია, მის შექმნაშიც მონაწილეობდა ინდივიდი, ავტორმთქმელი, მაგრამ საბოლოოდ იგი ხალხის კოლექტიური შემოქმედის ემბაზში იხვეწებოდა, ხალხისავე ინტელექტუალურსა თუ ესთეტიკურს მოთხოვნას აკმაყოფილებდა და ამგვარად წარმოიხინდებოდა გარკვეული ჟანრისა, თუ გვარის სახით, „რითაც ასე მდიდარია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება“.³

მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების სახეებს შორის ზეპირსიტყვიერება თავისი სპეციფიკითა და გენეზისით ყველაზე მასობრივი სულიერებაა. იგი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც გამჭვირვალედ მოჩანს სხვადასხვა ასაკისა და თაობების მიზნობრივი თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად. ასეთი შთამაგონებელი შრომა კი ვლინდება კოლექტიურობასა და მასობრიობაში, სათქმელის ზეპირი ფორმა განუმეორებელი მხატვრულობითა და ემოციურობით დღესაც დიდ მოწონებას იმსახურებს.

ერთი სიტყვით, ეროვნული ქართული ფოლკლორი ძალზე მდიდარი წყაროა ადამიანთა, კერძოდ, მოსწავლეთა შემეცნებითი და აღმზრდელობითი ინტერესების გასავეითარებლად და, მაშასადამე, მათი მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის. ასე რომ, ფოლკლორი ხალხის სპეციფიკური, მიზნობრივი შემოქმედებაა. მასში, ხალხის საუკუნეობრივი სინამდვილე „პლასტებად და პერიოდებად კი არ არის დალაგებული, – აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი, – ვთქვათ ლიტერატურისა და ხელოვნების მსგავსად, არამედ იმავდროულად, ერთიმეორის გვერდით განაგრძობს ზეპირ ბრუნვაში არსებობას. ჟანრები და მათი ნიმუშები არა მარტო წარმოქმნის დროით სცილდებიან ერთმანეთს, არამედ შინაარსით, მსოფლგაგებით“.⁴

ჩვენი პირველი ამოცანაა შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ხალხური სიტყვიერების არსი, თუ რა შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა გააჩნია მას დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი შეგნებული სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის

³ მ. ჩიქოვანი, „ქართ. ხალხური სიტყვიერების ისტორია“, I, თბ., 1975, გვ.7.

⁴ მ. ჩიქოვანი, „ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები“, თბ., 1986, გვ. 6-7.

აღსაზრდელად.

ამასთან, საკვლევი პრობლემის საფუძვლიანად განხილვამდე წინასწარ აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც ეროვნული ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს ხალხის სულიერების ნაწილს, და, იმავდროულად იგი წინ უსწრებდა დამწერლობამდელ მხატვრული ლიტერატურის წარმოშობას, რომლის წიადში თავდაპირველად აღნიშნულია საკითხავი მასალების დიდაქტიკური იდეები, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ზეპირსიტყვიერების სწავლებას, ისე როგორც მხატვრული ლიტერატურის სწავლებას, ერთი და იგივე ფუნქციები აქვს: კერძოდ, 1) შემეცნებითი, 2) ესთეტიკური და 3) აღმზრდელობითი.

მეტეც: ჩვენი სულიერების ამ ძველისძველ ნაკადებს შორის შეინიშნება დიდაქტიკური თვალსაზრისით ორი საყურადღებო პარალელიც: სახელდობრ, როგორც ძველი ქართული ლიტერატურული მასალების სასწავლო თვალსაზრისით გამოყენებისას სპეციალურ სკოლებში, ეკლესია-მონასტრებსა და შეძლებულ ოჯახებში, (სანამ მეცნიერული დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური მოძღვრება ცალკე დარგად ჩამოყალიბდებოდა), ერთვოდა მკითხველთა თუ მსმენელთათვის გარკვეული ცოდნის მისაღებად გათვალისწინებული გარკვეული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ასევე სასწავლოდ განკუთვნილ ზეპირსიტყვიერ მასალებშიც შეიმჩნევა საწყისის სახით მსმენელთათვის განკუთვნილი ზღაპრული თუ რეალური გმირული ამბების ადვილად გასაგებად დამხმარე დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციებიც.

და ეს არ არის მოულოდნელი, რამდენადაც „ფოლკლორის შემეცნებით მნიშვნელობაში იგულისხმება ის, რომ იგი ასახავს ცხოვრების რეალურ მოვლენებს და გვაძლევს ვრცელ ინფორმაციას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ.

ფოლკლორის იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საუკეთესო ნაწარმოებები შთაგონებულია პროგრესული იდეებით, სამშობლოს სიყვარულითა და მშვიდობისაკენ მისწრაფებით. ფოლკლორი გვაცნობს გმირებს, როგორც სამშობლოს დამცველებს და მათ მიმართ სიამაყის გრძნობას იწვევს”.⁵

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზეპირსიტყვიერების სწავლებას მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილებასთან ერთად მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებაც აქვს. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ზეპირსიტყვიერების სწავლებისას

⁵ Кравцов, Лазутин, „Русское устное народное творчество, 1983, ст. 19.

მოსწავლეთა შემეცნებითი იმპულსების გააზრება თავისთავად არის საფუძველი მათში ესთეტიკური გრძნობის წარმოშობა-განვითარებისათვისაც.

ზეპირსიტყვიერების შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ შეგნებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენს განმანათლებლებს. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის დაინტერესება ეროვნული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და მისი პრაქტიკულად სასწავლო-საგანმანათლებლო თვალსაზრისით გამოყენების შესახებ.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მიგვაჩნია მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ გაბრიელის ცნობილი დამოკიდებულება სოფელში მოსმენილი ზღაპრის ამბებთან დაკავშირებით. „...ყური ვუგდე და ის, რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც გამეგონა. არ ვიცი რად, გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. „დალახერა ღმერთმა, – წამოვიძახე უცებ, – ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?“⁶

ზღაპრის, როგორც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ჟანრის, დახასიათებისა და ღირებულების საჩვენებლად ილიამ მოიშველია ლიტერატურული მასალა. „საბა ორბელიანმა რომ თავის ზღაპრებში დაწერა, „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებულვარ ამ უცნაურ სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? ... მე ვფიქრობ, – განმარტავს ილია, – რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს – კი გამცნობო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა – მართალი, მაშასადამე, სიცრუე“.⁷

სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე-სიცრუის“-აში ზღაპრის, არაკისა და იგავის რაობის განხილვისას ილია წერს: „ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე – შიგ ჩასახული აზრია“.⁸

ილია ჭავჭავაძემ მოგვცა ქართული ზღაპრის ტრადიციული ფორმულის ანალიზიც: „ჩვენი ზღაპარი, – წერს იგი, – ტყუილად კი არ იწყება „იყო და არა იყო რა-თი“. „იყო“ შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა – კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული

⁶ ი. ჭავჭავაძე, რჩ. თხზ. ტ. II, „გლახის ნაამბობი“, თბ., 1974, გვ., 150.

⁷ მ. ჩიქოვანი, „ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები“, თბ., 1986, გვ., 171.

⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ. ტ. II, თბ., 1941, გვ., 280.

აზრი, იზიდავს ადამიანის გულის-ყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სწადის ხელოვნება”.⁹

ხალხური შემოქმედების აღმზრდელით მნიშვნელობასა და მის დიდ შთამაგონებელ ძალას ილია სხვა წერილებშიც ეხება. როგორც პროფ. ქს. სიხარულიძე შენიშნავს, „უაღრესად პატრიოტულ წერილში „ქვათა დაღადი“, რომელშიც საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და ენის საკითხები მაღალ, მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზეა აყვანილი”.¹⁰

ერის დიდი მედროშე მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებას. მისი შეხედულებით ხალხის ყოფის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე უნდა აიგოს ისტორია. აქვე, ილია იმასაც შენიშნავს, რომ ჩვენი „ქართლის – ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული”.¹¹

ხალხური სიტყვიერების სიბრძნის დიდი დამფასებელი, შემკრები და ქომაგი იყო ილიას თანამოსაყდრე – აკაკი წერეთელი.

„როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, აკაკი ყოველთვის უხვად სარგებლობდა იმ მოწინავე აზრებითა და სიბრძნით, რაც სამყაროს, წუთისოფლის, ბუნებისა და ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობის, ადამიანთა ყოფა-ცხოვრების – შრომისა და გამირობის, სიყვარულისა და სიძულვილის – შესახებ შეუქმნია და შემოუნახავს ხალხის კოლექტიურ გენიას...”¹²

აკაკი წერეთელი ზეპირსიტყვიერების შესაკრებად და ამ საუნჯის შესანარჩუნებლად თავის ანდერძში მოითხოვდა: „გვირგვინებით ნუ შემიმკობთ კუბოს. ვისაც გვირგვინის საყიდლად ფული ემეტება, ზეპირსიტყვიერების შეკრების საქმეს შესწიროსო, ამიტომ ყველამ, ვისაც სურს ამ მხრით პატივი სცეს საყვარელი მგონის სახელს, კომიტეტში ივ. სპ. ელიაშვილის სახელზე უნდა გაგზავნოს”¹³.

მგოსანს, როგორც ჩანს, აფიქრებდა ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა არ იყო დაინტერესებული ხალხური შემოქმედების შეკრებით, რასაც შესაძლოა მომავალში მისი უკვალოდ დაკარგვა მოჰყოლოდა. „ახალ-დგმას აღარ ეხალისება

⁹ იქვე, გვ., 280.

¹⁰ ქს. სიხარულიძე, „ქართ. მწერლები და ხალხური შემოქმედება”, თბ., 1956, გვ. 27.

¹¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 280-281.

¹² უ. ობოლაძე, „აკაკი და ახალგაზრდობა”, თბ., 1980, გვ., 176.

¹³ უ. „თეატრი და ცხოვრება”, 1915, №5, გვ., 16.

ეს ძველებური საზეპიროები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვთ ასეთი ძვირფასი განძი!...¹⁴ (ხაზგასმა ჩვენია - ქ.ბ.)

აკაკი წერეთელი ბავშვობიდანვე დაინტერესებულა ხალხური შემოქმედებით: „ჯერ კიდევ ოთხი წლისაც არ იყო, რომ ზღაპრებს გამალებით უგდებდა ყურს“.¹⁵

„მომავალმა მგოსანმა პოეტობა შინამსახურთა გაშიარებითა და ხალხური მხატვრული შემოქმედების ნიმუშთა გადამუშავებით დაიწყო“ – აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი.¹⁶

ხალხური სიტყვიერებით გატაცებას პოეტი ხანდაზმულობის უამსაც იხსენებს: „დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს...და დაგვევამდნენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშიარდებოდით ხოლმე ერთმანეთში ან გამოცანებს ვამბობდით“.¹⁷

ზეპირსიტყვიერების დიდი მოტრფიალე სიცოცხლის უკანასკნელ ხანს, 1913 წელს, თედო ჟორდანიას სწერდა: „ძნელ თედო...მეც ცოტაოდნად კიდევ ძველქართველად გაზრდილს, ეროვნული იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსე“- ო,¹⁸ ხალხური შემოქმედების ეს ძვირფასი ნიმუშები „არ ძველდება და ახლაც კიდევ ახალია“.¹⁹ „გამზრდელის“ ავტორის დიდი სურვილი იყო, ხალხი, კერძოდ კი ახალგაზრდობა, დაწაფებოდა ჯანსაღ ზეპირსიტყვიერებას, რადგან შეუმჩნევია მას, რომ ზოგიერთი მათ საკითხავად მდარე ხარისხის წიგნებს სთავაზობდა, ამის გამო 1876წ. გაზეთ „დროებაში“ (22 თებერვალი) წერდა: „ხალხმა გამოიღვიძა, იგი სულიერ საზრდოს მოითხოვს, მათში აღიძრა კითხვის სურვილი; ეს შენიშნეს ზოგიერთებმა და იწყეს სხვადასხვა წიგნების ბეჭდვა, მაგრამ მათ შინაარსს და დანიშნულებას არ უწევდნენ სათანადო ანგარიშს...“²⁰ ეს გარემოება პოეტს საგანგაშოდ მიაჩნდა და 1897 წელს წერილში „ზეპირსიტყვიერების გამო“ აღნიშნავს: „სიტყვიერება მრავალგვარია, მათ შორის ყველას არა აქვს საერო მნიშვნელობა, ზოგჯერ შიგა-და-შიგ ობროდობაც გამოერევა ხოლმე“.²¹

ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და მისი ზოგადდიდაქტიკური თვალსაზრისით

¹⁴ ზეპირსიტყვიერების გამო, „აკაკის კრებული“, 1897 №1, გვ.1.

¹⁵ „ივერია“, 1904, №181; ს. მერკვილაძე, აკაკის დის ანა წერეთლის ქალის გადმონაცემი.

¹⁶ მ. ჩიქოვანი, „ა. წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“, თბ., 1958, გვ. 6.

¹⁷ ა. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, ბათუმი, 1986, გვ. 36-37.

¹⁸ „თემი“, 1913, №130.

¹⁹ იქვე.

²⁰ უ. ობოლაძე, „აკაკი და ახალგაზრდობა“, გვ. 181.

²¹ „აკაკის კრებული“, 1897 №1.

გამოყენებისათვის აკაკი წერეთელმა დააარსა სპეციალური ორგანო „კრებული“ (რომელიც პირობითად შეიძლება იმ დროისათვის ქრესტომათიადაც მივიჩნიოთ). „გამოვა „კრებული“ სამი განყოფილებით, – აღნიშნავს მწერალი, – 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავგადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი...3-ში ზეპირი გადმონაცემები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტ მნიშვნელობას ვაძლევ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში”.²²

მომავალი თაობისათვის ზეპირსიტყვიერების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენებაზე მგოსანს ადრე დაუწყია ფიქრი. 1894წ. გაზეთ „ივერიაში“ (№66) იგი ბეჭდავს წერილს „ჩვენი დაუდევრობა“, რომელშიც აღნიშნავს: „ – ჩვენის წინაპრების ნაშრომ-ნაღვაწი, – გონებრივი ნაშთი, ისე გაქარ-წყალდა, რომ ძლივს ათასში ერთს, შემთხვევით სადმე შერჩენილს, აქა-იქ ვპოულობთ და ვაგროვებთ წერა-კითხვის საზოგადოების საწიგნეში, რომ დღეიდან მაინც არა დაეკარგოს – რა მომავალ თაობას“. აშკარაა, რომ აკაკი ცდილობდა ზეპირსიტყვიერებით, პირველ რიგში, მომავალი თაობა დაინტერესებულიყო.

ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა რომ დაეინტერესებინა, მგოსანი 1897წ. „კრებულის“ I ნომერში დაბეჭდილ წერილში „ზეპირსიტყვიერების გამო“, ხაზგასმით აღნიშნავს: „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებად. ჩვენი ქართული „ზეპირგადმონაცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ“. აქვე, აკაკი ქართველის ბუნებაზეც ამახვილებს ყურადღებას: „ქართველი საზოგადოთ ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია, ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშილოთ გადმოუცია საზეპიროებით.

ხალხური სიტყვიერების შეკრების მოწოდებით აკაკი არაერთხელ გამოსულა პრესაში. 1876 წელს („დროება“, №99) და შემდეგ წლებშიც – 1893, 1895, 1896 და ა.შ. საინტერესოა, რატომ ადგენს აკაკი შემკრებთათვის პროგრამას, როცა ის უკვე დიდი ხანია (1882წ) არსებობს. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს პროფ. თ. ჯაგოდნიშვილიც.²³ როგორც ჩანს, პოეტი უკმაყოფილო იყო ადრინდელი

²² ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, ა. წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე, თბ., 1989, გვ. 305.

²³ თ. ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, თბ., 2004, გვ. 570-571.

შემკრებლობითი მუშაობით. შესაძლოა, გარკვეული შენიშვნებიც ჰქონდა ძველ პროგრამაზე. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით აკაკის პროგრამაში გათვალისწინებული იყო ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების შეკრების აუცილებლობაც. რამეთუ, მგოსანს მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეფასებულიყო ქვეყანა: „ესეები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილად გვექნება გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით: გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, არხეოლოგიურად და სხვანი“.²⁴

აკაკი წერეთელი ხალხის, ახალგაზრდობის სულიერებისა და განსაკუთრებით კი მეტყველების გასამდიდრებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური სიტყვიერების ლექსიკური მასალების შესწავლას. 1898 წლის „კრებულში“ მე-11 წიგნში იგი წერდა: „აი ახლაც სოფლელებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე დავიწყებულნი მაქვს და ან არა მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის. როცა უცხო ენებიდან რასმე ვთარგმნით და სიტყვებს ველარა ვპოულობთ, ჩვენ ყოველთვის მითი ვმართულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბიაო და იმას კი არა ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი! ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არა ვართ, მათ სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ, ვიგონებთ, რაც მოგვადგება ენაზე და მორჩა, გათავდა...მეტი გზა აღარ არის, ზეპირსიტყვაობას უნდა მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ ისე კი უნდა ჩავწეროთ ხოლმე, როგორც თვითონ ხალხი ამბობს“.

სამწუხაროდ, აკაკის დიდად სასარგებლო ზოგადპედაგოგიკური და, რასაკვირველია, ლიტერატურათმცოდნეობითი იდეები იმდროინდელ ზოგიერთ პედაგოგს მართებულად არ გაუგია, მეტიც, შეკამათებია კიდევაც „გამზრდელის“ ავტორს „კრებულში“ ზეპირსიტყვიერების განყოფილების გამო: „მე, როგორც გამოცდილ პედაგოგს, – წერს ვითომდა „გამოცდილი“ პედაგოგი, – დამეჯერება, რომ თქვენი „ზეპირ-სიტყვაობის“ განყოფილება უადგილოა ჟურნალში. ჩვენ თქვენგან გამოსადვიძებელს რამეს ველოდით და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი ვერ გავიგონებდით? სოფლებში მაგის მეტი რაღა იცინან? აბა, რა დასაბუკდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავ-ბოლო რამ, როგორც „ბროწეულის წყაროა!“ – მაგ გვარი რამ ჩვენ ცოტა გაგვიგონია?!“²⁵

²⁴ „აკაკის კრებული“, 1897 №1.

²⁵ ა. წერეთელი, უბრალო საუბარი, „აკაკის კრებული“, 1897, №2.

აკაკი, როგორც ეს დიდ განმანათლებელს შეჰფერის, იძულებული გამხდარა ვითომდა „გამოცდილი“ პედაგოგი ამგვარად დაემოდღვრა: „ბატონო პედაგოგო! დიდად მოხარული ვართ, რომ ინსტიტუტი გაგითავებიათ და დიპლომიც ხელში გიჭირავთ!...მოგვილოცავს!...მაგრამ ეს ქალაქზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგჭირდებათ!...და ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერილი და ნურაფერს უკაცრავად, თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ...“

დარწმუნებული ვართ, რომ ზღაპრები ადრევეც გექნებოდათ გაგონილი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გაგონება და შეგნება სულ სხვადასხვა ზმნაა. ზღაპარი „ბროწეულის წყარო“ უთავოდ არ მოგეჩვენებოდათ, რომ სარკის წინ არ მდგარიყავით!...და რაც შეეხება დაძინებას, მთლი მოვიყვანოთ ყმაწვილები, ეგ „ბროწეულის წყარო“ წაუუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური ნაწერებიც და რომელმაც უფრო დააძინოს, ის დარჩეს გამტყუნებული!“²⁶ ვფიქრობთ, დიდი მგოსნის ეს მოსაზრება არავითარ კომენტარს არ საჭიროებს.

აკაკი წერეთელი ზოგიერთ უმეცარ მწერალსაც ურჩევს „ხალხის სიტყვა-პასუხისათვის“ ყურის დაგდებას. „ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავხედმა და უმეცარმა მწერლობამ ისე გარყვნა ენა, რომ დღეს ქართული ქართულს აღარ ჰგავს. მის ნაცვლათ, რომ ძველი წიგნები გადაიკითხოთ, ხალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ. სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკუღმართებენ“.²⁷

წერილის „კრებულის“ ფოსტიდან, რასაც აკაკი „უბრალო საუბარს“ უწოდებდა, ჩანს, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო მის მიმართ გამოთქმული კრიტიკა (რომელსაც, ეტყობა, იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეთანხმებოდა): „...კრებული“ უვარგისი, გამოუსადეგარი რამ არის: იქ არც სამეცნიერო და არც საფილოსოფიო არა მოიპოება რა, გარდა ყოველ დღიური და ჩვეულებრივი აჭია-ბაჭიისაო. ინტელიგენტისათვის მაგის ხელში აღება და წაკითხვა დროს დაკარგავაო“.²⁸ ამ „ვაიინტელიგენტისათვის“ მგოსანს შესანიშნავი პასუხი გაუცია: „მართლაც რომ ჩემ „კრებულში“ არც სამეცნიერო და არც

²⁶ „აკაკის კრებული“, 1897, №2.

²⁷ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. ტ. XIII, უბ. საუბარი, თბ., 1961, გვ., 342.

²⁸ უბრალო საუბარი, კრებულის ფოსტა [3], 1898, №8.

საფილოსოფიო არა არის რა. მე საზოგადოთ მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წვრთნის და მწერალი – კი მთელ ხალხს და არა თუ მარტო აწმყოში, – მომავალშიაც. მოძღვარი უნდა ცდილობდეს, რომ მოწაფეს მისთანა საზრდო აძლიოს, რომელიც კეთილად შეერგება მის სულსა და ხორცს და კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი მისი ბუნება და ძალღონე (ხაზი ჩეგნია-ქ.ბ.), უამისოთ, იმან რომ, აქა და მეცნიერ-ფილოსოფოსი ვარო, აღმა ფრენა დაიწყოს თავ-მომწონეთ, ვერ რას არგებს. მე მყავს მხედველობაში ჩემი მკითხველები, ჩემი წრე, და იმათთვისა ვწერ და არა იმ ინტელიგენტებისათვის, რომელთაც ევროპის სიბრძნე – მეცნიერება შეუსწავლიათ და მაინც ვერ გადიან ფონს”.²⁹ ჩეგნი აზრით, ამ შემთხვევაში აკაკიმ შესანიშნავად დაასაბუთა „კრებულის”, როგორც „მოზარდული თაობის” აღმზრდელობითი ფუნქცია. ის, რომ „კრებულის” გამოცემას შედეგი გამოუღია ნათლად ჩანს მის „ფოსტაში” მისული ერთი წერილითაც, რომელიც ეტყობა ეკუთვნოდა მაღალი წოდების ქართველ ქალბატონს. ეს უკანასკნელი შეუშფოთებია შვილის ქართული წიგნებით დაინტერესებას: „ჩემ დათიკოს რაღაც ეშმაკათ ისე შეუყვარდა ქართული წიგნების კითხვა, რომ დღე და ღამ სულ შიგ ჩაკირკიტებს. მეშინია, ვაი თუ სხვა საგნებში ჩამორჩეს და ეს სულ შენი ბრალი იქნება, რომ თავდაპირველათ შენ ააგულიანე და წაახალისე. გამიჯიუტდა, პირდაპირ მეუბნება: „თუ ქართულის კითხვა ამიკრძალეთ, სულ თავს დავანებებ სწავლასო”.³⁰ აკაკიმ თავის პასუხში კარგად აუხსნა ამ ქალბატონს მშობლიურ ენაზე კითხვის აუცილებლობა „...აბა მიჩვენეთ ჩვენში მისთანა ნიჭიერი მოღვაწე ვინმე, რომ თავდაპირველათ მშობლიურზე არ დაეწყოს ვარჯიშობა, არ ესწავლოს მხედრული თუ ხუცური წიგნი, ზღაპრები და ანდაზები არ ცოდნოდეს? ისინი კი, რომელნიც მშობლიურ ნიადაგს მოსხლეტიან და პირდაპირ გადასულან უცხოზე, ორთა შუა რჩებიან და ვეღარც ერთს ვეღარ წვდებიან. ჩემი აზრით, დიდი ცოდვა და დანაშაულობაა, რომ ამ გვარ წიგნებს იმ თავითვე ოჯახებშივე არ აწვდიან ყმაწვილებს მშობლები და თქვენც გირჩევთ: ნუ უშლით თქვენს დათიკოს ქართულის კითხვას, თორემ ინანებთ და გვიანდა იქნება”.³¹

აკაკის მიზანს, მის „კრებულს” ხალხში ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი

²⁹ იქვე.

³⁰ უბრალო საუბარი, კრებულის ფოსტა [3], 1898, №8.

³¹ ტ. XIII, გვ. 357.

გაეღვიძებინა, უკვალოდ არ ჩაუვლია. ხელმომწერთა სიაში, რომელიც თავად „კრებულმა“ დაბეჭდა, „მოზარდულ თაობას“ პირველ ადგილზე ვხვდებით. აქვეა დაბეჭდილი აკაკის არაერთი წერილი ზეპირსიტყვიერების პოზიტიურ სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ.³²

ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის, მისი დიდაქტიკური სწავლების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გაგება-დამუშავებაში განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი. მან არა მხოლოდ გაიაზრა სამოციანელთა ლიტერატურათმცოდნეობითი და ზოგადდიდაქტიკური იდეები, არამედ თავის პუბლიცისტურ ნაშრომებში და, განსაკუთრებით, სასწავლო სახელმძღვანელოებში („დედა ენა“; „ბუნების კარი“; „Родное слово" და სხვა) განავითარა და სრულყო იგი. მეტიც: ი. გოგებაშვილმა ეროვნული სასწავლო-საგანმანათლებლო ტრადიციებისა და თავისი დროის მსოფლიო პროგრესული პედაგოგიური აზროვნების მონაცემების გათვალისწინებით შეიმუშავა ახალი პედაგოგიური მოძღვრება, რომელშიც ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა და აღზრდასთან დაკავშირებით, რიგ პრობლემატიკურ საკითხებთან ერთად დიდად საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული ზეპირსიტყვიერების სწავლების შესახებაც.

ვიზიარებთ პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: „ი. გოგებაშვილის ზეპირსიტყვიერებასთან სიახლოვის დიდი შინაარსი ხალხური სიტყვიერებისათვის პედაგოგიკისაკენ გზის გახსნაში იკითხება. ი. გოგებაშვილმა პრაქტიკულად ნათელყო, თუ როგორ შეეძლო ზეპირსიტყვიერ მასალას დიდი პედაგოგიური მისიის შესრულება, ადამიანში საკუთარ ერთან სულით-ხორცეული განუყოფლობის გაცნობიერებისათვის ხელშეწყობა, ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება და აზროვნების წყობის გათავისებება“.³³

ი. გოგებაშვილმა, როგორც ცნობილია, თავიდანვე სწორად შეაფასა ხალხური პოეზიის შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე თავის პირველივე სახელმძღვანელოში („ქართული ანბანი“, 1865) ფართოდ შეიტანა სათანადო მასალები, რომელიც დიდაქტიკური თვალსაზრისით შეარჩია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ზოგიერთ ნაწარმოებში გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებებიც შეიტანა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ხალხურ ლექსში „ყაყაჩოსა სიწითლითა“ შემდეგი სახის ცვლილებებია შეტანილი:

³² ამის შესახებ იხ. „დროება“, 1872, №40.

³³ თ. ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, თბ., 2004, გვ. 377-378.

ხალხური
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია
წითელ ნუნუას ვაჟკაცის
გული გაუხარებია”

ან კიდევ:

„კურდღელი ჩამოცანცანდა
ფეხ მოტეხილი საწყალი
ზურგზე ეკიდა საგზალი
თუნგ ნახევარი მაჭარი”.

გოგებაშვილისეული
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია”.

კურდღელი ჩამოცანცანდა
ფეხ მოტეხილი საწყალი
ზურგზე ეკიდა საგზალი
კომბოსტო ნორჩი ახალი”.

ხალხური მასალების იაკობ გოგებაშვილისეული კორექტირება უპირატესად ახალგაზრდობისათვის შინაარსობრივად მიუღებელ ლექსიკას ეხებოდა, სხვა მხრივ კი იგი შენიშნავს: „აგებულება ლექსისა, მისი კალაპოტი, ცეზურა და რიფმა ხელუხლებელი დაგტოვეთ”- ო.³⁴

ამრიგად, ი. გოგებაშვილისეული ვარიანტი რომ არა, ეს ხალხური ლექსები დაკარგავდა შემეცნებით და აღმზრდელობით მნიშვნელობას, რაც მას დღემდე აქვს შენარჩუნებული. მეორე მხრივ, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაში მნიშვნელოვან დიდაქტიკურ ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ ბავშვთა გულისა და სულის გაკეთილშობილებაში ზეპირსიტყვიერებას წიგნიერ გაცნობასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო მუსიკალური ჰანგებით აღქმა-გააზრება-დაამებასაც. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს „დედა ენის” (1912წ) სახელმძღვანელოზე დართული „ქართული ხალხური სიმღერები – ბ. ბ. კარგარეთელის, ჩხიკვაძისა და არაყიშვილის მიერ”, ნოტებზე გადაღებული.

აშკარაა, დიდი პედაგოგი ამ დიდაქტიკური სიახლით, ბავშვთა მუსიკალურსა და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლისათვის ქართული ხალხური სიმღერების გადაღების ინიციატორი თვით იაკობ გოგებაშვილი იყო. სწორედ მისი თხოვნითა და ხელშეწყობით გადაუღია ის პირველად მის. მაჭავარიანს.³⁵ როგორც ჩანს, ეს ცნობილ პედაგოგს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით სჭირდებოდა. ამის შესახებ შენიშნავს

³⁴ შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ, ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ. ტ. IV, 1990, გვ., 558.

³⁵ ი. გოგებაშვილი, ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისათვის, – რჩ. პედ. თხზ. თბ., 1977, გვ., 381-385.

მკვლევარი ვიქტორ ასათიანიც.³⁶ იაკობ გოგებაშვილს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ხალხური სიმღერების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მისივე სიტყვებს: „სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას, აჩვენებს ჰარმონიასა, უსუსტებს და უსპობს ხეობებსა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, ერთი სიტყვით, აკეთიშობილებს მის ბუნებასა“.³⁷

იმავე წერილში ავტორი სიმღერის აღმზრდელობით ფუნქციაზე მსჯელობას კიდევ ერთხელ უბრუნდება: სიმღერას „სკოლის შრომაში შეაქვს სიხარულის ელფერი, აღვივებს და აცოცხლებს სკოლის ცხოვრებას და მეტად უმსუბუქებს ბავშვებს იმ ტვირთსა, რომელსაც მათთვის შეადგენს სისტემატური გონებითი მუშაობა...სიმღერას იმისთანა მდგომარეობაში მოჰყავს ნერვების ცენტრები, რომ ასწრავებს სისხლის დენას ადამიანის ძარღვებსა და ტვინში, აჩქარებს ტვინის ნივთიერების განახლებას, აშორებს გონებას ყოველს შემაწუხებელს აზრსა და ზრუნვასა, შეჰყავს ადამიანი რაღაც სიამოვნების სფერაში, შლის მის გულსა, გონებას ამხნევეს და უხალისებს“.³⁸ ზემოხსენებული საკითხი განხილული აქვთ პროფესორებს: ანტ. ხინთიბიძეს,³⁹ თ. ჯაგოდნიშვილსა⁴⁰ და არჩ. სპარსიაშვილს.⁴¹

ამრიგად, თამამად შეიძლება ვთქვათ იაკობ გოგებაშვილის საფუძვლიანი პედაგოგიური აზროვნებისა და მისივე ჯანსაღი დიდაქტიკური ალღოს წყალობით დავიწყებას გადაურჩა და მყარი დასაბამი მიეცა მუსიკალური ხელოვნებით ზეპირსიტყვიერი მასალების ბავშვთა გონებრივი და მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის მიზნობრივ გამოყენებას.

ზეპირსიტყვიერების სწავლებისა და აღზრდის საესთეტიკო მნიშვნელობაზე გამოთქმული აქვს მოსაზრებანი ცნობილ პედაგოგს – მელიტონ კელენჯერიძესაც: „არც ერთის ხალხის პოეზია არ ატკობს ყურს, სმენას თავისის მუსიკით, ხმების ჰარმონიული წყობით ისე, როგორც ჩვენი სახალხო პოეზია“.⁴² მისი აზრით, ფოლკლორის სწავლებით მოსწავლეები ითვისებენ არა მხოლოდ შესაბამის

³⁶ ვ. ასათიანი, „იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკურ-პედაგოგიური შეხედულებების ზოგიერთი საკითხისათვის, ჟ. სკოლა და ცხოვრება, 1990, №3 გვ., 64-69.

³⁷ ი. გოგებაშვილი, ვინ და როგორ გადაიღო გვ., 381.

³⁸ იქვე გვ., 382.

³⁹ ანტ. ხინთიბიძე, „ქართული ხალხური და მეცნიერული პედაგოგიკის ურთიერთობის საკითხები (XIX), თბ., 1986.

⁴⁰ თ. ჯაგოდნიშვილი, 2004, გვ., 381-383.

⁴¹ არჩ. სპარსიაშვილი, „ი. გოგებაშვილი და ხალხური შემოქმედება“, თბ., 1990, გვ., 15.

⁴² მ. კელენჯერიძე, „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესთეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“, ქუთ., 1896, გვ., 77.

აღზრდასა და განათლებას, არამედ ითვისებენ ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ისტორიას. „ერთი პატარა ნაშთი ძველის მწერლობისა და ან ძველ სახალხო თქმულებისა ზოგჯერ იმდენს ეტყვის ისტორიკოსს, რამდენსაც ვერ ეტყვის მთელი გუნდი...ფილოსოფოსებისა, რომელთაც ფანტაზიაზედ განუზრახავთ ისტორიის აშენება. ერთი ასეთი ნაშთი ხანდისხან აღადგენს მთელს ეპოქას...ასეთივე ნაშთი უკუ-გვაგდებინებს მრავალს თეორიას და მშვენივრად დასტამბულს წიგნებსაც, სადაც ისტორიკოსი წინ უსწრობდა წყაროების აღმოჩენას და მასალების დამზადებას“.⁴³

ქართული ფოლკლორის შემეცნებითსა და აღმზრდელობით მნიშვნელობას დიდად აფასებს ვაჟა-ფშაველა. იგი პატარაობიდანვე ეზიარა მდიდარ ხალხურ პოეზიას. მისი მამა ყოფილა ცნობილი მოლექსე, დედის ბიძა, პარასკევა, კი ფშავეში განთქმული ავტორ-მოქმელი. ვაჟას წერა-კითხვის უცოდინარი დედაც შესანიშნავი მოქმელი ყოფილა, რომელმაც „შვილების აკვანი ხალხური სიმღერებით დაარწია და თავისუფალ დროს მათ ზღაპრებს, თქმულებებსა და ლექსებს უამბობდა“.⁴⁴

ხალხური შემოქმედების არსი, მისი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება, – როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, – პოეტმა დაინახა დიდი მოაზროვნის, დიდი რეალისტისა და ფილოსოფოსის თვალით. ფოლკლორისტიკაში სახელმძღვანელო დებულებად დარჩება პოეტის სიტყვები“:⁴⁵ „...მდაბიო ხალხი თუმცა მდაბიოა, მაგრამ იმასაც თავისი საკუთარი აზრი, თავისი საკუთარი შეხედულება აქვს მსოფლიოზე. ხალხი, როგორც კრებული გონიერ არსებათა, ეძებს მიზეზს ყოველგვარ ამბისას, რასაც კი იმისი თვალი და ყური სწვდება...ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. ამისი შეხედულება უფრო იქ არის უტყუარი, სადაც ხალხის გონებას არა აძლადებს რა, არა აჩრდილებს რა...ღირსსაცოდნელია მდაბიო ხალხის აზროვნება, იმისი იდეალები და თვით იმისი არსება. ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალები გამოიხატება იმის პოეზიაში, ზღაპრებში და სხვ.“⁴⁶

ვაჟა-ფშაველას ხალხური შემოქმედებით ფართოდ დაინტერესების შესახებ შენიშნავს პროფ. ა. არაბულიც: „ზეპირსიტყვიერი „ფონდიდან“ აღებულ ცალკეულ თემასა თუ მოტივს (გავიხსენოთ კაი ყმის ხალხური იდეალის ვაჟასეული გაგება)

⁴³ მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ., 165.

⁴⁴ ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალ. შემოქმედება, I, თბ., 1956, გვ., 186.

⁴⁵ ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალ. შემოქმედება, II, თბ., 1966, გვ., 170.

⁴⁶ გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V, გვ., 72.

პოეტი მუდამ იმაზე გაცილებით მეტ დატვირთვასა და ქმედით ფუნქციას ანიჭებდა, რაც მას, როგორც ასეთს, მანამდე გააჩნდა”.⁴⁷ ცხადია, აქ ცნობილი ფოლკლორისტი ზეპირსიტყვიერების აღმზრდელობით ფუნქციაზე მიუთითებს.

ზეპირსიტყვიერება პოეტს მწერლობისათვის დიდად საჭირო განძად მიაჩნია. „ეს ცოდნა (საერო ლიტერატურა – კ.ბ.) მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს, – სიტყვებს, და მერე – გააცნობს სულის და გულის მოძრაობას, მის აზრს ცხოვრებისას”.⁴⁸ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა პოეტმა ფშაურ პოეზიას: „ნამეტნავად ფშაური პოეზია თავის სულის გამაღვიძებელი კილოთი, თავისი ძველებური სიტყვების ფორმების და თავისებურ შეხედულებით მსოფლიო ცხოვრებაზე, საჭიროა იცოდეს არა მარტო მწერლებმა, არამედ ყველა ქართველმაც”.⁴⁹

ზოგჯერ ვაჟა ხალხურ ნააზრევს (ვაჟა მას „ხალხის აზრს” უწოდებს) თვით გენიოსის შეხედულებაზე მაღლა აყენებს. საინტერესოა, ნაწყვეტი მწერლის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ხელნაწერიდან: „ხალხი, ნათქვამია, კრებულად გენიოსია, დიდის ნიჭის და მოსაზრების მქონე. მართლაც, აზრი და შეხედულობა ხალხისა რომელისამე საგანზე გაცილებით საყურადღებო და უტყუარი, ვიდრე ცალკე პირისა, თუნდაც იგი გენიოსი იყოს...ხალხის აზრი გამოიხატება მის თქმულებაში: პოეზიაში, ზღაპრებში, ანდაზებში და სხვ., რომელთაც ერთად საზოგადო სახელი სახალხო ეპოსი ჰქვია”.⁵⁰

ვაჟა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ერი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას ამბად, ზღაპრად, ან ლექსად გამოიტყვის ხოლმე”.⁵¹

ამასთან, პოეტმა ზეპირსიტყვიერების, როგორც სოციალური ცენზურისაგან შეუზღუდავი ნაწარმოების, განსაკუთრებულ, ისტორიულ მნიშვნელობაზეც მიუთითა: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოსი-არხეოლოგი წიგნების და ნიუთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირ კაცს არავითარი მზა-მზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისივე მსგავსი უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი

⁴⁷ ა. არაბული, „ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში”, თბ., 1900, გვ., 5.

⁴⁸ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ) ტ. V, გვ., 47.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია”, I, გვ., 276.

⁵¹ „ვეფხისტყაოსნის შესახებ”, ვ. ფშაველა, თხზ. ტ. V, გვ., 99-100.

მოთხრობა”.⁵²

შემეცნებითი და აღმზრდელით თვალსაზრისით საინტერესოა ვაჟა ფშაველას წერილი „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოსატყულებით“, რომელშიც პოეტი ყურადღებას გმირობისა და ვაჟკაცობის შესახებ ამხსნილებს: „ძველი დრო...გმირობისა და ვაჟკაცობის“ დრო იყო, ძველისძველი ცხოვრება მუშტზე იყო დამყარებული, „ერთი მეორეს არბევდა“, ამიტომ „ვაჟკაცობას, გულადობას ყოველდღიურ ყოფაში დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა“. „გმირი ხდებოდა საგნად ლექსებისა, ზეპირგადმოცემებისა“. ვაჟა მიუთითებს ხალხის მუდმივ მეთვალყურეობაზე გმირის მიმართ: თემს „ძვირად უღირდა ვაჟკაცი, გმირი ხდებოდა საგნად ლექსებისა, ზეპირგადმოცემისა...ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნესასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ“.⁵³

ბუნების დიდი მგოსანი მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა ისტორიული ფაქტების და ეთნოგრაფიული ყოფის მასალების შესწავლას. იგი თანამემამულეთაგან მოითხოვდა ერის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცოდნას, რაც საფუძველია ზეპირსიტყვიერების ჩაწვდომისა. „თუ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ ჩვენი ქვეყანა, – წერდა პოეტი, – სხვები ჩვენ არ შეგვისწავლიან. ჩვენ თავს ჩვენ რომ არ ვაფასებთ, სხვა რა გიჟია ჩვენ დაგვაფასოს? ან მოსულს, გარეშე უცხო კაცს სად შეუძლიან გავლით ჩვენის აკარგის მნახველს, ანგარიში გასწიოს?“⁵⁴ მეორე მხრივ, ირკვევა, რომ ვაჟა-ფშაველა კრიტიკულად აფასებდა ზეპირსიტყვიერ მასალებში ხალხის მიერ ასახული ცხოვრებისეული სინამდვილის და აგრეთვე, თავიანთ მთქმელთა ზეპირად გადმოცემული ამბების შესაძლო რეალურობას, ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ყურადღებას იქცევს მოთხრობა „ცრუპენტელა აღმზრდელი“. ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის სხვადასხვა ვარიანტის ორი ნაწყვეტი – (№ 22411) სათაურებით: „ცრუპენტელა აღმზრდელი“ და „ცრუ-ციხელა“. როგორც ჩანს, ავტორმა, თავდაპირველად მოთხრობას „ცრუ-ციხელი“ უწოდა, შემდეგ კი, შინაარსიდან გამომდინარე, „ცრუპენტელა აღმზრდელით“ შეცვალა და, ვფიქრობთ, ამგვარი კორექტივით დიდმა პოეტმა და პროფესიონალმა პედაგოგმა უფრო მეტი განზოგადება მისცა სათქმელს.

⁵² ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია“, 1902, №196.

⁵³ ვ. ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოსატყულებით“, „ივერია“, 1889, №74.

⁵⁴ თამარის ცხვარი ფშავში, – ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 192.

აღნიშნული მოთხრობა ზეპირი მეტყველების თვალსაზრისით განხილული აქვს ლ. სულხანიშვილს.⁵⁵ ჩვენ კი ეს თხზულება ზოგადპედაგოგიკური იდეების თვალსაზრისით გვაინტერესებს.

ნაწარმოებში ვეცნობით მოხუც მწყემსს, ციხელს, რომელსაც აღსაზრდელებთან ურთიერთობაში ცრუობა მოთხოვნილებად გადაქცევია. ამით სულდგმულობს თავად და ამით „კვებავს – მოზარდთა“ ცნობიერებასაც. „მე გამოჩენილი მონადირე ვიყავი, – მოუთხრობს ბავშვებს ციხელი, – რაც ნადირი დამიხოცნია, იმდონი თმა არა მაქვს თავზე: დათვი, ღორი, ირემი, ჯიხვი, მგელი, ტურა, ჯერანი და სხვ. ერთი ზამთრის განმავლობაში ასი მგელი მოგკალი. ყველას უკვირდა, გოცებულები იყვნენ. სხვებს განა არ უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ არ შაქდლოთ“.⁵⁶

ციხელი მოთხრობაში მთქმელად გვევლინება, მაგრამ მისი თხრობა ხელოვნურია. იგი ატყვილებს ბავშვებს, რასაც უამბობს, თითქოს, მისი დამადასტურებელი საგნობრივი მონაცემები (აღის საღამური, გველის თვალი, ჩირაღდანით მანათობელი ფრთა) სახლში აქვს, მაგრამ, როცა მისი ნაამბობით დაინტერესებული ბავშვები მიდიან მის დანგრეულ სახლში, ვერაფერს ნახულობენ. ბავშვების ნახულით გულაცრუება მოთხრობაში ამგვარადაა გადმოცემული: „ოპ, რა ცუდია გაცრუებული იმედი?! რას მოველოდით და რა ვნახეთ?“⁵⁷

როგორც მოთხრობიდან ჩანს, ცრუპენტელა აღმზრდელი გულუბრყვილოდ მიხდობილ ბავშვებს ხშირად ატყვილებს. მწერალი გმობს ცრუ მთქმელსა და ზეპირსიტყვიერების ხელოვნურობასაც. მისი მართებული შეხედულებით მთქმელმა უნდა იცოდეს, „ვინ როგორა ლოცულობს...ვინ როგორა ჰმწყის თავის სამწყისოს...ეს კი ისე უნდა გავიგოთ, რომ ვაჟა-ფშაველა ზეპირსიტყვიერებაში უპირატესობას მთქმელის უშუალობას, ცხოვრებისეულ სინამდვილის ასახვას ანიჭებდა და არა ფუჭსიტყვაობას (ხაზი ჩვენია-ქ.ბ). აღმზრდელმა, – მწერლის აზრით, – უნდა იცოდეს „ყოველი მათგანი მომეტებულად რაზე რასა ფიქრობს. რა ფიქრებითა და გრძნობებით იგეგმება, იწვრთნება მათგანის გული და გონება (ხაზი ჩვენია - ქ.ბ). ეს არის ადამიანის ბუნების ასაშენებელი მასალა; მისი ხასიათის დამადგენელი და გამსაზღვრელი ვაჟკაცობის დროს ცხოვრებაში...ვინ არის ნამდვილი ვაჟკაცი, განა მარტო მკლავით? არა, ზნეობითაც. ვინც მხოლოდ

⁵⁵ ლ. სულხანიშვილი, ვაჟა-ფშაველას საბავშვო პოეზიის ერთი თავისებურება”, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, თბ., 1961, გვ., 149-159.

⁵⁶ ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრ. ტ. VI, თბ., 1964, გვ. 145.

⁵⁷ ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრ. ტ. VI, გვ., 157.

საქართველოსთვის...ობროლებს, ვერავითარი სასჯელი თუ სასყიდელი მას ვერ შეუცვლის რწმენას, ვერ შეაქცევინებს ზურგს მშრომელი ქვეყნისთვის.⁵⁸

ამრიგად, ბუნების დიდი მესაიდუმლე, ვაჟა-ფშაველა ზეპირსიტყვიერებაში უპირატესობას ანიჭებდა ნათქვამის ცხოვრებისეულ რეალობასთან კავშირს, მასში ასახული ხალხის მაღალ იდეალებს და გამობდა ხელოვნურობას, რადგან როგორც პროფესიონალმა პედაგოგმა და მწერალმაც კარგად იცოდა, რომ ფუჭსიტყვაობა და ტყუილი დიდად ავნებდა აღსაზრდელთა „დაგეშვისა და წვრთნის“ დიდად საპატიო საქმეს (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.).

ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი საკითხების შესწავლისას ირკვევა, ისიც, რომ კოლექტიურ შემოქმედს, ხალხს მასში ისტორიულად აუსახავს არა მარტო ბუნება და საზოგადოებრივი სინამდვილე, არამედ მისადმი ადამიანის მიმართების ზოგადდიდაქტიური და კერძომეთოდური რეკომენდაციებიც. ეს მასალები ჩვენ მიგვაჩნია, ერთი მხრივ, მსმენელთა ზეპირად მოსმენილი ამბების დამადასტურებელ, გარკვეულ მასტიმულირებელ ფაქტებად და, მეორე მხრივ, ხალხური დიდაქტიკის პირველი საწყისების გასათვალისწინებლად და, მაშასადამე, მის სწავლების მეცნიერული მეთოდის საფუძვლების სათავეების პირველ საწყისებად (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.).

ამ გარემოებათა გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საანალიზო პრობლემასთან დაკავშირებით: 1. მოკლედ გავეცნოთ ორგანიზებული მეცნიერული სასწავლო პროცესის შემუშავებამდე, თუ როგორ ვლინდება ზეპირსიტყვიერ მასალებში მისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა და 2. როგორაა თეორიულად შესწავლილი და პრაქტიკულად დასაბუთებული სასწავლო პროცესში ზეპირსიტყვიერების სწავლების შემეცნებითი და აღმზრდელობითი ამოცანები ორგანიზებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებამდე.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ სკოლებში ორგანიზებული სასწავლო პროცესის დამკვიდრებისას მწერლები და შემოქმედი პედაგოგებიც დაინტერესდნენ ზეპირსიტყვიერების საუნჯის სწავლების გაუმჯობესებით, მეორე მხრივ, თვით პედაგოგიკურმა მეცნიერებამაც ხელი მოკიდა ამ საკითხების შესწავლას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საფეხურამდე ზეპირსიტყვიერებაში არ იყო საწყისის სახით რაიმე სასარგებლო მეთოდური რეკომენდაცია ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი: მართალია, თეორიული დასაბუთება ზეპირსიტყვიერ

⁵⁸ ვ. ფშაველა, „ცრუპენტელა აღმზრდელი“, გვ., 171-172.

მასალებში მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელითი შესაძლებლობების შესახებ არ მოხანს, მაგრამ კერძო მეთოდოლოგიური რეკომენდაციები საკმაოაა, რომლის თაობაზე შრომის სხვა მონაკვეთშიც გვექნება მსჯელობა.

ვფიქრობთ, პრობლემის ამ ჭრილში საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა. ამჯერად, ჩვენ ზოგადად მხოლოდ იმ მეთოდოლოგიურ მონაცემებს შევხებით, რომელიც კოლექტიურ შემოქმედს ადამიანთა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისათვის გამოუყენებია.

ზეპირსიტყვიერ მასალებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ კოლექტიურ შემოქმედს მოზარდთა ფიზიკურ აღზრდისათვის უფრო მეტი ყურადღება დაუთმია. ეს გასაგებიცაა, ადამიანთა გონებრივი განვითარების ზრუნვა თვით ცხოვრებისეული განვითარების მაღალი დონითაა განპირობებული და რაკი ეს პირობა ზეპირსიტყვიერების შესწავლის გარიჟრაჟზე, „გასაგები მიზეზების გამო“ ნაკლებად იქნებოდა, ამიტომაც ხალხს ადამიანთა ყოფის გასაუმჯობესებლად, ჩანს, ფიზიკური მონაცემების გასაუმჯობესებლადაც უზრუნია. მაგალითად, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ნიმუში ყრმის აღზრდის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„ზურაბ გაზარდა დედამა მიგდებ-მოგდებით, გლეხურა,

არც არა ბევრი ტანთ ეცვა, არც არა მკლავთა ეხურა.

წამაიზარდა ზურაბი, თავადებ მაიმსახურა!“ („ხალხ. სიტყ.“, III, გვ.12)

ვფიქრობთ, ამ მასალის ქვეკონტექსტში იგულისხმება ზურაბის მომავალი მოქმედებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონია წამოზრდას, ე.ი. ფიზიკურ განვითარებას, ასე რომ, აქ ბავშვის ფიზიკური აღზრდა ისევე უშუალოდ ბავშვისავე განვითარებას უკავშირდება. მეტიც, არის ფოლკლორში ისეთი ნიმუში, სადაც ადამიანის ფიზიკური მონაცემები თითქოს გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, თვითონვე, მემკვიდრეობით უნდა ჰქონდეს – გავისხენოთ ლექსი:

„კაი ყმა, მგელი, არწივი,

არც-ერთ არ გაიწურთნება,

მგელი არ მაშლის მგლობასა,

კაი-ყმა – მამაცობას,

არწივი – არწივობასა,

მთის ყურეთ თამაშობასა“.⁵⁹

ჩვენი აზრით, ამ მასალებში, შესაძლოა დავინახოთ ის თავდაპირველი კვალი

⁵⁹ შ. ქურდაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“, I, 2003, გვ., 25.

ხალხის აზროვნებისა, როცა მას ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა გააზრებული, რა მნიშვნელობა ჰქონდა აღსაზრდელის ფიზიკურ აღზრდას და, მაშასადამე, არც მისი უზრუნველყოფის მეთოდურ ხერხებს იცნობდა სათანადოდ.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ფიზიკურ აღზრდისადმი ხალხის ასეთი დამოკიდებულება გვიანი პერიოდის ზოგიერთ ზეპირსიტყვიერ მასალაში შეცვლილია, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფოლკლორში ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ აღზრდას თითქმის ერთნაირი ყურადღება ექცევა. მეტიც: არის მასალები, რომლის მიხედვით ხალხს სურს აღსაზრდელმა წინააღმდეგობის გაწევის უნარი თავიდანვე თვითონვე განავითაროს.

ფოლკლორში მოიპოვება ისეთი მასალებიც, რომლის მიხედვით აღზრდელი მოზარდს გარკვეულად მიზნობრივად წვრთნის, მაგალითად, დავაკვირდეთ ხალხურ ლექსს – „შიდნი გაზარდა ვაჟკაცი“.

„შიდნი გაზარდა ვაჟკაცი
 არწივის ნაბუდარზედა,
 შვიდთავ უყიდა თოფები,
 შვიდთა დაჰკიდა მხარზედა,
 შვიდთავ ფარ-ხმალი უყიდა,
 შვიდთავ დაჰკიდა მხარზედა“.⁶⁰

ამ თვალსაზრისით ვიზიარებთ პროფ. შ. ქურდაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ხალხური პედაგოგიური აზროვნება საგანგებო ხერხებს მიმართავდა ადამიანთა გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოსავლინებლად და გასავითარებლად...პირველ რიგში დაინტერესება გამოუჩენიათ ადამიანთა ფიზიკური უნარის შესამოწმებელი ხერხებისადმი... ის ვინც დავალებას (თუ დავალებებს) შეასრულებს, ითვლება გამარჯვებულ და ხალხის გაგებით მომწიფებულ პიროვნებად“.⁶¹

ადამიანთა აღზრდისა და განათლების პრობლემებისადმი მიზნობრივი დამოკიდებულება გამჭვირვალედაა ასახული ხალხური პედაგოგიკის ტერმინოლოგიაშიც. მაგალითად, „გამოზრდა აქ: აღსაზრდელის გარკვეული მიზნით ვინმესადმი მიბარება. „ამირანი უნდოდათ მდიდარი კაცისათვის მოენათვლინებინათ, რომ სულკაღმასის სიკვდილის შემდეგ ნათლიას წაეყვანა და

⁶⁰ ანტ. ხინთიბიძე, „აღზრდის იდეები...“ 1976, გვ., 203.

⁶¹ შ. ქურდაძე, პედაგოგიკური ტერმინოლოგიის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალები ქართულ და ოსურ ფოლკლორსა და მწერლობაში, ცხ., 1987, გვ., 35

გამოეზარდნა” (ხალხ. სიბრძ., ტ. III, გვ. 9) და სხვ.⁶²

ფიქრობთ, ხალხის დიდაქტიკის აქ დასახელებული ტერმინოლოგია საყურადღებოა ზეპირსიტყვიერების სწავლების ისტორიის თვალსაზრისითაც.

როგორც ირკვევა, ხალხურ დიდაქტიკას თემატიკურადაც შეუქმნია სხვადასხვა ჟანრები ზეპირსიტყვიერი ნიმუშებისა – სააკვნო სიმღერების, საგმირო – პატრიოტული ლექსების შრომის სარიტუალო, ანდაზების გამოცანებისა თუ ენის გასატეხების სახით, სადაც გამჭვირვალედ ჩანს აღმზრდელთა მიზნობრივი მოთხოვნები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მკვლევარმა ანტ. ხინთიბიძემ: ანდაზა „აღზრდის თვალსაზრისით...ყოველთვის ორ საქმეს აკეთებდა: თანამედროვე და ისტორიულ სინამდვილესა და ყოფაცხოვრებასაც აცნობდა ახალგაზრდობას და ადამიანის სულიერ სამყაროშიც ახედებდა, მის შინაგან თვისებებზე მსჯელობდა, ახასიათებდა მას, დასკვნები გამოჰქონდა მის შესახებ. აქვე იჩენდა თავს დარიგება – სწავლება ...ანდაზაში ცხოვრების შესწავლისა და გაუმჯობესების სწრაფვაა მოცემული. ის მოზარდებს ცხოვრებასთან აახლოებს, მის კანონებს აცნობს და ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა”.⁶³

ზეპირსიტყვიერების შემეცნებით-აღმზრდელობით ფუნქციაზე მიუთითებს მკვლევარი გ. შეთეკაურიც, რომელიც ფოლკლორში არეკლილ ზნეობრივ მრწამსს საზოგადოებრივ ფუნქციას აკისრებს: „ხალხური პოეზიის რეპერტუარიდან ინდივიდის სულიერ სამყაროს ღირსება-ნაკლოვანებანი ფართო მასშტაბით აღიბეჭდა ფილოსოფიური და საზნეობო-დიდაქტიკური ღირიკის ნიმუშები, საყოფაცხოვრებო ლექსებში, საგმირო აფორიზმებში და ა.შ., სადაც აღმზრდელობით-შემეცნებით იღებებს არც თუ იშვიათად მკაფიო შინაარსს ანიჭებს ხალხური პედაგოგიკის ელემენტები, ადათობრივი სამართლის ნორმები და სხვ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ პოეტურ ფოლკლორში არეკლილ ზნეობრივ მრწამსს დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია ეკისრებოდა”.⁶⁴

გ. შეთეკაურს, როგორც ჩანს, ხალხური შემოქმედების შესწავლით მოზარდთა მოქალაქეობრივი და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო გზა დაუნახავს, ამასთან, იმაზეც მიუთითებს, რომ ხალხი საქებარს აქებს, გასაკიცხს კი ძაგებით მოიხსენიებს. „...ხალხური ავტორი...დადებით თვისებებს აქებს, ადიდებს,

⁶² შ. ქურდაძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

⁶³ ანტ. ხინთიბიძე, „აღზრდის იდეები” ... 1976, გვ., 13

⁶⁴ გ. შეთეკაური, „ხალხური პოეზიის ზნეობრივი არსი, თბ., 1988, გვ., 4.

ხოლო უარყოფით თვისებებს კიცხავს და აძაგებს. ამასთან აქ იგი ზოგჯერ საბოლოო დასკვნის სახით უმაღლეს ზნეობრივ იდეალსაც გვთავაზობს...ადამიანის ხასიათის სწორი ფორმირება, ადამიანში დადებითი ფსიქიკური თვისებების გამომუშავება და განმტკიცება, – აი, ამ ტიპის (საზნეობო-დიდაქტიკური – ქ.ბ.) ხალხური ლექსების მთავარი მხატვრულ-თემატიკური ამოცანა, მისი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი”.⁶⁵

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: „მდიდარი ხალხური ცოდნა-გამოცდილების სწავლების ფორმა და შინაარსი კარგად ვლინდება იმ ხერხებსა და საშუალებებში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს”. ქართული ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით ამ საკითხს ჯეროვნად სწავლობს ანტ. ხინთიბიძე. კერძოდ, მისი აზრით, „ქართულ ფოლკლორში ცოდნის გადაცემის შემდეგი მეთოდებია ჯერჯერობით შენიშნული: თხრობა, ახსნა, კითხვა-პასუხი და ვარჯიში („აღზრდის იდეები ქარ. ხალხურ შემოქმედებაში”, 1976, გვ., 71). პროფ. შ. ქურდაძე კი შენიშნავს: ქართული...ფოლკლორული მასალების ტიპოლოგიური შესწავლა ადასტურებს, რომ ხალხურ პედაგოგიკას ამ მხრივ ბევრად უფრო მეტი მეთოდიკური არსენალი მოეპოვება”.⁶⁶

ხალხური ცოდნა-გამოცდილების გადაცემის ხერხები ცნობილ მეთოდისტს პირობითად შემდეგ სახეებად დაუყვია: 1) ზეპირსიტყვიერი (მასში შეიძლება გაერთიანდეს თხრობა, თავგადასავალი, კითხვა-პასუხი, ახსნა-განმარტება დარიგება, დავალების მიცემა, დაძახება, ანდერძის დატოვება, არაკი, მაგალითი, ვარჯიში და სხვ.). 2) წერილობითი (ქვასა და ქაღალდზე რაიმე დარიგების ფიქსაცია); 3) თვალსაჩინოებითი (ზღაპრული პერსონაჟის სურათის დახატვა და სხვ.); 4) სიმღერა (გადაიცემა ვინმეს მიერ რაიმე დამრიგებლობითი შინაარსი); 5) დასჯა (გამოიხატება ადამიანის ან ცხოველის იძულების წესით რაიმე დიდი ამოცანის შესასრულებლად მობილიზება, გააქტიურება და სხვ.)

„როგორც ვხედავთ, – ნათქვამია დასახელებულ შრომაში, – ცოდნის გადაცემის ხერხები ბევრად მეტი ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს, ვიდრე ეს დღემდე იყო შენიშნული”.⁶⁷

ამასთან ერთად, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ხალხური დიდაქტიკა

⁶⁵ იქვე, გვ., 31.

⁶⁶ შ. ქურდაძე, პედაგოგიკური ტერმინოლოგიის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალები ქართულ და ოსურ ფოლკლორსა და მწერლობაში, ცხ., 1987, გვ., 25-26.

⁶⁷ შ. ქურდაძე, პედაგოგიკური ტერმინოლოგიის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალები, გვ., 26.

სიტყვას იყენებს არა მარტო როგორც სასწავლო-საშუალებას, არამედ ამასთან ერთად სწავლობს მას, როგორც სასწავლო ობიექტს. უკვირდება მის მიერ გადმოცემულ ბრძნულ შინაარსს, პრაქტიკულად ითვისებს და სჯერა მისი. ყოველივე ამის გამო ხალხურ შემოქმედებაში ზეპირი სიტყვით ცოდნის გადაცემას დიდი ყურადღება ექცევა”.⁶⁸

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მკვლევართაგან ზეპირსიტყვიერების შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ფიქრია ზანდუკელს.⁶⁹

„ზღაპართა აღმზრდელობითი ღირებულება, – აღნიშნავს იგი, – განუსაზღვრელია. ის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოზარდთა პორიზონტის გაფართოებას, მათი ხასიათის გამოწრობას და მორალურ მდგრადობას. საბავშვო ფოლკლორის სწავლებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს მდიდარი და ამოუწურავი მასალის შერჩევის პრინციპზე. ცხადია ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია როგორც აღმქმელის ასაკობრივი თავისებურებანი და ფსიქიკა, ისე კონკრეტულ ნაწარმოებთა შემეცნებითი და პედაგოგიური მიზანდასახულობა. ბავშვებისათვის ისეთი ნაწარმოებები უნდა შეირჩეს, რომლებიც ხასიათებიან როგორც შინაარსობრივი მრავალფეროვნებითა და სიღრმით, ასევე მახვილგონივრული გააზრებითა და ესთეტიკური ხიბლით. დიდ ქართველ განმანათლებელს იაკობ გოგებაშვილს სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე შეჰქონდა თავის წიგნებში ფოლკლორული ნიმუშები”.⁷⁰

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა დიდაქტიკური და ისტორიულ-შემეცნებითი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მცირეწლოვანთა და მოზარდთაობის გონების, ხასიათისა და მორალური წრთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ზეპირსიტყვიერების აღმზრდელობით-შემეცნებითი ფუნქცია არაერთხელ შეუნიშნავთ პრესის ფურცლებზეც. ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ალ. ნანეიშვილს, ესმოდა რა ზეპირსიტყვიერების დიდი ღირებულება, მოუწოდებდა მომავალ თაობას არდადეგების დროს თავისი კუთხის უძველესი ნაშთნი ჩაეწერათ. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მისივე სიტყვებს: „სოფელში დაცულია მრავალი სიტყვიერი და ნივთიერი ნაშთი ერის წარსულის ცხოვრებისა და ჩვენა

⁶⁸ იქვე, გვ., 28.

⁶⁹ ფ. ზანდუკელი, „წერილები საბავშვო ფოლკლორზე“, თბ., 1980; „ხალხური შემოქმედება დაწვებით კლასებში“ და სხვა.

⁷⁰ ფ. ზანდუკელი, „წერილები საბავშვო, ფოლკლორზე“, თბ., გვ., 173-174.

ვეიქრობთ, რომ ამ ნაშთების ჩაკვირება და ძიება მოსახერხებელი იქნება მოსწავლე თაობისათვის და საამოც. განა დათვალიერება და აღწერა წარსულის ნივთიერის ნაშთებისა და სახალხო ლექსების, ზღაპრებისა და ლეგენდების ჩაწერა, ზნე-ჩვეულების დაკვირება გონებისათვის საამო და სასარგებლო არ იქნება? ერის სიტყვიერება იმდენად მარტივია და თან იმდენად ღრმა შინაარსით, რომ თითოეულის გონიერ ადამიანისათვის იმისი გაცნობა საამო და საინტერესო იქნება. წარსულის ნივთიერი ნაშთების აღწერაც და დათვალიერებაც მეტად საგულისხმოა...ყოველივე ესე, ჩვენის აზრით, საუკეთესო საგანია მოსწავლე თაობის გონების სავარჯიშოდ (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.) და დროს გასატარებლადაც”.⁷¹

წარსულის შესწავლა, - ავტორის აზრით, - ახალგაზრდას მერმისისათვის გაწვრთნაში დაეხმარება. ყოველმა კაცმა თავისი ერის ვითარება, მისი სიყვარული ახალგაზრდობიდან უნდა შეისწავლოს „და თუ ადამიანს თავისი ერის წარსული არ შეუსწავლია, ერის სულისა და გულის მოძრაობა მისთვის საიდუმლოდ დარჩებოდა და ამ გვარის კაცის მოღვაწეობა და სიცოცხლე ქვიშაზე აშენებული კოშკი იქნება”.⁷² მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით მოზარდს უვითარდება გონება, ლოგიკური აზროვნება: „მით უფრო საჭიროდ ვრაცხთ ახალს თაობას მოვაგონოთ წარსულის შესწავლისა და ძიების მნიშვნელობა სულისა და გულის გასაწვრთნელად, რომ დღემდე არავინა სცდილობს ახალს თაობას განუმტკიცოს წარსულის სიყვარული და შეაჩვიოს ძიებასა და ჩაკვირებას, ხოლო ყველასათვის ცხადია, რომ ეს ძიება და შესწავლა აუცილებელი სახსარია გონების გასაწვრთნელად და მკვიდრი საძირკველია ახალგაზრდობის წარმატებისათვის”.⁷³ (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.).

საყურადღებოა ასევე ფშავლიშვილის ერთი წერილიც: „ბავშვების შინაური აღზრდა ბარად და მთაში („ივერია”, 1899, №43), სადაც ავტორი ქართულ ოჯახში ბავშვის ზნეობრივი აღზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს და ამ საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ზეპირსიტყვიერების ცოდნას ანიჭებს. მისი აზრით, სწორედ ხალხური სიტყვიერება აძლევდა ბავშვს ცოდნის იმ საფუძვლებს, რაც საზოგადოებასთან მის ურთიერთობას სჭირდებოდა. „ბევლად, - შენიშნავს იგი, - სცოდნიათ დიდთა და პატარათა თავ-მოყრა ადგილ-ადგილ. აქ იმართებოდა თურმე ზღაპრობა, შაირობა, გამოცანებისა და მოსწრებული სიტყვების თქმა...და ბევრი

⁷¹ ა. ნა – ლი (მეთაური), „ივერია”, 1889, №98.

⁷² ა. ნა – ლი (მეთაური), „ივერია”, 1889, №98.

⁷³ იქვე.

რამ სხვა გონებისა და ზნეობის ჩვეულება”.⁷⁴ დღეს კი, ავტორის აზრით, ეს ყოველივე დაკარგულია. ამასთან, ფშავლიშვილი იმაზეც მიუთითებს, რომ მთაში ბავშვის აღზრდას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ბარში. „ბავშვს, გარედ, სოფელში გამოსვლის დროს საკმაო მასალა აქვს შეძენილი ხალხური სიტყვიერებიდან: იცის რამდენიმე მომცრო ზღაპარი, რამდენიმე საგმირო შინაარსის ლექსი, ბლომად გამოცანები, რაც ბარად ახლა ძალიან იშვიათი შემთხვევაა”.⁷⁵

გარდა ამისა, ზეპირსიტყვიერების შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ შენიშნულია მთელ რიგ სხვა წერილებშიც⁷⁶.

⁷⁴ ფშავლიშვილი, „ივერია“, 1899, №43.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ ამის შესახებ იხ. ზღაპრების აღმზრდელობითი მნიშვნელობა, „ივერია“, 1893, №83; ივ. ელიოზიშვილი, ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, „მნათობი“, 1869, №2; სერგეი მესხი, საქართველოს ძველებური ამბები, „დროება“, 1875, №57 და სხვ..

თავი II. ზეპირსიტყვიერების სწავლების ზოგადპედაგოგიკური იდეები

როგორც ირკვევა, ზეპირსიტყვიერებაში, გარკვეულად ასახულია ზოგადპედაგოგიკური იდეები, რომლებიც თავის დროზე ყურადღებიდან არ გამოორჩენიან ქართველ შემოქმედ მასწავლებლებსაც.

ცნობილი პედაგოგი – მელიტონ კელენჯერიძე ზეპირსიტყვიერებით ბავშვობიდანვე ყოფილა დაინტერესებული. მასწავლებლობის პერიოდში იგი აქტიურად კრებდა მასალებს, რომელიც კრებულად გამოსცა 1915 წელს „ტონკმელის“ ფსევდონიმით (კრებულში შეტანილია ორი ზღაპარი, რამდენიმე აფორიზმი და გამოცანა). როგორც პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, „იგი ერთხანს სკოლების მეთვალყურედ (უფროს ინსპექტორად) მსახურობდა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამასზე მეტ მასწავლებელს მრავალრიცხოვან მოსწავლეთა ჯგუფების ზეპირსიტყვიერი მასალის ჩაწერასა და მისთვის გადაგზავნას ავალებდა. ამ გზით დიდძალ ფოლკლორულ ტექსტებს მოუყარა თავი, 1921 წელს სასტამბოდაც გაამზადა („სახალხოდ, საოჯახოდ და სასკოლოდ დამუშავებული ზღაპრების კრებული“), მაგრამ ხელნაწერი, სამწუხაროდ, სტამბაში („სორაპანი“) დაიკარგა“.⁷⁷

მ. კელენჯერიძის გამოცემული ნაშრომებიდან საყურადღებოა „სიტყვიერების თეორია“ (1899), (მხედველობაში გვაქვს მისი მეორე გამოცემა ქრესტომათიული ნაწილითურთ) „ქართული ქრესტომათია, ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა“ და ქრესტომათიაზედ ადრე გამოცემული ნაშრომი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა (1896წ), რაც ორი წლით ადრე წერილების სახით დაბეჭდა „მოამბეში“, 1894, №№9-11; 1895, №№1-6).

ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ შრომა ნაკლოვანებისაგან არაა დაცული, რადგანაც იგი პირველია ამ სახის გამოკვლევათა შორის: „...ეს არის ნაყოფი ჩვენი გონების (შკოლის სკამზედ) ვარჯიშობისა და არა გამოცდილი, მწიფე მეცნიერის ხანგრძლივი შრომისა (რადგან ეს თხზულება დაწერილია აკადემიის მეორე კურსზედ)...ეს თხზულება არის პირველი ნიმუში ამ გვარის გამოკვლევისა ქართულს მწერლობაში...თუ,

⁷⁷ თ. ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, 2004, გვ. 773.

მკითხველი საზოგადოება ამ...ჩვენს შრომას ცოტა მაინც საჭიროდ და ნაყოფიერად დაინახავს...ჩვენც გავთამამდებით და დაუღალავად ვიშრომებთ ამ საგნისათვის”.⁷⁸

ნაშრომის შესავალში მ. კელენჯერიძე მიუთითებს ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის მეტად მძიმე მდგომარეობაზე: „არსად არ არის სახალხო პოეზიისა და სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრებისა და გამოკვლევის საქმე ისეთს სამწუხარო მდგომარეობაში, როგორც ჩვენს ქვეყანასა და ლიტერატურაში. მაშინ, როცა ევროპასა და რუსეთში ბევრმა გაითქვა სახელი...სახალხო პოეზიის კვლევა-ძიებით, ჩვენში ყოვლად მცირე ყურადღება ქონდა მიქცეული ამ საგანს. ქართულს მწერლობაში არა თუ სრულიად არ მოიპოვება სამეცნიერო გამოკვლევა სახალხო პოეზიისა, არამედ თითქმის ერთი რიგიანი კრებულიც კი არსად არის სახალხო ნაწარმოებთა”.⁷⁹ (საზგასმა ჩვენი-ქბ.) აქვე ავტორი გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ, სამწუხაროდ, ყოფილა განსხვავებული შეხედულება: მაგალითად, გ. საღარაძე წერდა: „რა უნდა იყოს...სახალხო წიგნები, რომელშიაც სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები იქნება მოქცეული და ან რა სარგებლობას მოუტანს ეგ წიგნები ჩვენს ხალხსაო” („Нов. общ.", 1892 №2825). იგი სიტყვიერების „საპედაგოგო”, მის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მნიშვნელობას ეჭვის თვალით უყურებდა და მიიჩნევდა, რომ „პოეზიის ძველ ნაშთს” არანაირი სარგებლობის მოტანა შეუძლო”. „რა ცოდნის მიღება შეუძლია პოეზიის ძველ ნაშთებს? ბეჭდვა ძველი სალიტერატურო ნაშთებისა იმ აზრით, ვითომ ეს არის სხვა ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიება ხალხის სასარგებლო ცოდნის გავრცელებისა, მგონი ჯერ არავის მოსვლია ფიქრად. მე ვამტკიცებ, რომ ის ნაშთი არასდროს არ გამოდგებიან სახალხო წიგნების საგნად”.⁸⁰ მ. კელენჯერიძე პრინციპულად არ იზიარებს გ. საღარაძის ნეგატიურ მოსაზრებას ზეპირსიტყვიერებაზე და დასაბუთებულად აღნიშნავს: „ვისაც კი შეგნებული ქონდა ჭეშმარიტი საჭიროება ერისა...თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ მდაბიო ხალხის გონება და ზნეობა მისისავე ნაწარმოების ესე იგი სახალხო სიტყვიერებისავე შემწეობით ვვარჯიშებინათ, აღვმალლებინათ (ქბ.) ...ამისთანა კაცნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ძველი სახალხო პოეზია ერთადერთი წყაროა, ერთადერთი ღონისძიებაა ერის ცნობიერების, საეროვნო

⁷⁸ მ. კელენჯერიძე, „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა”, 1896, გვ., II-III.

⁷⁹ იქვე, გვ., 3.

⁸⁰ „Нов. общ.", 1892, №2825.

აზრის აღორძინებისათვისაო”.⁸¹

მ. კელენჯერიძე თავის მართებულ პოზიციას ამყარებს რუსი და ქართული პედაგოგიის ნააზრევით: „ავიღოთ ნიჭიერი რუსი პედაგოგი უშინსკი და ჩვენი გოგებაშვილი. მათ „დედა ენაში“ პირველი და უმთავრესი ადგილი უჭირავს სიტყვიერების ნიმუშებს: გამოცანებს, ანდაზებს, ზნეობრივის შინაარსის ზღაპრებს და სხვ., ეს არის მიზეზი, რომ ასეთს წიგნებს აღტაცებით კითხულობს პატარაცა და დიდიც, ქალიცა და კაციც, მეტადრე მდაბიო ხალხი”.⁸²

მ. კელენჯერიძე ზეპირსიტყვიერების შესწავლის დანიშნულებას ხედავდა ახალგაზრდობაში ზნეობრივი იდეალების აღმზრდელი ფუნქციაში. მისი აზრით, ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში საამისოდ უამრავი მასალა მოიპოვება. ამის მაგალითად მოჰყავს ხალხის „შაჰნამეს“ ცნობილ მონაკვეთს „როსტომიანის“ გახალხურებული ვარიანტის სახელოვანი პერსონაჟები და, განსაკუთრებით ზურაბი, რომელიც „სამაგალითო პედაგოგნი არიან ხალხისათვისაც და კერძო კაცთათვისაც (ხაზგასმა ჩვენია ქ.ბ.). იგინი არიან განხორციელებანი დიდ-სულოვნებისა, პატრიოტიზმისა, კაცურის კაცობისა, დარბაისლობისა (ქ.ბ.), და თითქმის მაღალის სათნოებისა”.⁸³

მ. კელენჯერიძე დიდად აფასებს ხალხის შეფასებას ჩვენი სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწეების ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, არსენსა და სხვათა შესახებ. აქვე იგი პარალელს ავლებს ლიტერატურულ ბელეტრისტიკასა და ზეპირსიტყვიერებას შორის და ასეთ დასკვნას აკეთებს: „რა გრძნობასაც გაუღვივებს ხალხს ერთი ისტორიული ლეგენდის სახით დარჩენილი ამბავი თამარისა, ან ირაკლის ცხოვრებისა, იმ გრძნობას ვერ აუფეთქებს მთლად ის ნაწილი ჩვენის ბელეტრისტიკისა, რომელიც დაშორებია სოფლის ხალხს და მის-მიერ შექმნილ სიტყვიერებას, დაშორებია, მაშასადამე, ეროვნულსა და ერთ – საზოგადო ნიადაგს”.⁸⁴

უფრო მეტიც, მ. კელენჯერიძე მიიჩნევს, რომ მოზარდ თაობაში ჭეშმარიტი მამულიშვილების, მათი ეროვნული შემეცნების აღზრდა მხოლოდ ხალხური შემოქმედებით მიიღწევა. „ასეთი ლექსები რომ დღეს ჩვენმა ხალხმა იკითხოს, ნამეტურ იკითხონ, ქუჩისა, ბულვრისა და ლუდხანების გმირებმა, დიდს სარგებლობას მოუტანს, ბევრჯელ დააფიქრებს (ხაზი ჩვენია -ქ.ბ.) ...მისის კითხვით

⁸¹ მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ., 6-7.

⁸² იქვე, გვ., 9-10.

⁸³ იქვე, გვ., 12-13.

⁸⁴ მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ., 17-18.

ჩვენი ხალხი...გაიძლიერებს ნაციონალურს შემეცნებას, შემეცნებას წარსულ იდეალებისას და მომავალში ახალ როლს მოკიდებს ხელს”.⁸⁵

ჩანს, პატრიოტი პედაგოგი ჭეშმარიტად შეუშფოთებია იმ დროს ფართოდ ფეხმოკიდებულ ე.წ. ლუდხანურ თუ ქუჩურ „ცივილიზაციას”, რაშიც მას მოზარდ თაობაზე მაგნე ზეგავლენის საშიშროება დაუნახავს. „თუ გესურს დავიცვათ და აღვზარდოთ ხალხში ნაციონალური მისწრაფება, ერთობა და ამ მხრით წინააღმდეგეთ იმ ლუდხანურ და ქუჩურს „ცივილიზაციას”, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ფეხს იკიდებს...ჩვენ მოვალენი ვართ მივეშველოთ ხალხს და მოშხამული ლუკმის მაგიერ, ის წმინდა და ნოყიერი ლუკმა მივაწოდოთ, რომელმაც საქართველო მრავალი საუკუნე ზარდა...შევიგნოთ ის, რომ, თუ ხალხს გადაავიწყდა წარსული, გაუქრა მისი ხსოვნა, მისდამი სიმპატია, დაეკარგა ეროვნული შემეცნება, რომელიც არის პირველი ფაქტორი ერის გაძლიერებისა და თვით – არსებობისა, რომელზედაც არის აგებული ყოველის ერის სიცოცხლე, - თუ ეს ყოველივე გამოქარდა ხალხის გონებიდან, მაშინ ველარაფერი ვერ დაიჭერს ქვეყანას დაცემისაგან, გათახსირებისაგან. ეს დაცემა იქნება უკანასკნელი, დიდი, სამუდამო, იქნება ძილი გაუღვიძებელი...თუ ხალხმა თავისი იდეალები, გმირები, პრინციპები დაივიწყა, თუ წარსული ვეღარ წარმოიდგინა, ვეღარ გაიხსენა იგი სრულიად მოკვდება, გაქრება, რადგან დღეს ვერაფერს ვერ ხედავს სანუგეშოს”.⁸⁶

მ. კელენჯერიძეს სწამს, ზეპირსიტყვიერების სიბრძნეს უფრო მეტად მისი შემოქმედი, ხალხი, აფასებს და პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებს ცხოვრებისეული სიძნელების გადასაღლახავად, ნათქვამის საილუსტრაციოდ ავტორს მოყავს ცხოვრებისეული სიბრძნე და ინტერესები, ...უფრო კონკრეტულად, აქ მ. კელენჯერიძეს მხედველობაში აქვს ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „გლახის ნაამბობის” პერსონაჟის გაბრიელის დამოკიდებულება წიგნებიდან მოსმენილი ხალხური ზღაპრებისადმი. მოვიყვანოთ მისი სიტყვები: „გლახი თავისს ნაწარმოებს უფრო ადვილად აცნობს, იგებს; ხალხს უყვარს მისივე ტიპები უფრო, ვიდრე რომანები და ტრაგედიები”.⁸⁷

უფრო მეტიც, ზეპირსიტყვიერებას იგი მიიჩნევს ქართველი ხალხის თავანკარა წყაროდ. „ჩვენს ისტორიაში ძვირად შეხვდებით იმისთანა მომენტებს, როცა ჩვენს ერს ბედი სრულიად და სავსებით გაღიმებოდეს. ჩვენი ერი არის მოწამე

⁸⁵ იქვე, გვ., 133.

⁸⁶ მ. კელენჯერიძე დასახ. ნაშრ., გვ., 154-155.

⁸⁷ იქვე, გვ., 19.

სარწმუნოების და ნაციონალურის თვით – არსებობისა, - ამ ორის უმაღლესის დედა-აზრისათვის ტანჯული და თავდადებული. ესე ყოველივე ატყვია ჩვენს სახალხო პოეზიას: აქ თქვენ წამ-დაუწუმ შეხედებით კენესას, მოთქმას, საზოგადოდ, ელეგიურს გრძნობას; მგოსანი მუდამ შენატრის წარსულს დიდებას; მომაგალს კი ხან იმედით და ხან სასოწარკვეთილებით შესცქერის”.⁸⁸

მ. კელენჯერიძე ნაშრომში ერთმანეთისგან განარჩევს პოეზიისა და სიტყვის (პროზის-ქ.ბ.) ორ არსებით მხარეს: „პოეზიასა და სიტყვას ორი მხარე აქვს: შინაარსი და ფორმა. ეს ორი მხარე ისე ცხადად არის ხალხის ძველ სიტყვიერებაში გარჩეული, რომ მათი არეგ-დარეგა და შეერთება არღვევს მთელის ნაწარმოების აზრს, მის გონივრულ ბუნებას”.⁸⁹

მ. კელენჯერიძის ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მ. კელენჯერიძე ზეპირსიტყვიერებას აღსაზრდელთა გონებრივი და ზნეობრივი სულიერების ჩამოყალიბებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „გადავაგლოთ თვალი ქართულს ზღაპრებსაც. ამ ზღაპრებში არა ნაკლები ჭკუისა სასწავლო მასალაა ხალხისათვის, არა ნაკლები ჭკუისა და ზნეობის მასწავლებელი მაგალითებია (ხაზგასმა ჩვენია - ქ.ბ.) ...ზღაპრებსა და ლეგენდებში შეხედებით...ღრმა პრაქტიკულს ჭკუას, ძლიერს სიყვარულს, თავ-დავიწყებულს მეგობრობას, ქართულს სტუმართმოყვარეობას და სხვ.”⁹⁰ აქვე, ავტორი „ნაცარქექიას” მაგალითზე შემდეგს გვეუბნება: „ნაცარქექია მოგაგონებთ ქარაფშუტა, ცარიელ-ტარიელ კაცს და დაგაფიქრებთ, რომ ჭკუის მოპოებაა საჭირო, მეტის ღირსების შეძენა უნდა, მეტი სიბრძნე უნდა მოიმუშაკოთ, რათა მეტი ფასი დაგედოთ, მეტი სამძიმე და დარბაისლობა გქონდეთ და საფარდულეში ისე ვერ გახტეთ, როგორც ნაცარქექია”.⁹¹

ავტორი აქვე, ერთგვარი აღტაცებით იმასაც აღნიშნავს, რომ „არც ერთის ხალხის პოეზია არ ატკობს ყურს, სმენას თავისის მუსიკით, ხმების ჰარმონიული წყობით ისე, როგორც ჩვენი სახალხო პოეზია”.⁹² ცხადია ავტორის ამ მოსაზრებაში შეიძლება ამოვიკითხოთ ზეპირსიტყვიერების ესთეტიკური ღირებულების გარკვეული მინიშნება.

ზეპირსიტყვიერების პედაგოგიურ და ესთეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, მ.

⁸⁸ იქვე, გვ., 118-119.

⁸⁹ იქვე, გვ., 75.

⁹⁰ მ. კელენჯერიძე დასახ. ნაშრ., გვ., 148.

⁹¹ იქვე, გვ., 149.

⁹² იქვე, გვ., 77.

კელენჯერიძე მიუთითებს მის სამეცნიერო მნიშვნელობაზეც. კერძოდ, აქ მხედველობაში აქვს ზეპირსიტყვიერი მასალის ისტორიოგრაფიისათვის გამოყენება: „ერთი პატარა ნაშთი ძველის მწერლობისა და ან ძველ სახალხო თქმულებისა ზოგჯერ იმდენს ეტყვის ისტორიკოსს, რამდენსაც ვერ ეტყვის მთელი გუნდი...ფილოსოფოსებისა, რომელთაც ფანტაზიაზედ განუზრახავთ ისტორიის აშენება. ერთი ასეთი ნაშთი ხანდისხან ადადგენს მთელს ეპოქას...ასეთივე ნაშთი უკუ-გვაგდებინებს მრავალს თეორიას და მშვენივრად დასტამბულს წიგნებსაც, სადაც ისტორიკოსი წინ უსწრობდა წყაროების აღმოჩენას და მასალების დამზადებას“.⁹³

ამრიგად, ავტორი ზეპირსიტყვიერებას განიხილავს როგორც საიმედო წყაროს ისტორიული მეცნიერებისათვის: „...წარსული ერისა, მისი კულტურა...ხსოვნა-მეხსიერება, მისი გარდმოცემანი, საზოგადოდ მისი გონებრივი ნაწარმოებნი, ისე მტკიცედ არიან ერთმანერთ შორის გადაკვანძილნი, ჩაქსოვილ-ჩაწნული, რომ უერთმანერთოდ ვერ წარმოადგენენ სრულს მასალას ვერც ლიტერატურის ისტორიისათვის კერძოდ და ვერც ისტორიისათვის საზოგადოდ“.⁹⁴

ამავე დროს, ავტორი არ ივიწყებს ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობას სამამულო მეცნიერების სხვადასხვა დარგების: ფილოლოგიის, ეთნოგრაფიის, იურიდიულის, ანთროპოლოგიის და სხვა დარგების განვითარებისათვის.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ზოგადპედაგოგიკური იდეები, რომელიც ნაშრომშია ასახული, მაგალითად, ზეპირსიტყვიერების სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ამ ნაშრომში ასეა შეფასებული: „...იგი (ხალხური პოეზია – ქ.ბ.) უფრო ახლო უკავშირდება ჩვენს ცხოვრებას და სამშობლოს ბედილბაღს. ამ პოეზიაში თქვენ უფრო ცხადად შეგიძლიათ შეამჩნიოთ სხვა-და-სხვა სოციალური, ეკონომიური და ზნეობრივი საგნები, რომელიც მუდამ თვალ-წინ უდგა ხალხს და უღელვებს ცხოვრებას. ხალხი თვის ნაწარმოებში მუდამ ეხება ამ საგნებს და თავისს აზრსა და გრძნობას მათ შესახებ უზიარებს ყველას. აღჭურვილი ყოველნაირის ეპითეტებით იგი მზად არის, რომ საქები აქოს და საგმობელი გმოს და აძაგოს“.⁹⁵

ხალხური შემოქმედება, - ავტორის აზრით, - გმირობის, მამაცობის შესანიშნავ ნიმუშებს იძლეოდა, რაც ჩვენის აზრით, ბუნებრივად დაბადებდა პედაგოგში

⁹³ მ. კელენჯერიძე დასახ. ნაშრ., გვ., 165.

⁹⁴ იქვე, გვ., 169.

⁹⁵ იქვე, გვ., 127.

სურვილს, მოზარდი თაობა ამ ნიმუშებზე აღეზარდა. „აგერ გმირი დაუტყვევებიათ, იცის, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია. მაგრამ მაინც არ ივიწყებს, რომ გმირია და არა ლაჩარი; ამიტომ თვისის ღირსების შეგნებით უპასუხებს ურჯულოსა და უწყალო მტერს:

„რათ არ იცი, უგნურო
 ღომთა როგორ იჭერს ბადე,
 ხელ-შეკრული ტყვე გახლავარ,
 გამიშვი და გამომცადე!“⁹⁶

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ავტორი ასეთ დასკვნას აყალიბებს: „ჩვენი სახალხო პოეზია იმდენად შესანიშნავია თავისი კილოთი, ე. ი. ენის სიწმინდით, საესტეტიკო სიცხოველით, რომ იგი უნდა იყოს ჩვენის ხალხისათვის პირველი საკითხავი წიგნი“.⁹⁷

აქედან გამომდინარე, მ. კელენჯერიძე ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და შესწავლას საშურ საქმედ მიიჩნევს და ამასთან, იძლევა მითითებებსაც, როგორ შეიკრიბოს ხალხის გონებრივი ნაშთი.

„მასწავლებელმა კანიკულებში უნდა დაავალოს შაგირდებს ყველა იმ ლექსებისა, ზღაპრებისა, ჩვეულებებისა და სხვ. ჩაწერა, რომლებსაც გაიგონებენ და შეიტყობენ სოფელში. მასწავლებელმა შეგირდს წინდაწინვე ვრცელი ინსტრუქცია უნდა მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს თქმულება. ...შეგირდმა ზღაპრის სათაური უნდა დაწეროს, რომ კაცმა იცნოს ახალს ზღაპართან აქვს საქმე, თუ არა; უნდა აღნიშნოს სოფელი, სადაც ჩაიწერა და იმის სახელიც, ვინც უამბო ჩამწერს; ასე შეკრებილი მასალა უნდა გადაითვალიეროს და ასო-ასოდ განმეორებული ზღაპრები გამოსტოვონ, ან უკეთესია, შენიშნოს იმის შესახებ, რომ ამა და ამ ადგილებშიც იპოვება ასეთი და ასეთი ზღაპრები; სრულებით ახალი და სხვა-და-სხვა ვარიანტები კი წარადგინოს, სადაც რიგია“.⁹⁸

მ. კელენჯერიძის ზემოხსენებული შრომა, ფფიქრობთ, საყურადღებოა ზეპირსიტყვიერების სწავლების ზოგადპედაგოგიკური და რამდენადმე კერძომეთოდოკური თვალსაზრისითაც. უდაოდ მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საიმედო საუნჯედ მას მიაჩნია ზეპირსიტყვიერების გაცნობა და შესწავლაც (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.)

⁹⁶ მ. კელენჯერიძე დასახ. ნაშრ., გვ., 130.

⁹⁷ იქვე, გვ., 153-154.

⁹⁸ იქვე, გვ., 299-300.

მეორეს მხრივ, ისიც დასტურდება, რომ სტატიის დაწერის დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა სათანადოდ შემუშავებული მეცნიერული საფუძველი ზეპირსიტყვიერების წმინდა მეთოდის სწავლების ტექნოლოგიების გამოსაყენებლად.

ნაშრომში, ჩანს აგრეთვე, ავტორის ცალმხრივი დამოკიდებულება ზეპირსიტყვიერებასა და წიგნიერ სიტყვიერებას შორის.⁹⁹

XIX საუკუნის ცნობილი ფოლკლორისტი, პეტრე უმიკაშვილი წლების განმავლობაში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა. აშკარაა, რომ ამ სარბიელზე სრულიად ბუნებრივად, გასჩენია სურვილი მას ახალი თაობის პროგრესული სულიერების გასავითარებლად უმდიდრესი ხალხური შემოქმედება გამოეყენებია მიზნობრივად სასწავლო პროცესში. ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი დაინტერესება ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და სწავლების ზოგიერთი რეკომენდაციის შემუშავებასთან დაკავშირებით.

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა თბილისში 1838 წლის 23 ოქტომბერს. იგი ნაადრევად დაობლდა. დაწყებითი განათლება მიიღო კათოლიკური მიძინების სამრევლო სკოლაში, შემდეგ კი კომერციულ გიმნაზიაში. ხელმოკლეობის გამო მან სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და ვინმე ტერ-აკოფოვის პანსიონში მცირეხელფასიან ადგილზე დაიწყო მუშაობა. „იგი ასწავლიდა ქართულს ენას აგრეთვე, წერა-კითხვის სკოლაში, რომელიც ბატონიშვილის ერეკლეს წყალობით დაარსდა ტფილისში. გარდა ამისა, ჰქონდა კერძო გაკვეთილებიც“.¹⁰⁰

ჩანს, ამ პერიოდიდან უნდა იწყებოდეს პეტრე უმიკაშვილის დაინტერესება ეროვნული ზეპირსიტყვიერებით. პროფ. მ. ჩიქოვანი პეტრეს შემკრებლობით მუშაობის დასაწყისად 1863 წელს ასახელებს.¹⁰¹

1864 წელს პეტრე უმიკაშვილი სასწავლებლად ნასესხები ფულით გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 1867 წლის შემოდგომამდე დაჰყო. უნივერსიტეტში მან ჩააბარა ქართული ენის გამოცდა, რითაც მიიღო ქართული ენის მასწავლებლობის უფლება.

1867 წელს, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, პეტრე დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად პირველ გიმნაზიაში.

⁹⁹ ამის შესახებ იხ. ფ. მახარაძე, „ხალხური პოეზია და ბ-ნი მ. კელენჯერიძე- კრიტიკული წერილი“, ივ., 1897; გ. წერეთელი, „ხალხური პოეზია და ბატონი მ. კელენჯერიძე - კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა“ (ბიბლიოგრაფია), „კვალი“, 1898, №5, გვ., 84-86; თ. კიკვაძე („ჭაღარა“) „სახალხო პოეზია მ. კელენჯერიძისა“ ქუთაისი, 1896; „კვალი“, 1897 №31, გვ., 582-585.

¹⁰⁰ პ. უმიკაშვილი, „სახსოვრად“, თბ., 1905, გვ. 11.

¹⁰¹ იხ. წიგნი: მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, I, თბ., 1975, გვ. 281.

პ. უმიკაშვილს სამართლიანად მიიჩნევენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1882 წ. გამოცემული „პროგრამის ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის” მთავარ ავტორად, რომლის ერთ-ერთი ავტორი იყო ი. გოგებაშვილიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამაში ნათლადაა მითითებული ერის დიდი საუნჯის, ხეპირსიტყვიერების, ჩაწერის წესი. სწორედ ეს პროგრამა გახდა ქართული ფოლკლორის მდიდარი ფონდის შექმნის საფუძველი. ხალხური სიტყვიერების საეროვნო მნიშვნელობასა და მისი შეკრების აუცილებლობაზე მიუთითა პ. უმიკაშვილმა თავის ცნობილ წერილში „უსაფუძვლო დაფოლგება”¹⁰² (დაწუნება), რომელიც გამოაქვეყნა 1888 წლის გაზეთ „ივერიის” №29 ნომერში. აღსანიშნავია, რომ სტატია წარმოადგენს „ივერიის” 1887 წლის 270-ე ნომრის „მოწინავეს” წერილის საპასუხო პუბლიკაციას.

პეტრე უმიკაშვილის მაწავლებლობის პირველ პერიოდში ქართული ენა კლასში სავალდებულო საგნად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ეს წესი შეიცვალა 1874 წელს და ქართული ენა „არასავალდებულო საგნად” გამოაცხადეს. საგიმნაზიო პროგრამიდან ამოღებულ იქნა მშობლიური ენა. მასწავლებელს გაუნახევრეს ჯამაგირი. ამ დროიდან ქართული ენა ისწავლებოდა პროგიმნაზიულ კლასებში. რაც შეეხება უმაღლეს კლასებს – აქ მშობლიურ ენაზე სწავლება დამოკიდებული იყო მშობლებისა და მოწაფეების სურვილზე. პეტრე უმიკაშვილის, უკვე მოხუცებაში შესულს გულს ტკენდა ის გარემოება, რომ მშობლებსაც და მოწაფეებს სათანადოდ ვერ შეუფასებიათ არსებული მძიმე მდგომარეობა და წერილობით თუ ზეპირად განუცხადებიათ, რომ ქართულს მერეც მოვესწრებითო.

გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა უმრავლესობა თავადაზნაურთა შვილებისგან შესდგებოდა. ბევრი მათგანი ოჯახშივე გადაჩვეული ყოფილა ქართულს და ზოგიერთი ქართულ ბგერებსაც ვერ გამოთქვამდა და წერაც დიდად გაძნელებიათ.

გიმნაზიაში ქართულ ენას პეტრე უმიკაშვილი 25 წლის განმავლობაში (1868-1893 წწ) ასწავლიდა. ქართული ენის გაკვეთილები მას ჰქონდა, აგრეთვე, ქალთა ინსტიტუტშიც, სადაც ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდა, ამ საგნის სათანადო დონეზე სასწავლებლად.

წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის დაუცხრომელ მოღვაწეს, პეტრე უმიკაშვილს, შეგნებული ჰქონდა, რომ მხატვრული ლიტერატურის სისტემატური

¹⁰² დაფოლგება – ეს სიტყვა თან. ქართულში აღარ იხმარება, ხოლო აღ. დღონტის „ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონის” მიხედვით დიალექტური ფორმაა და ნიშნავს „...ჩაფოლგება, დაწუნება; დამიფოლა ანუ ჩამიფოლა დამიწუნა”) თბ., 1984, გვ. 189-190.

კითხვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების საერთო სასწავლო-აღმზრდელობით დონის ამაღლებას. იგი მშობლებს ურჩევდა, მეტი მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი შვილების აღზრდაში, მიუთითებდა კითხვის დიდ სარგებლობაზე.

„რიგიან ოჯახებში, – წერდა პ. უმიკაშვილი, – შვილებისათვის წლოვანების მიხედვით ყიდულობენ შესაფერის წიგნებს, თანდათან უმატებენ ამისთანა სამკითხველოებს, ინახავენ და ერთი შვილებისათვის ნაყიდი მეორეს გამოადგება, მეორე – მესამეს და ამგვარად ერთხელ დაფუნდებული ნელ-ნელა შეუმჩნევლად დიდდება, საოჯახოდ მთელი კრება წიგნებისა გროვდება, არ იფანტება, დედ-მამა ყმაწვილებს წიგნების მოვლას და შენახვას ასწავლის, წიგნების შერჩევასა და კითხვას აჩვენებს. ამგვარი ხელის შეწყობა ყმაწვილებს უღვივებს თვითმოქმედების, თვითგამჭრიახობის ძალებს და ეხმარება, რომ ყმაწვილმა სასწავლებელშიც უმეტესი მხნეობა, გასჯა და ხალისი გამოიჩინოს”¹⁰³ (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ბ.). ჩვენი აზრით აქ პ. უმიკაშვილი მოუწოდებს მშობლებს იზრუნონ და ხელი შეუწყონ მოზარდი თაობის ლოგიკური აზროვნების განვითარებას, პატარაობიდანვე გამოუმუშაონ ბავშვებს წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

პ. უმიკაშვილი, ცნობილ წერილში „ხალხური სიტყვიერების საპედაგოგიო მნიშვნელობა” (სათაური შინაარსიდან გამომდინარე ეკუთვნის რედაქციას, პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 260) უმდიდრესი ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და მისი სასწავლო-აღმზრდელობითი როლის შესახებ აღნიშნავს: „ხელოვნებითი მწერლობა (ლიტერატურული მწერლობა – ქ.ბ.) მხოლოდ ნახევარია მრთელის იმ სულიერი მხრის გამომხატველს ძაღისა, რომელიც თვითთუღს ხალხს ნიჭადა აქვს, ხოლო მეორე ნახევარი არის ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები! მაშასადამე, სანამ ეს მეორე ნახევარი არ გამოქვეყნებულა, ხალხის შესწავლას აკლია დიდი მასალა. (ხაზი ჩვენია - ქ.ბ) ამიტომ ყოველ რამდენადმე განათლებულ ხალხში ჯეროვანი ყურადღება არის მიქცეული და მთელი აკადემიები და მეცნიერნი შრომობენ სახალხო სიტყვიერების შეკრებაზე და მისს გამოკვლევაზე”.¹⁰⁴

პ. უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად ადარებს ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების მიერ ასახულ ცხოვრებისეულ რეალობას. მას მიაჩნია, რომ

¹⁰³ „კვალი” , 1893, №5, გვ. 2.

¹⁰⁴ პ. უმიკაშვილი, ტ. IV, გვ. 226.

ზეპირსიტყვიერი სულიერება ბევრად ფართოდ, ეპოქისეული მოვლენების მაგალითად და ხატოვნად ჩვენებით აცნობს მკითხველს ხალხის სურვილებსა და ცხოვრებას, ვიდრე ისტორია. „რა შექმლო ისტორიკოსს რომელისამე ხალხის სულიერის მხარის გასაცნობისათვის, საიღამ შეიტყობდა მისს უძველესს გულითადს მიდრეკილებას, მის მოყვრობას, მტრობას სხვა ხალხებთან, როდესაც უძველესი ისტორიულნი მოთხრობანი ამაზე არაფერს არ მოწმობენ“.¹⁰⁵ ისტორიკოსი, რომელიც არ იცნობს ზეპირსიტყვიერებას, ვერ შეიცნობს „ხალხის მხედველობას ქვეყნიერებაზე“, ვერ გაიგებს „რომელი მწუხარება უფრო აწუხებდა“ და „რომელი სიხარული ახარებდა“, რა იმედი ასულდგმულებდა მის ხალხს. სულ სხვაა ისტორიკოსი, რომელსაც შეცწავლილი აქვს „სიტყვიერებითი ნაწარმოები“. „ისტორიკოსი ხალხის გამოთქმული მოკლე ლექსით ათიოდ სიტყვით წარმოგიდგენს ისეთს ნამდვილს სურათს ხალხის ცხოვრებისას, რომელსაც ბევრჯერ ვრცელი აღწერა და ტრაქტატი ვერ გადმოგვცემდა“.¹⁰⁶

ამრიგად, პ. უმიკაშვილის ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი სიბრძნის, ცხოვრებისეული სინამდვილის ამსახველია ზეპირსიტყვიერება და მეორე მხრივ, მასში ვლინდება მისი, როგორც პედაგოგის, შეხედულება ზეპირსიტყვიერების სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, პ. უმიკაშვილი ზეპირსიტყვიერებას განიხილავს როგორც ისტორიის შემავსებელ ერთ-ერთ წყაროს. და, ამიტომაც იგი მიიჩნია მან ისტორიასთან შედარებით მეტი შესაძლებლობების წყაროდ. ჩვენი შეხედულების საილუსტრაციოდ საყურადღებოა პ. უმიკაშვილის შემდეგი მოსაზრება: „სიტყვიერების ნაწარმოებით შედგენილი სახელმძღვანელო ყმაწვილს ისე მოამზადებს და გახსნის, როგორც გონივრული პედაგოგია მოითხოვს და მათისავე მოთხოვნების დაგვარად მას შეუერთებს როგორც მოქალაქეს თავის სამშობლოს ქვეყანასთან, გახდის მას მონაწილედ დიდის ოჯახის ცხოვრებაში“.¹⁰⁷

ჩვენი აზრით, ახალგაზრდობის გასაწვრთნელად ეს რეკომენდაციები თუ მითითებები ამ შემთხვევაში პ. უმიკაშვილისათვის არ არის არაბუნებრივი, რადგან იგი მოწოდებით პედაგოგი იყო, ამყობდა თავის პროფესიით და სად შეიძლებოდა მოენახა მოწაფეთა სანიმუშო სასწავლო-საგანმანათლებლო მაგალითები, თუ არა ხალხურ სიბრძნეში, რომელშიც, მართლაც ახალგაზრდობის აღზრდის და

¹⁰⁵ იქვე, გვ. 227.

¹⁰⁶ პ. უმიკაშვილი, ტ. IV, გვ. 227.

¹⁰⁷ იქვე, .229.

განათლების ნაირ-ნაირი მაგალითებია შემონახული.

ზეპირსიტყვიერების ამ სააღმზრდელო ზემოქმედების შედეგს ემოციურად გადმოგვცემს პ. უმიკაშვილი ერთ-ერთი მოწაფის ბეჯითი, გატაცებული მეცადინეობის სურათის აღწერით: „შეხედეთ ყმაწვილს, რომელსაც ეს არის ჩათვლით კითხვა დაუწვია და კითხულობს სახალხო პატარა არაკს, ან ლექსსა, მთლად სიცოცხლედ გარდაქცეულია. წაკითხული ცოცხლად ესმის, სოფელში, აქვე, გაიგონა, წარმოუდგება მრთელის სინამდვილით ნახული... ეკითხებით და სხაპასუხებით ცოცხლად პასუხს გაძღვეთ კითხვაზე და თითონ კითხვას გაძღვეს, რადგანაც ბევრი რამ წარმოუდგება“.¹⁰⁸ ამის შემდეგ აღფრთოვანებით წერს: „ეს იმ კითხვას არა გავს, რომელსაც ხელოვნურად ნაწერის ან ნათარგმნის დროსა ხედავთ. იქ თქვენ უნდა გააცხოველოთ და ძალათ, წვალებით გამოიწვიოთ ყმაწვილისაგან პასუხი“.¹⁰⁹

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ვთქვათ, რომ პედაგოგი პ. უმიკაშვილი იცნობდა თავისი დროის ჯანსაღ დიდაქტიკურ მოძღვრებას და ამის მიხედვით მოწაფეთათვის, უპირატესობას ანიჭებდა მათთვის მისაწვდომი შინაარსისა და მომხიბლავი ფორმის ზეპირსიტყვიერი მასალის სწავლებას: „ყმაწვილს ესმის იმაში გამოთქმული მარტივად, მაგრამ ღრმად. ის სწავლობს საგნის გაგებას ისე, როგორც ბევრს იმის მონათესავე ხალხს ესმის“.¹¹⁰

პატრიოტი პედაგოგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ერის შვილია. მას სწამს ხალხის ცხოვრებისეული სიბრძნე, რაც ასე უხვადაა ასახული ზეპირსიტყვიერებაში და იმედი აქვს ზეპირსიტყვიერების სიბრძნე დიდ სამსახურს გაუწევს მასავით პატრიოტი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას. ერთი სიტყვით, წერს იგი: „ყმაწვილს ესმის და სწავლობს თავის ძმობას იმ ხალხთან, რომელშიც სცხოვრობს; სწავლობს რომ დედამიწაზე სხვა ოჯახებს შორის დიდი საერო იმის მონათესავე ოჯახობაც არის, ისიც ამ ოჯახის შვილია...“.¹¹¹

პ. უმიკაშვილის ზოგადპედაგოგიკურ იდეებში ჩანს სამოციანელთა დემოკრატიული აღზრდის მოთხოვნები, რომლის მიხედვით ისინი ითვალისწინებდნენ „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდას, ეს კი იმის მანქვენებელია, რომ მისთვის უცხო არ იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელისა და იაკობ გოგებაშვილის საგანმანათლებლო შეხედულებები. სწავლებაში „დამპაღ ადამის-

¹⁰⁸ პ. უმიკაშვილი, ტ. IV, გვ. 228.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე. გვ. 229.

¹¹¹ იქვე.

უამის” წიგნების უარყოფა და ხალხის ცოცხალი სიტყვისათვის უპირატესობის მინიჭება გამჭვირვალედ ასაბუთებს პედაგოგის თავდადებას განმანათლებელი იდეებისადმი.

ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლებას პ. უმიკაშვილი, გარდა ახალგაზრდობის ზნეობრივ-პატრიოტული იდეებით აღზრდისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ე.წ. მშრალი გრამატიკის სანაცვლოდ მშობლიური ენის გრამატიკის სწავლებაშიც. „ენის მასწავლებელს არ შეუძლიან უიმათოდ (ზეპირსიტყვიერების გარეშე –ქ.ბ.) გაუმართოს თავის მოწაფეებს ენა და არ შეუძლია ჩაუნერგოს ნამდვილი, ინსტიქტით გადაქცეული სიყვარული, ღვიძლი სიყვარული და არა ზედმიკვრებული”.¹¹² (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.)

პ. უმიკაშვილი მიზანშეწონილად თვლიდა მოწაფეები ჩაება სოფლად ზეპირსიტყვიერების შეკრებაში, რაც მათ დაეხმარებოდა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ მიზნით იგი ითვალისწინებს მსოფლიო ფილოლოგიურსა და პედაგოგიურ გამოცდილებას: „ყველა განათლებულ ხალხებში დიდის მეცადინეობით შეუკრებიათ და უბეჭდიათ ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებები. ევროპაში წარჩინებულ და სახელგანთქმულ მასწავლებლებს სოფელ-სოფელ უვლიათ, უწერიათ და შემდეგ დაუბეჭდიათ. რუსეთშიაც აგერ 1815 წლითგან ჰკრეფენ და ბეჭდავენ მრავალ ტომებს”.¹¹³

პ. უმიკაშვილი იაკობ გოგებაშვილთან ერთად ქმნის ზეპირსიტყვიერების შემკრებლობითი საქმიანობის რეკომენდაციებს და ამის მიხედვით პრაქტიკულად აძლევს მოწაფეებსა და სხვა დაინტერესებულთ საჭირო დარიგებებს. „სწავლაში და სწავლებაში დიდი მასალაა ეს ხალხური ზღაპრები, სიმღერები, შაირები, არაკები, გამოცანები, შელოცვები, ანდაზები”.¹¹⁴

ცნობილი ფოლკლორისტის, თ. ჯაგოდნიშვილის, მოსაზრებით იმ დროისათვის პ. უმიკაშვილის ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლებითა და შეკრებით დაინტერესება საკმაოდ ფესვგადგმული იყო. ი. გოგებაშვილმა ზეპირსიტყვიერ ტექსტებს დიდი ადგილი დაუთმო თავის „დედა ენის”, „ბუნების კარის” და მოსწავლეთათვის განკუთვნილ სხვა საკითხავ წიგნებში. საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში, ისევე როგორც მრთელს რუსეთის იმპერიაში, ხალხური სიტყვიერება, როგორც ლიტერატურის ისტორიის ნაწილი, მტკიცედ

¹¹² პ. უმიკაშვილი, ტ. IV. გვ 192.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე.

დამკვიდრდა სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამებში”.¹¹⁵

ზეპირსიტყვიერების პოპულარიზაციისა და ხალხში გავრცელების მიზნით პ. უმიკაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო წიგნების შედგენასა და ხალხში წერა-კითხვის გავრცელებაშიც. მისი აზრით: „ხალხში წერა-კითხვის გავრცელება უსკოლობის გამო გაძნელებული იყო, წერილ წიგნების ბეჭდვას ვეხმარებოდი. ხელნაწერებს ადრიდანვე ვკრებდი. ამ ხელნაწერებს ყურადღება მივაქციე, – ზოგი ისეთი აღმოჩნდა, რომლებშიაც ემჩნევოდა შეუჩვენეელის ხელით ნაწერობა და ერთი და იგივე ამბავი ათ-თხუთმეტ სხვა და სხვა წიგნში ერთი და იგივე იყო. ამ ამბავმა ჩამაგონა, ეს ამბები ხალხში გავრცელებულია სიტყვიერად და დაბეჭდილიც მალე გავრცელდება – მეთქი”.¹¹⁶ ამ მიზნით მას შეუგროვებია მასალები და 1872-1875 წლებში კიდევ დაუბეჭდავს რამდენიმე იაფ-ფასიანი წიგნი. ეს წიგნაკებია: „ბეჟანიანი”, „ქალ-ვაჟიანი”, „ალექსიანი”, ზოგიერთი სახალხო ლექსები, „არსენას ლექსი” და სხვ. მართალია, ამ წიგნების უმრავლესობას შინაარსობრივად ნაკლოვანებები ახლავს (ეს თვით შემდგენელმაც კარგად იცოდა), მაგრამ ასეთი სახით ხალხში წიგნების გავრცელება არ იყო უსარგებლო. ვინ იცის არსენას ლექსმა ან ქალ-ვაჟიანმა რამდენი წერა-კითხვის არ მცოდნე დააინტერესა და ქართული წიგნების სწავლის წყურვილი აღუძრა! ეს წიგნები ათი-ათასობით გავრცელდა მდებო ხალხში და ბევრმა მათი შემწეობით ისწავლა ქართული წერა-კითხვა. ამასთან დაკავშირებით პ. უმიკაშვილი შენიშნავს: „ნაკლუვანება ზოგ ამ წიგნებისა კარგად ვიცოდით, მაგრამ ჩემი საკუთარი საყვედური და სხვების საყვედური იმით გამიქარებია, რომ ეს პირველი ნაკადული იყო, რომელიც დაიძრა და თუ ამ ნაკადულს ჭუჭყი მოჰყვა, ამას დრო წაჰრცხს და წაიღებს”.¹¹⁷

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეკრებას პ. უმიკაშვილი მხოლოდ თვითონ კი არ ეწეოდა, არამედ ამ საქმეში მას აქტიურად ჰყავდა ჩაბმული თავისი მოწაფეები. ამის შესახებ იგი თავის წერილშიც „სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება” აღნიშნავს: „აგერ რამდენიმე წელიწადია ვაგროვებ სახალხო ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს და სხვა. რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა, მაგრამ კიდევ დამატება, შევსება ვამჯობინე და არცა ვნანობ, რამდენმამე ყმაწვილმა მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს შრომაში და მესამედზე მეტი იმათ

¹¹⁵ პ. უმიკაშვილი, ტ. IV. გვ., 192.

¹¹⁶ პ. უმიკაშვილი, „სახსოვრად”, გვ. 15.

¹¹⁷ იქვე, გვ. 16.

ეკუთვნით”.¹¹⁸ აქვე ნათქვამია, რომ ამ სტატიის დაწერის მიზანია ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა შეკრებაში ხალხის ჩაბმის აუცილებლობა: „ვთხოვ, ვისაც შეუძლია, ამ შრომაში მონაწილეობა მიიღოს. ესე იგი სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვანი დასწეროს და გამომიგზავნოს. ამის დაბეჭდვას მე ვიკისრებ”.¹¹⁹ შემდეგ განაგრძობს წერილის ავტორი: „ეს შეუძლიათ სხვადასხვა სასწავლებლის ქართველ მოსწავლეთა, მეტადრე მაღალ კლასელებს, რადგანაც ზაფხულობით სუყველანი თითქმის სოფლებში სცხოვრობენ და თავისუფალი დროცა აქვთ. ეს შრომა თვით მოსწავლეთათვის სასარგებლო იქნება, სხვათა შორის ახლოთ გაიცნობენ ნამდვილ ქართული ენის კილოსა”.¹²⁰ (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.) ამ მოსაზრებიდან ჩანს, რა მაშტაბებით ფიქრობდა პ. უმიკაშვილი ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და, აგრეთვე, როგორი პედაგოგიური მიზანდასახულობით სურდა ხალხის გაუხუხნებელი საუნჯის გამოყენება.¹²¹

პ. უმიკაშვილს ზეპირსიტყვიერების სწავლებასა და შეკრების საქმეში გამოუჩნდნენ ერთგული მოწაფეებიც. ერთ-ერთი მათგანი, ზაქარია ჭიჭინაძე, შემდგომში გვევლინება როგორც ზეპირსიტყვიერების შემკრები და სახალხო წიგნების აქტიური გამომცემელი. მისი მოღვაწეობის შესახებ ვარლამ მაცაბერიძეც წერდა: „პ. უმიკაშვილი იყო მისი უშუალო მასწავლებელი ერეკლე ბატონიშვილის მიერ დაარსებული წერა-კითხვის სკოლაში, სადაც პ. უმიკაშვილი ასწავლიდა ქართულ ენას. ზ. ჭიჭინაძემ აქ 13 წლის ასაკამდე დაჰყო, მაგრამ ესეც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ პ. უმიკაშვილს ჩაენერგა მისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარული. ისინი შემდგომ წლებშიაც ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათ საერთო საქმე აკავშირებდათ”.¹²²

მ. კელენჯერიძისა და პ. უმიკაშვილის ზოგადპედაგოგიკური და, აგრეთვე, ნაწილობრივ კერძომეთოდოლოგიური შეხედულებების შემდეგ ცნობილმა რომანისტმა და შემოქმედმა პედაგოგმა ვასილ ბარნოვმა, შეიძლება ითქვას, ახალ საფეხურზე აიყვანა ზეპირსიტყვიერების სწავლების როგორც ზოგადპედაგოგიკური, ასევე კერძომეთოდოლოგიური რეკომენდაციები. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად. საქმე ის არის, რომ იგი, როგორც აღვნიშნეთ, სახელოვანი პედაგოგიც იყო. ვ. ბარნოვი „ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქართულ

¹¹⁸ პ. უმიკაშვილი, ტ. IV, გვ. 192-193.

¹¹⁹ იქვე, 193.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ ამის შესახებ იხ. წიგნი: თ. ქურდოვანიძე, „ქართული ფოლკლორი“, თბ., 2001, გვ. 31.

¹²² ვ. მაცაბერიძე, ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი, თბ., 1977, გვ. 59.

სკოლას, როგორც საუკეთესო მასწავლებელი, შეუდარებელი მეთოდისტი და გულისხმიერი აღმზრდელი"¹²³ იგი მუშაობდა მასწავლებლად ახალსენაკში (ცხაკაია), თელავში და საბოლოოდ, თბილისში-სასულიერო სემინარიაში. 1918 წელს კი მიწვეულ იქნა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორად. ერთი მხრივ, სკოლაში ხანგრძლივად მუშაობამ, მეორე მხრივ, რთულმა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ, რაც აუცილებლად მოითხოვდა ახალი ტიპის ქართველის ნორმალურ აღზრდა-განათლებას, მწერლისა და პედაგოგის წინაშე დააყენა ამოცანა, ეზრუნა ეროვნული სულიერების, კერძოდ, დამწერლობითი ხასიათის თხზულებებისა და მრავალსაუკუნოვანი ქართული ზეპირსიტყვიერების მეცნიერულ დონეზე სწავლებისათვის. მაგრამ სამწუხაროდ, იმ პერიოდისათვის, როდესაც პედაგოგად მოღვაწეობდა ვასილ ბარნოვი, ჩვენში არ იყო სათანადოდ განვითარებული მეცნიერული დიდაქტიკა. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა თვით ქართული მწერლობის ჯანსაღ მეთოდოლოგიურ საფუძველზე განვითარების პირობები: თავი იჩინა ლიტერატურაში მრავალგვარმა ვულგარულ-სოციოლოგიურმა მიმართულებებმა. ცხადია, ასეთ რთულ პირობებში არ იყო იოლი ვასილ ბარნოვისათვის, როგორც XIX საუკუნის დიდი განმანათლებელი მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა იდეებით ჩაგონებულ პედაგოგისათვის, ქართველი ახალგაზრდობის დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად სწავლა-განათლება. ამიტომაც, თავდაპირველად მან ყურადღება მიაქცია საკუთარ ოჯახში აღზრდის ტრადიციებს. განსაკუთრებით დედის მიერ ხალხური ზღაპრებისა და საგმირო ლექსების კითხვის პრაქტიკას, შემდეგ გაითვალისწინა უთუოდ როგორ აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ეროვნულ ზეპირსიტყვიერებას და ხელი მიჰყო, სრულიად მართებულად, ქართული ფოლკლორული მასალების სწავლების ფილოლოგიური და, რაც ჩვენთვის მთავარია, მის პედაგოგიკურ მეცნიერების თვალსაზრისით დამუშავებას. ბუნებრივია ასეთ პირობებში, ვასილ ბარნოვს უნდა ჰქონოდა გარკვეული ზოგადპედაგოგიკური მოსაზრებანი. (ხაზი ჩვენი - ქ. ბ.) ჩვენი დაკვირვებით ეს მოსაზრებანი კარგად ჩანს ხალხური სიტყვიერების სწავლების მიზნით დაწერილ ისეთ შრომაში, როგორიცაა: „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ (1919).

რასაკვირველია, დიდი რომანისტის ეს ნაშრომი ფილოლოგიური

¹²³ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, პედ. მეცნ. ინსტ. თბ., 1953, გვ., 238.

თვალსაზრისით ჯეროვნადაა შესწავლილი ცნობილ ფოლკლორისტთა მიერ.¹²⁴
მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ამ ნაშრომის ზოგადპედაგოგიკურსა და მეთოდოლოგიურ მონაცემებზე (ხაზი ჩენია - ქ. ბ.).

ირკვევა, რომ ნაშრომში ზეპირსიტყვიერების სწავლება გათვალისწინებულია შემდეგი დიდაქტიკური მოთხოვნების მიხედვით:

1. ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლა ადვილიდან-ძნელზე გადასვლის პრინციპით.
2. ხალხური მასალების სწავლება მოწაფეთა გმირული სულისკეთების ჩამოყალიბებისათვის
3. ხალხური მასალების სწავლება მოწაფეთა პატრიოტული სულისკეთების აღსაზრდელად და სხვა.

მეორე მხრივ, ვ. ბარნოვს ხალხური ზეპირსიტყვიერების სწავლების გასაუმჯობესებლად არა მხოლოდ თეორიული მითითებანი მოუცია, არამედ პრაქტიკულადაც განუხორციელებია თავისი პედაგოგიური ჩანაფიქრი სკოლაში მოღვაწეობით. ეს ნათლად ჩანს ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მემუარებში და, აგრეთვე, მისი ყოფილი მოწაფეების არაერთ მოგონებაშიც.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით დიდად საინტერესოა ცნობილი ქართველი მოღვაწის, თედო სახოკიას მოგონება, სადაც ვასილ ბარნოვი, როგორც მასწავლებელი დახასიათებულია უწინარეს ყოვლისა ადამიანად, რომელმაც აგრძნობინა მოწაფეებს თანადგომა, სიყვარული და დიდი პატივისცემა.¹²⁵

ვასილ ბარნოვის შთამბეჭდავ, დაუვიწყარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე მიგვანიშნებს მისი არაერთი მოწაფის მოგონებებიც.¹²⁶

დიდი პედაგოგისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში მისი ყოფილი მოწაფე სემინარიაში ფილიპე მახარაძე, წერდა: „ვასილ ბარნოვი პირდაპირ კონტრასტი იყო ყველა დანარჩენ მასწავლებლებისა. მისი წყნარი გამომეტყველება, მოღიშარე სახე, დინჯი მიხერა-მოხერა და განსაკუთრებით ღმობიერი მოპყრობა, - ყოველივე ეს ხიბლავდა სემინარიელებს, რომელნიც ოდნავ არ იყვნენ დაჩვეული ასეთ მოპყრობას“¹²⁷ და სხვ.

¹²⁴ ამის შესახებ ვრცლად იხ. გ. ჭელიძე, „ვ. ბარნოვი ფოლკლორის სპეციფიკის შესახებ, თბ., 1980, გვ., 134-142; თ. ქურდოვანიძე, „ქართული ფოლკლორი“, თბ., 2001, გვ., 41; თ. ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“, თბ., 1986, გვ., 194-219

¹²⁵ ამის შესახებ ვრცლად იხ. თ. სახოკია, ვ. ბარნოვი, (მოგონება), ლიტ. მუზეუმი, 20370-ხ, გვ., 1.

¹²⁶ ამის შესახებ ვრცლად იხ. ლ. ბარნაველი, ვ. ბარნოვის ბიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, 18391-ხ, გვ., 51.

¹²⁷ გ. ქიქოძე, რჩ. თხზ. ტ. III, თბ., 1965. გვ., 400.

ახლა მოკლედ გავეცნოთ ვასილ ბარნოვის ზოგადპედაგოგიკურ მოსაზრებებს: ვ. ბარნოვი გაითვალისწინა რა, ადვილიდან-ძნელზე გადასვლით ხალხური სიტყვიერების სწავლება, ამ პრინციპის საფუძველზე ააგო „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები.“ მრავალსაუკუნოვანი ზეპირსიტყვიერების შესწავლას იგი იწყებდა სიტყვიერების განმარტებით: „სიტყვიერება ეწოდება გონების საყურადღებო ნაწარმოებს, რომელიც გამოთქმულია სიტყვით.“¹²⁸

დიდმა პედაგოგმა მოახდინა ხალხური სიტყვიერების პერიოდიზაცია, გამოკვეთა ქართული მითოლოგიის საფუძველები. ხალხურ ნაწარმოებთა შინაარსის გაცნობის შემდეგ გვაძლევს თითოეული გმირის დახასიათებას, იხილავს ქართულ საისტორიო თქმულებებს, „გაკვეთილების“ დასასრულს კი გამოკვეთს „ეთერიანის“ დედააზრს. „აი ეს დედააზრი: მაღალი წოდება და დაბალი წოდება თვით განგებისაგან არიან განსაზღვრულნი და იმათ ვერ შეაერთებს უძლიერესი ძალა სიყვარულისა ვერც ამქვეყნად, ვერც იმქვეყნად.“¹²⁹

ამ მასალებში, ხალხური სიტყვიერების წმინდა ფილოლოგიური საკითხების განსაზღვრასთან ერთად, კოგნიტური ანუ შემეცნებითი თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შეიძლება ვიგულისხმოთ „ეთერიანის“ ზოგად-პედაგოგიკური სწავლების მიზანდასახულობაც.

ვ. ბარნოვს კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო მოზარდ თაობაში გმირული სულისკვეთების ჩამოყალიბება. „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილებში“ დიდმა პროზაიკოსმა ყურადღება გაამახვილა არსენას საგმირო საქმეებზე „უწყვეტლივ მისდევენ არსენას საგმირო საქმეები ერთი მეორეს რუსთა რაზმს დახვდა არსენა მარტოდმარტო; ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალიც დაახმარა; გაულიტა, ზურგზედ მტვერი აადინა; მაშ კაკოი მიაძახა: თითონ გახლავარ არსენაო. მდიდარს ართმევდა ღარიბს აძლევდა. ვისაც რას უბრძანებდა, დაუყონებლივ უნდა აესრულებინა: მის სიტყვას კვალდაკვალ მისდევდა მისი მოქმედება მედგარივით შეუდრკომელი. თითონ ზარდაცემული ბატონები და მოხელეები ასრულებდნენ მის ბრძანებას.“¹³⁰

ვ. ბარნოვი იცის, რომ ქართველი ხალხისთვის გმირობა უცხო არასდროს ყოფილა: „ჩვენს ხალხს იმ თავითვე სჭიროდა დაუღალავი გმირობა და საგმირო ლექსები ძალიან ბევრია. საქართველოს ყველა კუთხეში აქებენ ვაჟაკს, მის

¹²⁸ ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, ტფ., 1919, გვ. 5.

¹²⁹ ვ. ბარნოვი, დასახ. ნაშრ., 91.

¹³⁰ იქვე, გვ. 49.

ხმაღს, მის შემმართებლობას, მის უშიშრობას, მის ბრძნულად გამომრჩეველ აზრს, გასაჭირიდან მარჯვედ გამოძყვანელს.“¹³¹

მოსწავლეთა პატრიოტული და გმირული სულისკვეთების გაღვივებისათვის ვ. ბარნოვი შესანიშნავად იყენებს ამირანის დახასიათების სწავლებისას: „ამირანის მისწრაფება და უმთავრესი მიზანი მისის ბუმბერაზული მოღვაწეობისა ისეთია როგორც შეეფერება ამგვარ მებრძოლს: იგი ისწრაფვის მოსკოს ბნელი თუ ბოროტი, რომელიც განხორციელებულია ჩვენს ქვეყანაზე სახედ ვეშაპთა, დევთა, ქაჯთა და მანე მხეცთა. საბოლოო მიზანი ამირანის მოღვაწეობისა არის ის, რომ დაეხმაროს კეთილ ანუ ნათელ ძალებს ბნელი ანუ ბოროტი ძალების ძლევაში და განქარებაში. შედეგი ამისთანა ბრძოლისა არის დამყარება ცხოვრებაში ჭეშმარიტებისა, კეთილისა და სიმშვენიერისა. გმირი ისწრაფიდა... სიმართლე ქვეყანაზე დაეთესა და ხალხი ეხლა რომ სისხლის ოფლს იწურავს არსობითი პურის მოსაპოვებლად, ახლა რომ ის ტანჯვის ლუკმას სჭამს, სისხლზე მოზელილს, ამირანს სწადდა სიხარულის პური ეჭმია მისთვის, რძეზე მოზელილი.

ეს უმთავრესი მიზანი ამირანის მოღვაწეობისა ხიბლავს ჩვენ ხალხს და მის საყვარელ გმირადა ხდის ამირანს. აქ ამირანი სანიშნოდ გამომხატველია ქართველთა ხასიათისა: ქართველი ხალხიც ბუნებით რაინდია, იმისი უმთავრესი მისწრაფებაც ის არის, რომ სინათლე და სიყვარული განამრავლოს ცხოვრებაში, რათა კეთილყოს ქვეყანასა ზედა მთელ კაცობრიობას, თვითეულ ერს, კაცობრიობის შემადგენელს, თვითეულ ოჯახს, შემადგენელს ერისას, თვითეულ ადამიანს, წევრს ოჯახისას.“¹³² ამირანი შებორკილია, მაგრამ „მოვა დრო და დაღეწს ბუმბერაზი ბორკილებს რვალისას, მოველინება ქვეყანას დასათრგუნად ბნელისა და ბოროტისა. ქართველი ხალხი სასოებით მოელის ამ აღდგომის დღეს ბრწყინვალეს.“¹³³

სახელოვანი პედაგოგის ჩვენს მიერ აღნიშნული ზოგადპედაგოგიკური პრინციპები წარმოდგენილია „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ წინასიტყვაობაში: „ქართული ლიტერატურის შესწავლას სკოლებში აბრკოლებს სახელმძღვანელოების უქონლობაც: არ არის კლასში სამუშაოდ მოწყობილი წიგნი. მასწავლებელი იძულებულია არამც თუ განმარტოს გაკვეთილი და გადასცეს, თითონვე შეარჩიოს გაკვეთილის მასალა, შემოსაზღვროს იგი და დაამუშაოს.

¹³¹ იქვე, გვ. 84.

¹³² ვ. ბარნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

¹³³ იქვე, გვ. 57

ძნელია ეს. თუნდაც მასწავლებელმა მოახერხოს კარგის თქმა, მოსწავლე უკლებლივ ვერ მოახერხებს; თუ დაწერილს გადასცემს, უძნელდება ისეც დატვირთულს გადაწერა და დასწავლა. (ხაზი ჩენია – ქ.ბ.).

დამხვდა ეს სიძნელე და იძულებულ მყო ამეცდინა დაბრკოლება: ვადგენდი გაკვეთილებს და ისე ვასწავლიდი; კლასში ვათვალიერებდი გაკვეთილის ნაკლს და ვაუმჯობესებდი. (ქ.ბ.). საჭიროდ მიმაჩნია გამოიცეს პირველი რვეული ამ გაკვეთილებისა. თუ გამოსადეგი აღმოჩნდა, დანარჩენებიც მოჰყვება: მზად არის მთელი მასალა.“¹³⁴

ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ გაკვეთილების II და III ტომის ხელნაწერს. ასევე სიტყვიერების ისტორიის I ნაწილს. შესაძლოა იმიტომ, რომ მხოლოდ შავის სახით არსებობდა და როგორც სარა ბარნაველი იგონებს: „ყველა ნაწარმოების შავები არა არის შენახული, რადგან, როგორც თვითონ უთქვამს, პირველ ხანებში ნაწარმოების დაბეჭდვისას ხევდა შავებს, შემდეგში, მეუღლის რჩევით შავებს ინახავდა.“¹³⁵

ვ. ბარნოვის ზოგადპედაგოგიკურ შეხედულებათა გაცნობა ცხადყოფს, მის დიდ დაინტერესებას ზეპირსიტყვიერების სწავლების პრობლემით. იგი თვითონვე აღგენს სამუშაო გაკვეთილების კონსპექტებს, სადაც ნათლად იკვეთება, თუ როგორი სულისკვეთებით ასწავლიდა იგი ეროვნულ საუნჯეს და აგრეთვე, რა პედაგოგიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდა სასწავლო პროცესში.

¹³⁴ ვ. ბარნოვი, დასახ. ნაშრ.

¹³⁵ სარა ბარნაველი, ვ. ბარნოვის ნაწარმოებთა თემები, ლიტ. მუზეუმი, 13121-ხ, გვ. 3.

თავი III. ზეპირსიტყვიერება სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში და მისი სწავლების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

3.1 ზეპირსიტყვიერება სასკოლო პროგრამებში

საკვლევე პერიოდში არსებული პროგრამების შესწავლით დადგინდა, რომ სამწუხაროდ, თავდაპირველად ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა სწავლება მათში არ ყოფილა გათვალისწინებული (მხედველობაში გვაქვს პროგრამა „ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელ კლასებისა“, 1896წ. და სანიმუშო პროგრამები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლებისა” 1910წ.), თუმცა, 1919 წლიდან კი ხალხური შემოქმედების შესწავლა უკვე პროგრამითაა სავალდებულოდ მიჩნეული.

არსებული პროგრამებიდან პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური სიახლეების თვალსაზრისით ჩვენი აზრით, საინტერესოა პირველდაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, რომელსაც ლ. ბოცვაძის ზოგადი ახსნა-განმარტება დაერთვის. ავტორის აზრით, დასაწყისი სკოლის მიზანს წარმოადგენს თვითგანვითარება. „მოწაფეს (უნდა-ქ.ბ.) შეეძლოს შემდეგში თვითგანვითარებით, თავისთავად უფრო მეტი საჭირო ცოდნა შეიძინოს“.¹³⁶

იაკობ გოგებაშვილის იდეების გამგრძელებელი სწავლებაში მოწაფეთა ინიციატივას აუცილებლად თვლის: „ყოველ ცოდნას მხოლოდ მაშინ ექნება სიმკვიდრე და ღირებულება, როცა იგი მოწაფის საკუთარი დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფია...ამიტომაც, - განაგრძობს ავტორი, - ახლანდელი სწავლების მეთოდებიც ისეთი უნდა იყოს, რომლის დროსაც მოწაფე, შეძლებისა დაგვარად, ხშირად შესასწავლ მოვლენათა მკვლევარი და მაძიებელია, ამასთან შეძლებაც უნდა ჰქონდეს, რომ მოწაფემ ხშირად გამოიჩინოს საკუთარი შემოქმედებითი მუშაობა, თავისი ინიციატივა“.¹³⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბოცვაძის შეხედულებები განათლების თანამედროვე რეფორმასთან საოცარ სიახლოვეს იჩენს. „დღევანდელი ჩვენებური სკოლა საერთოდ და სახალხო კერძოდ, თანახმად საპედაგოგიო მეცნიერებისა,

¹³⁶ „პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები“, ტფ., 1919, გვ.3.

¹³⁷ იქვე, გვ.4.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მაგალითების მიხედვით, რაკი განათლებულ ქვეყნებთან დაახლოვებას ვცდილობთ, ძირითადად რეფორმებს თხოულობს (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.). და ამ მოსაზრებით ვცდილობდით, შეძლებისა დაგვარად, საღი პედაგოგიური პრინციპები გაგვეტარებინა წარმოდგენილს პროგრამებში”.¹³⁸ როგორც ჩანს, განათლების რეფორმათა ცვლილება არც ჩვენი წინაპრებისათვის ყოფილა უცხო.

პროგრამაში ხაზგასმულია მოწაფეთა დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობაც. „სკოლამ მოწაფეს სწავლის ხალისი უნდა აღუძრას, შეაჩვიოს, რომ დამოუკიდებლად თავისთავად მოიკლას სწავლის წყურვილი და არ მიიღოს მხოლოდ მზამზარეულად შემუშავებული ცოდნა, რაც დღემდის სწარმოებდა სკოლაში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ დახმარებას უწევს მოწაფეს მის მიერ სწავლის შექენაში. მთავარი მოქმედი პირი მოწაფეა და არა მასწავლებელი (ხაზი ჩვენია-ქ.ბ) ყოველთვის და მუდამ ბავშვები კი არ უსმენენ მასწავლებელს, არამედ ხშირად მოწაფეებიც თავიანთ აზრს იმის შესახებ, რაც თავისთავად გაუგიათ და შეუნიშნავთ, უზიარებენ მასწავლებელს, რომელიც ბავშვების გულისყურს სასურველს მიმართულებას აძლევს და ხელს უწყობს, რომ მოწაფეები უკანასკნელ დასკვნამდე თავისთავად მივიდნენ. თუ ძველი პედაგოგიკა...თხოულობდა მოწაფეს მხოლოდ ყური ეგდო მასწავლებლისათვის...დღევანდელი პედაგოგიკა თხოულობს მოწაფეთაგან ყურის გდებას, დაკვირვებას და მოქმედებას, დამოუკიდებელ მუშაობას”.¹³⁹ (ხაზი ჩვენია-ქ.ბ).

ქართული ენის სწავლების გაკვეთილის სქემა ცნობილ პედაგოგს შემდეგნაირად წარმოუდგენია: „მასწავლებელი, ცოცხალი საუბრის საშუალებით, გაიცნობს მოსწავლეებს, მათ განვითარებას, ნიჭს და სიტყვის მასალას, რაც ოჯახიდან სკოლაში მოუტანიათ”.¹⁴⁰ ამრიგად, ლ. ბოცვაძის აზრით, პირველი წინასწარი საუბარი უნდა შეიცავდეს ბავშვებისათვის მახლობელ და საყვარელ ამბებს. ცხადია, აქ მოიაზრება ზეპირსიტყვიერი მასალებიც: ზღაპრებიც, ენის გასატეხი, გამოცანები, საბავშვო ლექსები და სხვ რომლებიც პატარას სკოლაში მისვლამდე ექნება გაგონილი, ან გაცნობილი.

„პირველი წინასწარი საუბარი, - დასძენს ავტორი, - უნდა შეიცავდეს უფრო

¹³⁸ პირველ დაწვებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, გვ., 5.

¹³⁹ იქვე, გვ., 7-8.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 17-18.

მახლობელსა და ბავშვებისათვის სახალისო, საყვარელ საგნებს: მაგ, სურათებს ბავშვების ცხოვრებიდან, ...პატარ-პატარა ამბებს, ზღაპრებს, მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხულს და ან მოწაფის მიერ მოთხრობილს ამბებს”.¹⁴¹

პროგრამაში გათვალისწინებულია „შეგნებით კითხვა შესაფერი მოთხრობებისა, ზღაპრებისა, ლექსებისა და იგავ-არაკებისა”.¹⁴² ბუნებრივია, აქ უნდა ვიგულისხმოდ, ტექსტის გააზრებული, საფუძვლიანი კითხვა. პროგრამა ითვალისწინებს იმასაც, რომ ბავშვს უნდა შეეძლოს წაკითხული შინაარსის თავისი სიტყვებით გადმოცემა. „საჭირო ახსნა-განმარტების შემდეგ ზეპირად შესწავლა საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. ცოდნა შესაფერ მოთხრობებისა და ხალხური ზღაპრების შინაარსისა”.¹⁴³

სწავლების მესამე წელს ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეებში განავითაროს შესასწავლი მასალის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად დამუშავების უნარ-ჩვევები. „წაკითხულ მასალის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად და კითხვების საშუალებით წერა. საგნებისა და სურათების უფრო ვრცლად აღწერა. საუბრების და ზოგიერთი შესწავლილი იგავ-არაკების მოკლე შინაარსის წერა”. აი, ის მეთოდური რეკომენდაციები, რომლებითაც ლ. ბოცვაძე მოსწავლეთა დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების განვითარებას ვარაუდობდა.

ავტორს პროგრამის დახვეწა სამომავლოდ გადაუდია: „დრო და გამოცდილება ბევრ რასმე დაგვანახვებს და მომავალში ამ პროგრამაშიც სასურველი შესწორება მოხდება”.¹⁴⁴ ეს გამართლებულიც იყო.

1) ამრიგად, ლუარსაბ ბოცვაძე 87 წლის წინ გამოხმაურებია ევროპისა და ამერიკის სკოლებში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უპირველეს მონაწილეობის იდეას და მოითხოვს, რომ მოწაფეები სასწავლო პროცესში მონაწილეობდნენ აქტიურად.

2) ეს მოთხოვნა გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოსათვის უაღრესად ნოვატორული იყო. მართალია, იგი იმ დროისათვის სისტემად არ გადაქცეულა, მაგრამ ნოვატორმა პედაგოგებმა ეს იდეები გარკვეულად გაიზიარეს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, და სწორედ ამ თვალსაზრისით არის იგი აღსანიშნავი ჩვენთვის.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში „სკოლებს უნდა ემუშავათ რუსეთის განათლების სამინისტროს სასწავლო

¹⁴¹ პირველ დაწვებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, გვ., 17-18.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე, გვ., 19-20.

¹⁴⁴ პირველ დაწვე. სახ. სკოლის დროებითი პროგრამები, გვ., 17.

გეგმებითა და პროგრამებით”.¹⁴⁵

შემდგომ წლებში ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა სწავლებას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. „ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, - შენიშნულია 1921 წლის სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამაში, - ეროვნულ სკოლაში ჰგულისხმობს ერთი მხრით თვით მშობლიური ენის შესწავლას და მეორე მხრით იმ ხალხურ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობას, რომლებშიაც მხატვრულად გადმოცემულია ხალხის მასისა და განათლებული საზოგადოების სულიერი ცხოვრება”.¹⁴⁶

როგორც ვხედავთ, პროგრამაში საგანგებოდ მოიაზრება ხალხური და მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების სწავლებაც.

ირკვევა, რომ ქართული ლიტერატურა, როგორც სასწავლო საგანი, საშუალო სკოლაში ისწავლებოდა ქრონოლოგიური მოთხოვნით, ე.ი. „მისი მთავარი მომენტების მიხედვით და საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ხალხის ცხოვრების მთავარ ისტორიულ მომენტებთან, ისტორიულ-კულტურულ მოვლენებთანა და თვით ავტორთა ცხოვრებასთან დაკავშირებით, სახელდობრ, ჯერ შეისწავლება ხალხური სიტყვიერება და შემდეგ ძველი და ახალი ლიტერატურა”.¹⁴⁷ თუმცა, აქვე პროგრამის შემდგენელი არც ქრონოლოგიის დარღვევას გამორიცხავენ: „ეს წესი...არც უარჰყოფს ზოგიერთ საჭირო შემთხვევაში ქრონოლოგიური რიგის დარღვევას და შედარებით გვიანდელი ნაწარმოებების გავლას არა უსათუოდ ქრონოლოგიურს რიგზე, არამედ პარალელურად ხალხის შემოქმედების იმ მომენტებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა გვერდით, რომლებთანაც ეს გვიანდელი ნაწარმოები დაკავშირებულია”.¹⁴⁸

როგორც ჩანს, ქრონოლოგიის დარღვევას ხშირად განაპირობებდა გარკვეული დიდაქტიკური თვალსაზრისიც. „მასალის ამგვარად გადაჯგუფებას – შენიშნავენ ავტორები, - ზოგიერთ შემთხვევაში წმინდა დიდაქტიკური მოსაზრებაც გვიკარნახებს, სახელდობრ ის, რომ ერთისა და იმავე გვარის მასალა მეტად სამძიმო ან პირიქით მეტად მსუბუქი და მოსაწყენი არ გამოდგეს მოწაფეთათვის”.¹⁴⁹

¹⁴⁵ „პედაგოგიის ისტორია”, ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., 2004, გვ., 256.

¹⁴⁶ სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამა, თბ., 1921, გვ., 6.

¹⁴⁷ სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამები, თბ., 1921, გვ., 7.

¹⁴⁸ იქვე, გვ., 7.

¹⁴⁹ იქვე.

აღნიშნული პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების გაცნობა უნდა ხდებოდეს უშუალოდ, მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად. „უამისოდ კი სიტყვიერების შესწავლას ფასი არა აქვს, რადგან ყოველი მხატვრული ნაწარმოების გაცნობას მხოლოდ მაშინ აქვს განმავითარებელი და ესთეტიკურ-საზოგადოებრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როცა მოწაფე პირდაპირ, უშუალოდ განიცდის მისი სტილისა, ფორმისა, მთელი შინაარსისა და მხატვრული იდეის მთლიანს გავლენას; ეს-კი შესაძლებელია მისი ტექსტის კითხვასთან შესაფერისი ახსნითა და სტილისტიკურ-ისტორიული კომენტარებით. ერთი სიტყვით, თვით ნაწარმოებთა პირდაპირი გაცნობა და არა მხოლოდ საინფორმაციო მეთოდით სწავლება - ასეთია ძირითადი დიდაქტიკური დებულება, რომელსაც ჰგულისხმობს ქართული სიტყვიერების წინამდებარე პროგრამა“.¹⁵⁰ სამწუხაროდ, აქ არ არის გამოკვეთილი კომენტარი, რომელზეც ზევით იყო საუბარი, ვის მიერ კეთდება მოსწავლისა თუ პედაგოგის მიერ.

პროგრამაში ზეპირსიტყვიერების სწავლება წარმოდგენილია ამგვარად: სწავლების I წელს ხალხურ შემოქმედებას 4 გაკვეთილი ეთმობა. I გაკვეთილზე პროგრამის მიხედვით მოსწავლეებს ეძლეოდათ ზოგადი წარმოდგენა ხალხური შემოქმედების შესახებ. II გაკვეთილზე შეისწავლებოდა ქართული ხალხური პოეზიის დარგები (ნიმუშების გაცნობითა და გარჩევით):

„1. მითოლოგიური ხასიათის ლექსები და თქმულებანი (მზისა, მთვარისა, „ბატონებისა“ და ბუნების სცვა მოვლენათა შესახებ).

2. საგმირო და სავაჟაკო ლექსები ამირანი, როსტომი, აბესალომ და ეთერი, არსენა – ხალხურ პოეზიაში.

3. საყოფაცხოვრებო ლექსები და სატრფიალო ლირიკა. საყოფაცხოვრებო ლექსები როგორც მაჩვენებელი რეალიზმისა ხალხურ პოეზიაში.

4. საისტორიო ლექსები და თქმულებანი: დავით აღმაშენებელზე, თამარზე და ერეკლეზე.

5. ზღაპრები და არაკები (ცხოველთა ეპოსი და საყოფაცხოვრებო არაკები). ანდაზები და გამოცანები“.¹⁵¹ აღნიშნული პროგრამის შემდგენელნი ჩვენი ვარაუდით უნდა ემყარებოდნენ ცნობილი პედაგოგის ვ. ბარნოვის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილებს“ (1919), რომელზეც ყურადღებას ქვემოთ გავამახვილებთ და აგრეთვე, რამდენადმე ლუარსაბ ბოცვაძის ნოვატორულ

¹⁵⁰იქვე, გვ., 7-8.

¹⁵¹სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამები, გვ., 10.

პედაგოგიკურ იდეებს. IV გაკვეთილზე ზეპირსიტყვიერების სწავლებას პროგრამა ითვალისწინებს პარალელურად ახალ ქართულ მწერლობასთან: „აბესალომ და ეთერის“ შესწავლის დროს ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ გაცნობას; „არსენას“ ლექსის გარჩევის დროს ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“; საისტორიო ლექსების განხილვის დროს – მისივე „დიმიტრი თავდადებული“ და აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და „პატარა კახი“¹⁵² და სხვ. აღნიშნული პროგრამა საოცარ მსგავსებას იჩენს 1920წ. ს. გორგაძის მიერ ქუთაისში გამოცემულ სახელმძღვანელოსთან „ჩვენი სახალხო პოეზია და პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან“ (მის შესახებ ჩვენ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ). დაბოლოს, V გაკვეთილზე განხილვა „ცნობანი სიტყვიერების თეორიიდან, შესწავლილი მასალისადა მიხედვით: უმთავრესი დარგები პოეტური ნაწარმოებებისა (ეპოსი, ლირიკა, დრამა). ეპოსის გვარები (ზღაპარი, არაკი, თქმულება, ლექსი პოემა, ბალადა, იდილია)“.¹⁵³

ცხრაწლიან შრომის სკოლის პროგრამაში (1925) ზეპირსიტყვიერება ისწავლება VIII ჯგუფში. დასაწყისში მოსწავლეებს მიეწოდებათ ზოგადი ცნობები ქართული სიტყვიერებისა და მისი მთავარი დარგების შესახებ, შემდეგ ბუნების გავლენა ადამიანთა მსოფლმხედველობის შემუშავებაზე და სტიქიურ ძალთა ორ ჯგუფად (კეთილი და ბოროტი) დაყოფა.

ზოგადი ცნობების შემდეგ მოსწავლეები სწავლობდნენ უშუალოდ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: ლექსებსა („მზე და მთვარე“, „მზის საგალობელი“ და სხვ) და ლეგენდა-თქმულებებს („თქმულება იესო ქრისტეზე“, „ელია წინასწარმეტყველზე და წმ. გიორგიზე“).

საგმირო ეპოსიდან პროგრამაში შესულია: „ამირანი“, „როსტომიანი“ და „ეთერი“ (ვაჟა-ფშაველას „ეთერის“ პარალელურად. ასევე, სატრფიალო ხალხური ლექსები ისწავლება სარგის თმოგველის „ვისრამიანისა“ და ბესიკის ზოგიერთი ნიმუშების პარალელურად).

ისტორიული ხანიდან ამ ჯგუფში ისწავლებოდა ხალხური ლექსები: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „ლეგენდა დავითზე“, „თამარ მეფის ეპიტაფია“ და სხვ. ასევე ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შესწავლა მთავრდება ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსებით: „ერეკლე ბატონიშვილი“, „აზატხანი და ერეკლე“, „ერეკლე მეფე და რაჯაბა“, „გლოვა ერეკლესი მთიელთაგან“, რომელთა

¹⁵² იქვე, გვ. 11.

¹⁵³ სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამები, გვ. 11.

პარალელურად განიხილება აკაკის „პატარა კახი“ და ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. ასევე, ბესიკის „ირაკლი მეფის ქება“ და „ასპინძის ომზე“.

ხალხური შემოქმედების გვერდით ლიტერატურულ ნაწარმოებათა სწავლება ამ პროგრამის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

1929 წლის „მეორე საფეხურის შრომის სკოლის ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამაში“ ყურადღება მახვილდება V-X კლასების მოწაფეთა დამოუკიდებლად ზეპირსიტყვიერების შეკრებაზე. პროგრამას წინ ერთვის განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია: „მოწაფე ახალგაზრდობა ფართედ უნდა დავაინტერესოთ ხალხური შემოქმედების (ზღაპრები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები და სხვ) შეკრებით, სამუხეუმო მასალების შეკრებით, მხატვრული დილა-სადამოების მოწყობით...და სხვ“.¹⁵⁴

აშკარაა, პროგრამის ავტორებს კარგად ესმოდათ მოწაფეთა აზროვნებაზე კრიტიკულ წერილთა მავნე გავლენა. აქვე, მითითებულია, როგორი თანმიმდევრობით შეიძლება გამოიყენონ მოწაფეებმა სასწავლო პროცესში კრიტიკული ლიტერატურა: „ხშირად ასე ხდება: მოწაფეს ჯერ ნაწარმოები არც კი წაუკითხავს და პირდაპირ მის კრიტიკას კითხულობს. ამ შემთხვევაში იგი ძალაუვნებურად კრიტიკის გავლენის ქვეშ მიმდინარეობს. ასეთ მოვლენებს სასტიკად უნდა ვებრძოდეთ: კრიტიკულ წერილს მოწაფე მხოლოდ მას შემდეგ უნდა ეცნობოდეს, როდესაც მან საკუთარი ძალ-ღონით ჩაატარა ისეთი მუშაობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მასწავლებლის ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ თვითონ მოწაფე გადააქციოს კრიტიკოსად, თვითონ მან შეასწავლოს ნაწარმოებისადმი მიდგომის მეთოდები და განავითაროს მისი შეფასების უნარი. (ხაზი ჩვენია- ქ.ბ.). კრიტიკული წერილის წაკითხვა მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება სასარგებლო, კვლევა-ძიებითი უნარით აღჭურვილ მოწაფეს უდიდეს სამუშაოს მისცემს ეს მომენტი: საკუთარი დასკვნების სხვის აზრებთან შედარება ახალი გონებრივი შემოქმედების დასაწყისია“.¹⁵⁵ (ხაზი ჩვენია- ქ.ბ.) ვფიქრობთ, ამ მოსაზრებაში მოჩანს ლუარსაბ ბოცვაძისეული ახალი იდეებით სასწავლო პროცესში მოწაფეთა მონაწილეობის საკითხის ერთგვარი გავლენა.

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამა გათვალისწინებულია V-X ჯგუფებისათვის. VII-IX-X ჯგუფებში ზეპირსიტყვიერება არ ისწავლებოდა. V ჯგუფში შეისწავლება „არსენას ლექსი“, ხალხური ლექსი „წისკვილი“, ასევე, გათვალისწინებულია

¹⁵⁴ ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამა, ტფ., 1929, გვ., 11.

¹⁵⁵ იქვე, გვ., 11-12.

ბატონყმობის ნიადაგზე წარმოშობილი ანდაზების, შაირების და ლექსებისა და სოფლის მეურნეობის ნიადაგზე წარმოშობილი ანდაზებისა და გამოცანების შეკრება-ჩაწერა, გარჩევა და კრებულების შედგენა.

VI ჯგუფში მოსწავლეებს ევალებოდათ შაირების შესწავლა (შაირები ჩარჩებზე, აზნაურებზე, სამხედრო ბეგარაზე, თვითმპყრობელობაზე, რევოლუციაზე და რეაქციაზე)...

ჩანს, ზეპირსიტყვიერება უფრო ვრცლად ისწავლებოდა მე-8 ჯგუფში. შესავალ მეცადინეობაზე გათვალისწინებული იყო მოწაფეთათვის სიტყვიერების შესახებ ზოგადი ცნობების მიწოდება. შემდეგ ისწავლებოდა მისი პერიოდები: მითიური ხანა და ამ პერიოდის ლექსები და ლეგენდა-თქმულებანი „ა) მზე და მთვარე; ბ) მზე და სიკვდილ-სიცოცხლე (მზეო, ამოდი, ამოდი); გ) მზის საგალობელი; დ) თქმულება იესო ქრისტეზე, ილია წინასწარმეტყველზე და წმ. გიორგიზე“.¹⁵⁶

საგმირო ეპოსის (მისი წარმოშობა-განვითარების პროგრამების) შესწავლის შემდეგ პროგრამაში შეტანილია ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუში „ამირანი“. აქ სიახლედ მოჩანს საზღვარგარეთის ლიტერატურის პარალელურად ეროვნული ზეპირსიტყვიერების სწავლებაც. მაგალითად, მოსწავლეები ეცნობოდნენ ჰომეროსის უკვდავი პოემიდან „ილიადა“ შემდეგ ნაწყვეტებს „ბრძოლა აქილესისა ჰექტორთან“, „პრომეთეოსი“ ასევე, „ბილინა სვიატოგორის შესახებ“.

ხალხური ლირიკიდან პროგრამაში ავტორებს მოუთავსებიათ:

- ა) საოჯახო ლექსები. ხალხური „ეთერიანი“ პარალელურად ვაჟას „ეთერიანი“ (როგორ გამოიყენა და დაამუშავა ხალხური სიუჟეტი პოეტმა);
- ბ) საყოფა-ცხოვრებო ლექსები;
- გ) სალხინო ლექსები;
- დ) სამგლოვიარო ლექსები;
- ე) სატრფიალო ლექსები;
- ვ) სამღვდელოება, ბატონყმობა და მოხელეები ხალხურ შაირებში“.¹⁵⁷

ხალხური ეპოსიდან ამ ჯგუფში შეისწავლება საყოფა-ცხოვრებო და ზნეობრივი ხასიათის ზღაპრები. პირუტყვთა ეპოსი (ანდაზები, გამოცანები, აფორიზმები).

გათვალისწინებულია ასევე ისტორიული ხანის ხალხური ზეპირშემოქმედების

¹⁵⁶ ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამა, ტფ., 1929, გვ., 18.

¹⁵⁷ ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამა, ტფ., 1929, გვ., 18.

შესწავლა. (ხალხური ისტორიული ლექსები ერეკლეზე: ა) ერეკლე ბატონიშვილი; ბ) აზატ-ხანი და ერეკლე.

დაბოლოს, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ გაცნობასთან ერთად პროგრამაში შეტანილია „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ სწავლება, რაც ზეპირსიტყვიერების სწავლების პრაქტიკაში უდაოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ პოემასთან შეპირისპირებით განხილვა საუკეთესო საშუალებაა იმის ნათელსაყოფად, თუ რა შემოქმედებითი გავლენა შეიძლება განიცადოს ლიტერატურულმა ნაწარმოებმა ხალხში გავრცელებისას.

1932 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის პროექტში ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ძალზედ შემცირებული ჩანს. აქ შეტანილია მხოლოდ „არსენას ლექსი“ და სხვადასხვა თქმულებები, ლექსები და ანდაზები ბატონყმობის შესახებ”.¹⁵⁸

ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-შემეცნებითი და აღმზრდელობითი ღირებულების წარმოჩენას ისახავს მიზნად ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ათწლეულისა (8,9 და 10ჯგ.) და ტექნიკუმებისათვის (1933). პროგრამის განმარტებით ბარათში გამოკვეთილია ფოლკლორის შესწავლის მიზანიც. „ამ დარგის შესწავლა მიზნად უნდა ისახავდეს: ა) გამოარკვიოს ხალხური თქმულების სპეციფიკა, ბ) ფეოდალური პერიოდის ქართული ფოლკლორის წარმოშობის კლასობრივი საფუძვლები და მასში ასახული კლასობრივი ბრძოლა; გ) ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლამ დახმარება უნდა გაუწიოს ლიტერატურის შესწავლას”¹⁵⁹ (ხაზი ჩვენია-ქ.ბ)

ქართული ფოლკლორული მასალების სწავლებასთან ერთად პროგრამაში გათვალისწინებულია ფოლკლორმცოდნეობის (ეს ტერმინი პირველად გვხვდება) ისეთი ძირითადი საკითხების სწავლებაც, როგორცაა „ზეპირსიტყვიერების ჩასახვა და მისი დამოკიდებულება საწარმოო ძალთა განვითარებასთან, ზეპირსიტყვიერების კლასობრივი ხასიათი, ზეპირსიტყვიერების ურთიერთობა ლიტერატურასთან, მისი დამახასიათებელი ჟანრები: ა) ზღაპრები, ბ) ანდაზები, გ) გამოცანები, დ) იგავ-არაკები, ე) შელოცვანი; ვ) საყოფაცხოვრებო და საგმირო ლექსები, ზ) ამ ჟანრების ლექსიკა, რიტმი”.¹⁶⁰

ზეპირსიტყვიერება აღნიშნული პროგრამის მიხედვით მხოლოდ მერვე ჯგუფში

¹⁵⁸ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა (პროექტი), ტფ., 1932, გვ., 38.

¹⁵⁹ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ათწლეულისა (8, 9 და 10ჯგ) და ტექნიკუმებისათვის, ტფ., 1933, გვ., 9.

¹⁶⁰ იქვე.

(ტექნ. I კურსი) ისწავლება.

პროგრამით შესავალში ისწავლება: 1) ზოგადი ცნობები ზეპირსიტყვიერების მთავარი დარგების შესახებ და ხალხური შემოქმედები პირვანდელი ძეგლების ანიმისტურ-რელიგიური ხასიათი (თქმულებები მზისა და მთვარის შესახებ; მზე, მთვარე და ვარსკვლავები); 2) მეჯოგეობისა და მიწათმოქმედებაზე გადასვლის პირველი პერიოდის ზეპირთქმულებები (ცხოველთა ეპოსი, „ლაზარე“, „ლექსი ტაროსის შესახებ, ამირანის მითი).

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ შედარება-შეპირისპირება პოემასთან, რაც ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ შედარება-შეპირისპირებამდე მოსწავლეებს ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ პროგრამის მიხედვით დამოუკიდებლად, კლასგარეშე საკითხავ მასალად მითითებულია ხალხური „ამირანი“ და „ეთერი“.

IX-X ჯგუფებში ხალხური შემოქმედება აღარ ისწავლებოდა.

როგორც ჩანს, ხალხური შემოქმედება უმეტესად ისწავლებოდა მე-5 და მე-8 კლასებში. ამის ნათელი მაგალითია 1944 წლის შვიდწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები. ამ პროგრამების მიხედვით V კლასში მოზარდმა უნდა შეისწავლოს ზეპირსიტყვიერების შემდეგი ნიმუშები: „ლენინის ხსოვნას“, „სიმღერა სტალინზე“, „სტალინს“, „არსენას ლექსი“ და ხალხური ლექსი „ტროცია“. ზემოხსენებული პროგრამის მიხედვით ხალხური შემოქმედება არ ისწავლებოდა მე-6-7 და მე-9-10 კლასებში.

მე-8 კლასში შესწავლილი ხალხური პოეზიის ნიმუშები მითოლოგიური ხასიათის ლექსებით იწყება: „მზე, მთვარე და ვარსკვლავები“, „მზევ შინა“, „მზე და მთვარე“, „მზეო ამოდი“, შემდეგ „ეთერი“, „ხიდისთავს შეგკრათ პირობა“, შრომის სიმღერები და ლექსები: „კალოური“ „ურმული“, თოხნური“, „გუთნური“ და სხვ.

ასევე, გვხვდება საბჭოთა პერიოდში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: „ლექსები სტალინზე („დაუკარ, ჩემო ჩონგურო“, „ბელადი დედის გაზრდილი“, „შენს სურათს ხატვა რად უნდა“). „ამხანაგი ბერია ხევსურეთში“, „კიროვის ხსოვნას“.¹⁶¹

XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს საქართველოს სკოლებში ფართოვდება ზეპირსიტყვიერების სწავლების არეალი. მხედველობაში გვაქვს

¹⁶¹ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები V-X კლ., თბ., 1944, გვ., 22.

კოლექტიური შემოქმედების სწავლება არა მარტო აფხაზურ (მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ), არამედ რუსულ, სომხურსა და აზერბაიჯანულ სკოლებში.¹⁶²

პროგრამული მონაცემების განხილვით ჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული საფუძვლიანი, სისტემური მეცნიერული მიდგომა ამ მასალების სკოლის ორივე კონტექსტში სისტემატური სწავლებისა. ჩვენი აზრით, ზეპირსიტყვიერების მასალები უმჯობესია ისწავლებოდეს დაწყებით და საბაზო კლასებში სისტემატურად, ამასთან, საბაზო და მაღალ კლასებში სასურველ შემთხვევაში ლიტერატურის ისტორიის პარალელურადაც საპროგრამო მოთხოვნების გაფართოება-გადრმაგების მიზნით.

3.2 ზეპირსიტყვიერება სასკოლო სახელმძღვანელოებში და მისი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

XIX საუკუნის მეორე ნახევარის, 60-70-იანი და შემდგომი წლების სკოლების სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ზეპირსიტყვიერების სწავლების მოთხოვნების გაზრდა-გადრმაგება, ფაქტობრივად, დაკავშირებულია ქართველ განმანათლებელთა მაღალ ეროვნულსა და ახალი თაობის აღზრდა-განათლებისათვის ეპოქისეულ ზოგადპედაგოგიკურ იდეალებთან, რომლის შესაბამისადაც დამუშავდა გარკვეული ლიტერატურათმცოდნეობითი და მისი სწავლების დიდაქტიკური და კერძომეთოდოლოგიური რეკომენდაციებიც.

ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის მთავარ ამოცანას დემოკრატიული საქართველოს მშენებელთა „ახალი ტიპის“ (იაკობ გოგებაშვილის ტერმინია) ქართველთა მამულიშვილური ინტერესების შესაბამისად გარდაქმნა-განვითარება წარმოადგენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ იდეებს ვერ პასუხობდა, მეფის რუსეთის იმ უამინდელი სასწავლო-აღმზრდელობითი პოლიტიკა. „...მთავრობა სულ უფრო და უფრო ავიწროვებდა სკოლებს: სკოლის ხელმძღვანელობა პოლიციას დააკისრეს, მასწავლებლად ნიშნავდნენ შეუფერებელ პირებს, რომელთაგან ბევრმა სრულიად არ იცოდა ქართული ენა; სწავლისა და აღზრდის ერთადერთი მეთოდი მოსწავლეთა განუკითხავი ცემა-ტყეპა იყო. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 80-

¹⁶² „ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა“ არაქართული დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის, თბ., 1941; „დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამები“ ქართული ენა და ლიტერატურა არაქართული სკოლებისათვის, თბ., 1948; „დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამები“ ქართული ენა და ლიტერატურა არაქართული სკოლებისათვის, თბ., 1950.

იან წლებში სახალხო სკოლებიდან სავსებით განდევნეს დედა-ენა”.¹⁶³

მეორე მხრივ, მშობლიურ ენაზე სწავლებას დიდად უშლიდა ხელს ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის ნაკლებად იყო დამუშავებული ქართული ენის სწავლების გრამატიკის თეორიული ტერმინოლოგია. იაკობ გოგებაშვილი სინანულით იგონებს: „ამ ოც-და-ათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებელში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები (ხაზი ჩვენია-ქ.ბ) და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედა-ენის ამ გრამატიკამ, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა”.¹⁶⁴

ჩვენი აზრით, დიდი პედაგოგის და დიდაქტიკოსის ამ საყურადღებო მოსაზრებაში ორი უმნიშვნელოვანესი პოზიცია იპყრობს ყურადღებას: პირველი – მოსწავლეთა შეგნებული და საფუძვლიანი სწავლებისა და აღზრდისათვის მნიშვნელოვანია შესასწავლი საგნის მეცნიერული დონე, მისი თეორიული მოცემულობის მოსწავლეთათვის გასაგებ ცნებებსა და ტერმინებში გადმოცემა და, მეორე პოზიცია – მოსწავლეებს სწავლებაში დიდად უწყობს ხელს პროგრესულ მწერლობაზე შექმნილ ნაწარმოებების სწავლება”.¹⁶⁵

ჩანს, ახალი ქართული პედაგოგიური აზროვნების შემქმნელს აქვე საჭიროდ მიუჩნევია მეორე პოზიციის უფრო დეტალურად ჩამოყალიბებაც და ერთგვარი გავრცობილი სახით განმარტავს მას: „დიად, უმთავრესი და საუკეთესო დონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა, ერთი სიტყვით, ლიტერატურა”.¹⁶⁶

ამრიგად, საანალიზო მოსაზრების სწორად მეორე პოზიციის განმარტებაში ჩანს იაკობის პოზიტიური დამოკიდებულება „ხალხის გონების ნაწარმოების, ე. ი. ზეპირსიტყვიერების სწავლების შესახებ, რასაც ჩვენი საკვლევი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, კვლავ დაგუბრუნდეთ პირველ საკითხს: მეფის რუსეთის დროინდელ სკოლაში მშობლიური ენის გრამატიკასთან ერთად ერთგვარად დოგმატურად ისწავლებოდა ლიტერატურაც. მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში ასწავლიდნენ ხელოვნურ, მათთვის შინაარსობრივად გაუგებარ და ფორმობრივად მოსაწყენ ნაწარმოებებს, რომელთა შეთვისებაც

¹⁶³ ნ. ბერძენიშვილი, მ. დონდუა და სხვები „საქართველოს ისტორია”, I, თბ., 1958, გვ. 589.

¹⁶⁴ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1954, გვ. 90.

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ იქვე.

აღსაზრდელებისათვის ნამდვილ წამებად იყო გადაქცეული.

საბედნიეროდ ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ეს გაუგებრობა და 1861 წელს დაწერილ სტატიაში „პასუხი“, საანალიზოდ მოაქვს ერთი ლექსი:

„არჩილ კახიებრ, ბალასანკინა მოებრ,
ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ,
რტო კიპაროსებრ, ია შამპა-სოსანებრ“.

და იქვე სქოლიოში აკეთებს ასეთ ირონიულ შენიშვნას: „ამ ლექსს, ამბობენ, გორის სასწავლებელში ასწავლიდნენო ერთ დროს, თუ ეს მართალია, ბარაქადა მასწავლებელთ გემოვნებას“.¹⁶⁷

მეტიც, იგივე სტატიაში ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად ეხება იმუამინდელ ცრუპედაგოგთა ლიტერატურულ ცოდნას და თავისებური პრინციპულობით ხაზგასმით აღნიშნავს: „ხშირად შემხვდება ხოლმე სიტყვები: ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება, სიტყვიერება და სხვანი, მაგრამ მხმარებულთ ხმარებულის გაგება არა ჰქონიათ, რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, რომ არამც თუ ლიტერატურობას მოჰყვებოდნენ, კალამსაც ხელში არ აიღებდნენ“.¹⁶⁸

დაახლოებით ასეთი იყო ქართველი განმანათლებლების ლიტერატურათმცოდნეობითი და ზოგადპედაგოგიკური დონე, რომელიც შეგნებულად დაუპირისპირეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მშობლიური ენისა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ზეპირსიტყვიერებას) და ლიტერატურის სწავლების დოგმატიზმს.

ქართველ განმანათლებელთა ღვაწლი მშობლიური ენის და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად საფუძვლიანადაა შეფასებული ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. „მშობლიური ენის დაცვისა და მისი მნიშვნელობის განვითარების საქმეში განუზომლად დიდი როლი შეასრულა ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ. ქართველი მწერლები, ქმნიდნენ რა თავიანთ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იყო ხალხის გულის ნადები, მისი ჭირი და ვარამი, მათი ცხოვრება და მისწრაფებანი, აღვიძებდნენ ინტერესს ქართული წიგნისა და ქართული ენის შესწავლისადმი“.¹⁶⁹

ცხადია, მწერლობას არ ჩამორჩებოდნენ შემოქმედი პედაგოგები

¹⁶⁷ ი. ჭავჭავაძე, 3, 1986, გვ., 29.

¹⁶⁸ იქვე, გვ., 27.

¹⁶⁹ ქართული პედაგოგიის ისტორია, 1974, გვ., 150.

(განსაკუთრებით ახალი ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი), რომელთა მამულიშვილურმა თავდადებამ, პედაგოგიურმა აღლომ და, რაც მთავარია, მომავალი თაობის ეპოქის მოთხოვნების მიხედვით სწავლებისა და აღზრდის სულისკვეთებამ, ვფიქრობთ, საყურადღებო მემკვიდრეობა დაგვიტოვეს საზოგადოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, კერძოდ კი ზეპირსიტყვიერების, სახელმძღვანელოთა შექმნისა და ზეპირსიტყვიერების სწავლების ცალკეული შეხედულებების სახით.

ამ დრამად პატრიოტულ საქმიანობაში განუზომელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი. მის მიერ შექმნილი უკვედავი სახელმძღვანელოების „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ სახით, რომლებშიც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ზეპირსიტყვიერების მასალების სწავლებასაც (დ. ლორთქიფანიძე). მაგრამ, რაკი ქართველ განმანათლებელთა სასწავლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით ზეპირსიტყვიერების მასალების შეგნებულად სწავლების იდეა საფუძვლად დაედო არა მარტო იაკობ გოგებაშვილის, რომელიც თვითონ იყო ამ გუნდის აქტიური წევრი, არამედ მრავალი შემოქმედი პედაგოგის მოღვაწეობასაც, ქვემოთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ისტორიზმის პრინციპით შესძლებისდაგვარად, ცალკე განვიხილავთ თითოეული მოღვაწის როლი ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და მისი სწავლების დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვადასტურებთ პროფ. ანტ. ხინთიბიძის მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ „პირველ ხანებში ქრესტომათიებსა თუ სახელმძღვანელოებში ხალხური შემოქმედების მასალების დალაგება პედაგოგიური თვალსაზრისით მოიკოჭლებდა, მაგრამ შემდეგ ეს ნაკლი სწორდება“.¹⁷⁰

ხალხური ნაწარმოებების ქართველ მოწაფეთათვის მიწოდების პირველი ცდა ან. წიწვიანიძეს¹⁷¹ სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც 1842 წ. რუსულიდან გადმოიღო „სასიამოვნო წაღკოტი ყრმათათვის, ანუ კრება სასიამოვნო და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილისა ზნეობითისა სწავლითა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კრებული ქართული ფოლკლორის მასალებს არ შეიცავდა.

დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ პირველ ქრესტომათიაში (1846წ), დამწერლობით ნიმუშებთან ერთად შესულია მხოლოდ ანდაზები და სიტყვის

¹⁷⁰ ანტ. ხინთიბიძე, ხალხური შემოქმედების გამოყენების ისტორიისათვის რევოლუციამდე ქართული ენისა და ლიტ. სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში, თელ. პედ. ინს. შრომები, ტ. III, 1959, გვ., 330.

¹⁷¹ თ. ჯიბლაძის წიგნში „ქართული საბავშვო ლიტ. ისტორია, XIX, თბ., 1959, გვ., 22 – მითითებულია წიწვიძე).

მასალა. პირველი კრებული რომელშიც ხალხური შემოქმედების ნიმუშები გადაუმუშავებელი სახით შეუტანიათ, იყო ივ. კერესელიძის „ანბანი ახალ მოსწავლე ყრმათათვის“ (1856), სადაც ავტორს ცნობილი იგაგების გვერდით თქმულებებიც მოუთავსებია. სწორედ აქ უნდა ჩაყროდა საფუძველი ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა მოთავსებას სახელმძღვანელოებში.

ზემოსხენებული სახელმძღვანელოები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მიზნად ისახავდნენ მოზარდებში სასწავლო ინტერესების გაღვივებასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც კარგად ჩანს მოზარდთათვის გათვალისწინებულ დავალებებშიც: საზაფხულო არდადეგებზე მშობლიური კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზი გაესვას ერთ გარემოებასაც: ძველ სახელმძღვანელოებში სიტყვიერების ცნების ქვეშ მოიაზრებოდა როგორც ზეპირსიტყვიერება, ასევე მხატვრული ლიტერატურა (ანუ ხელოვნური სიტყვა).

1864 წელს ცნობილმა პედაგოგმა – პ. უმიკაშვილმა გამოსცა „ქართული ანბანი“¹⁷², რომელშიც ზღაპრები და ანდაზები შეიტანა.

როგორც პროფ. ანტ. ხინთიბიძე შენიშნავს პ. უმიკაშვილი გარკვეულ მითითებებს აძლევდა მასწავლებლებს, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ მათ ეს სახელმძღვანელო. ამით ფაქტობრივად მომზადდა ნიადაგი ი. გოგებაშვილის ცნობილი სახელმძღვანელოების („ანბანი“, „დედაენა“, „ბუნების კარი“) შედგენისათვის.

ზეპირსიტყვიერების სასწავლო-აღმზრდელი თვალსაზრისით სახელმძღვანელოში შეტანისა და მისი სწავლების გარკვეული კორექტირების ახალი საფეხური დაკავშირებულია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების („ანბანი“, 1865; „ბუნების კარი“ 1868; „დედა ენა“ 1876) შექმნასთან.

1865 წელს გამოცემული „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ იმ დროს არსებულ ქართულ საანბანო სახელმძღვანელოებთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო, რამაც განაპირობა მთელი ათი წლის განმავლობაში მისი ქართულ სკოლაში მტკიცედ დამკვიდრება. ზემოსხენებულ სახელმძღვანელოში ი. გოგებაშვილს შეუტანია ხალხური „სიმღერა“ და ანდაზები (დალაგებული ანბანურად). ამ სახელმძღვანელოს იაკობმა მოგვიანებით სპეციალური მეთოდიკური წერილიც უძღვნა („დარიგება თუ როგორ უნდა

¹⁷² სამწუხაროდ, აღნიშნული წიგნი ჩვენ ვერ მოვიძიეთ და ამიტომ მასზე საუბრისას ვეყრდნობით პროფ. ანტ. ხინთიბიძის ნაშრომს „აღზრ. იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“, 1976, გვ., 278.

წაიყვანოს მასწავლებელმა სწავლა ანბანში და პირველ საკითხავ წიგნში”, 1872). ამის შესახებ მწერლის თხზულებათა ხუთტომეულის შემდგენელნიც (ერამიშვილი, ლ. ქაჯაია) უთითებდნენ: „დარიგება” ი. გოგებაშვილის პირველი სახელმძღვანელოს – „ქართული ანბანის” – სწავლების მეთოდიკაა. იგი შეიცავს წინასაანბანო სავარჯიშოს ექვს საუბარს და დარიგებას, როგორ წარმართოს მასწავლებელმა წერა-კითხვის სწავლება ანბანის სახელმძღვანელოთი”.¹⁷³ აღნიშნულ წერილში ჩვენს ყურადღებას იქცევს იაკობ გოგებაშვილის მითითებული რეკომენდაციები: „ზეპირი საუბრის შემდეგ, – შენიშნავს ი. გოგებაშვილი, – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გარკვევით და ხსნის მის შინაარსს „ხსვადახსვა კითხვების შემწვობით”. ხალხური შემოქმედების ნიმუშები (გამოცანები, ანდაზები) საუკეთესო საშუალებებია აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისათვის, „მათში არის გამოხატული ჩვენი ხალხის ჭკუა-გონება”, „ნამდვილი ცოცხალი ქართული ენა” და ისინი მოსწავლეებმა ზეპირად უნდა ისწავლონ”.¹⁷⁴

ზოგჯერ, ცნობილი განმანათლებელი მასწავლებლებს ურჩევს, მცირე მოცულობისა და მარტივი შინაარსის ტექსტები კლასშივე შეასწავლონ ბავშვებს. „...ხალხური სიმღერის...კითხვა, - წერს იგი, - მეტად ადვილია, რადგანაც ერთი და იგივე სიტყვები ბევრჯერ იმეორებიან. ამ სიმღერის კითხვას და ზეპირათ დასწავლას პირდაპირ დააწყებინებს. რამდენიმე მოსწავლემ ერთი მეორეს შემდეგ ხმა მაღლა წაიკითხა პირველი მუხლი ამ სიმღერისა. ამ დროს, რასაკვირველია, ყველა მოსწავლეები იცქირებიან წიგნში და ჩუმათა კითხულობენ ამავე მუხლსა. შემდეგ მასწავლებელი მოაკეცინებს ყველას წიგნებსა და ჰკითხავს: ვინ მეტყვის ახლა ზეპირად იმ ლექსსა, რომელიც ახლა რამდენჯერმე წავიკითხეთ. როდესაც ყველა მოსწავლეს გაამეორებინებს ზეპირათ ამ მუხლს, მაშინ ამ გვარათვე შეუდგება შემდგომი მუხლების კითხვას და ზეპირათ სწავლასა, თანაც, რასაკვირველია, ყველა ჰაზრს და გამოხატულობას ცხადათ აუხსნის”.¹⁷⁵

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელსა და მის ცოცხალ სიტყვას გაკვეთილზე. „ყველა არაკმა და მოთხრობამ მასწავლებელს უნდა მისცეს საგანი ცოცხალი საუბრისა მოსწავლეებთან”.¹⁷⁶

¹⁷³ ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. IV, 1990, გვ., 674.

¹⁷⁴ იქვე, გვ., 676.

¹⁷⁵ ი. გოგებაშვილი, დარიგება, გვ., 72.

¹⁷⁶ იქვე, გვ., 74.

ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი ჯერ თვითონ კითხულობს ტექსტს კლასში, შემდეგ კი თითოეული ფრაზის მნიშვნელობისა და ლექსის აზრის გამოსატანად, კითხვებით მიმართავს შეგირდებს. და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, კითხვა-პასუხის ფორმით მოწაფეებს უვითარებს ლოგიკური აზროვნების უნარს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. გოგებაშვილის შემდეგი მოსაზრება: „მოხერხებული მასწავლებლის ხელში გამოცანები საზოგადოთ კარგი გონების სავარჯიშო საგანი შეიქნებიან. ყველა გამოცანის საგანზედ იგი გონივრულათ ებაასება და სხვა და სხვა კითხვებით მიახვედებს და გამოაცნობინებს. მაგალითათ, ყმაწვილებმა წაიკითხეს გამოცანა: ცოცხალია ბალახსა სძოვს, მოკვდება, ღვინოსა სვამს. სხვადასხვა კითხვით (როდესაც ცხვარი ან ხარი ცოცხალია, რასა სჭამს მაშინა? როდესაც მოკვდება, ტყავს როგორ გამოიყენებენ ხოლმე? და სხვ) პედაგოგი აღძრავს ინტერესს მოზარდ თაობაში და ამით გამოიწვევს მათგან პასუხს.

ანდაზების სწავლების ორგვარ სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობას იაკობ გოგებაშვილი ამგვარად აფასებს: „მათი (ანდაზების-ქბ.) ჰაზრის ახსნა და მიხვედრება ყმაწვილებისა ძნელი არ არის მასწავლებელისათვის. იგინი ზეპირათ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა, რადგანაც ერთი მხრით ნამდვილი ცოცხალი ქართული ენა ამ ანდაზებში არის დარჩენილი, მეორე მხრით მათში არის გამოხატული ჩვენი ხალხის ჭკუა-გონება. რაც შეეხება გაუთავებელ ფრაზებსა, იგინი ყოველთვის მოსწავლეებმა უნდა გაათაონ და არა მასწავლებელმა. ყმაწვილებს ეს სრულიად არ გაუძნელდებათ, რადგანაც ფრაზების შინაარსი წიგნის პირველი ნახევრიდან ეცოდინებათ“.¹⁷⁷

ამრიგად, ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლებისას დიდი განმანათლებელი უპირატესობას შეგნებულობის პრინციპს ანიჭებდა და ამ პრინციპით ხელს უწყობდა მოსწავლეებში ლოგიკურ აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილი (რომელიც დიდად აფასებდა ფოლკლორული მასალების აღმზრდელობითი როლს) თვითონვე კრეფდა ზეპირსიტყვიერ ნიმუშებს და ათავსებდა სახელმძღვანელოებში. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ შემეცნებისა და აღზრდის თვალსაზრისით, უკეთესი იქნებოდა ხალხური ნაწარმოებები სხვა მასალებთან ერთად ყოფილიყო შეტანილი სასწავლებლად სახელმძღვანელოში. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ

¹⁷⁷ ი. გოგებაშვილი, ტ. IV, „დარიგება“, გვ., 73.

ყურადღებას იქცევს „ანბანის“ 1877 წლის გამოცემა, რომელშიც ი. გოგებაშვილმა ხალხური ნაწარმოებების სხვა მასალასთან სწავლების დაკავშირების საინტერესო მაგალითი მოგვცა. მხედველობაში გვაქვს მოთხრობა „უსუნო ყვავილი“, რომლის დედააზრის გასააზრებლად მოსწავლეების ეცნობიან ანდაზას „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. როგორც ვხედავთ, მოცემული ანდაზა კარგად გამოხატავს მოთხრობის შინაარსს. თუმცა, გვხვდება მასალათა შორის კავშირის დარღვევის შემთხვევებიც, რომელზეც მოგვიანებით შევჩერდებით.

1868 წელს გამოცემულ „ბუნების კარში“ ზეპირსიტყვიერების შემდეგი ნიმუშებია შეტანილი: „დედაბერი და ცხოველნი“ (ხალხური ლექსი) და „ლექსი ავთანდილისა“. 1912 წლის „ბუნების კარის“ გამოცემაში აღნიშნული ნიმუშები შეცვალა შემდეგი მასალებით: „საწყალი გლეხი“ (ხალხური ლექსი); „ვაჟაკის სიკვდილი“ (ხალხური ლექსი) და „სამნი ძმანი“ (ხალხური არაკი). ზემოხსენებული ნაშრომის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებდა ბავშვებისათვის ლექსების სწავლების დიდი სარგებლობის შესახებ: „ამგვარ წიგნში რამდენიც ბევრი ლექსი იქნება, იმდენ უფრო მეტს სარგებლობას შესძინებს ყმაწვილსაო“, ბუნებრივია, ასეთი რეკომენდაცია ლიტერატურულ ნაწარმოებთან ერთად ეხებოდა ზეპირსიტყვიერ მასალებსაც. „ბუნების კარში“ ავტორი დიდ ყურადღებას აქცევდა ზღაპრების შინაარსობრივ: პროფ. ანტ. ხინთიბიძე შენიშნავს „ის (ი. გოგებაშვილი – ქ.ბ.) გამოდიოდა რა რეალური განათლების პრინციპიდან, მის გატარებას ზღაპრების სკოლაში გამოყენების საქმეშიც მოითხოვდა. ზღაპრიდან კი ზოგიერთი (მითოლოგიური ზღაპრები) ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. ამიტომ, იაკობის აზრით, ასეთ ზღაპრებში ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი: ბავშვებს პატარაობიდანვე ესმით „არაკები ცხრათავიან დევებზე, კუდიანებზე, ჭინკებზე და სხვა მახინჯ, უმსგავსო არსებაზე. ისინი ავარჯიშებენ მხოლოდ ფანტაზიას და ისიც იმგვარ საზრდოთი, რომელიც შხამავს მათს გონებას“- თ – წერდა ი. გოგებაშვილი“.¹⁷⁸

როგორც ირკვევა, ზეპირსიტყვიერი მასალების სასწავლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით შერჩევის პედაგოგიკური ცოდნა და ალღო განსაკუთრებით სახელმძღვანელო – „დედა ენაში“ გამოჩნდა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი პედაგოგიკური და მეთოდოლოგიური დონით არჩევა ზეპირსიტყვიერ მასალებს სახელმძღვანელოში შესატანად დიდი პედაგოგი

¹⁷⁸ ანტ. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრ. გვ., 344.

ჩვენ საანალიზოდ შევარჩიეთ ამ სახელმძღვანელოს სამი გამოცემა. აქედან ორი (1876 და 1912 წ) ავტორის სიცოცხლეშივე გამოიცა, მესამე კი (1944) ნ. ბოცვაძისა და კ. ბურჯანაძის რედაქციითაა გამოცემული. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

„დედა ენის 1876 წლის გამოცემა იაკობ გოგებაშვილს ხალხური შემოქმედების შემდეგი ნიმუშებით გაუმდიდრებია: „ხალხური სიმღერა“, „მოსიყვარულე ამხანაგი“, „პატარა ქალის ნატვრა“, „ყაყაჩო და ყმაწვილი“, „ბეჯითობა“, „მოწვევა სწავლაზე“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „კაჭკაჭი და ყვავი“, „მკვეხარა ქოთანის“, „მძინარე ნიბლია“, „გვრიტი“, „ფეხმოტეხილი კურდღელი“, „მარტი და აპრილი“, „მებადურის შვილი“, „ქართველები“, „ამირანი“, „ლექსი ჯავახეთზე“, „ჩიტი და ფეტვი“, „ბერიკაცის ნატვრა“, „ვირი, ღორი, თხა და მამალი“, „საწყალი მელა“, „ნადირობა“, „უშვილო კაცი და თაგვი“, „ავთანდილი“, „მელია და მწყერხიტა“, „ტოროლა“, და სხვ.

გარდა ამისა, „დედა ენაში“ ცნობილ პედაგოგს მოუთავსებია ანდაზები („ქუდს რა უნდა და ბნელი ღამეო“; „ერთი თხილის გული ცხრა ძმათ გაიყვეს; „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ და სხვ.) და გამოცანები („მიდის, მოდის, იქვე კი დგას“; „ორჯერ შობილი ერთხელა კვდება“ და სხვ). ზოგჯერ გვხვდება ფოლკლორის ისეთი პატარა ჟანრიც, როგორსაც „ჩქარა გამოსათქმელი“ (ანუ სწრაფსათქმელი ანუ ენის გასატეხი) წარმოადგენს („თეთრი თრითინა თეთრ რთვილზედ თრთოდა“; „თათარი თეთრ თუთას თეთრ თეფშზედ ჰყრიდა“, „დედავ, რამან დაგაბერა, რამან დაგადედაკაცა?“ და სხვ). „ამ უკანასკნელის შეტანა, – მიუთითებს პროფ. ანტ. ხინთიბიძე, – უსათუოდ მიგვიითითებს იაკობის ღრმა რწმენაზე ხალხური შემოქმედების აღმზრდელობითი მნიშვნელობისადმი და მასთან ჩვენი პედაგოგის დიდ პედაგოგიურ ინტუიციასა და დაკვირვებაზე“.¹⁷⁹

იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევდა, ვიდრე მოსწავლე დაეუფლება გამართულ კითხვას, საკითხავ მასალას პედაგოგი მოუთხრობს ბავშვებს, რომელთაც ნება ეძლეოდათ ზღაპრები კლასის გარეთ, დამოუკიდებლად ეკითხათ. „დედა ენის“ I გამოცემის წინასიტყვაობაში ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ზღაპრების კითხვას კლასში მხოლოდ მაშინ მოითხოვს მასწავლებელი მოწაფეთაგან, როცა ესენი კითხვაში გაიმართებიან. მანამდის კი ეს ზღაპრები სიტყვით უნდა უანბოს და წიგნში მათი კითხვა მიანდოს ბავშვების სურვილს კლასის გარეთ, თავისუფალ დროსა. ზღაპრებს მისდევენ პაწაწ-პაწაწა

¹⁷⁹ ანტ. ხინთიბიძე, ხალხ. შემოქ. ნიმუშ. გამოყ., გვ., 339.

მოთხრობები...ესენი თავდაპირველათვე უნდა კლასში იკითხებოდნენ და მათი კითხვის დროს მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს მოწაფეთაგან გვარიანი კითხვის კანონების დაცვა”.¹⁸⁰

ამ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციაში კარგად ჩანს, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იაკობ გოგებაშვილი მომავალი თაობის აღზრდას. დიდი მოცულობის იგავ-არაკების წაკითხვა კი კლასში მიაჩნია საჭიროდ. „მათი (იგავ-არაკების-ქ.ბ.) კითხვა ბავშვებისათვის არც კლასში იქნება ძნელი, არც გარეთ, რადგანაც ესენი პატარები არიან და მარტივნი შინაარსით და გამოსატყულებით”.¹⁸¹

გამოცანებისა და ანდაზების სწავლებას იაკობი თვლიდა მოზარდის გონების გახსნის საუკეთესო საშუალებად. „თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი ჰაზრი: პირდაპირი და ზნეობითი. ზოგი ერთა ანდაზებისა ორივე ჰაზრი გასაგებია ბავშვებისათვის, ზოგისა კი მარტო პირდაპირი და ზნეობითი მნიშვნელობა კი მიუწვდომელია მათთვის. უკანასკნელ შემთხვევაში ზნეობით ჰაზრს სრულიადაც არ უნდა შეეხოს მასწავლებელი...გამოცანები შეადგენენ აღწერას საგნებისასა და დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონების გახსნაში, თუ კი მასწავლებელი ხელოვნურად წაიყვანს მათ ახსნასა”.¹⁸²

კრებულში შეტანილ ნიმუშებიდან ზოგიერთი თავად ი. გოგებაშვილს შეუკრებავს, ზოგი კი – პეტრე უმიკაშვილს („მოსიყვარულე ამხანაგი”; „ნადირობა”; „საბრალო დედაბერი”; „დაჭერილი მელა”; „ირემი”; „კურდღელი და მწვეარი”; „დათვის სიზმარი” და სხვ) და სამსონ ღონდაძის კრებულებიდან უსესხია. „ზოგნი, – წერს ავტორი, – ამოვარჩიეთ ახალციხური ლექსების კრებიდან, რომლებიც შეგროვილნი არიან უკანასკნელ დროს ერთი პატივცემული ფრანგების მღვდლისგან, ნიკ. მესხიევის თაოსნობით, და რომლებიც დაბეჭდვას მოეღიან”.¹⁸³

1912 წლის გოგებაშვილისეული „დედა ენა” ორი ნაწილისაგან შედგება. „დედა ენის” პირველი ნაწილში გათვალისწინებულია ანბანის შესწავლა პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერითა და საწერი დედნით.

ანბანის შესწავლას მოსდევს გამეორება, რომლის შესახებაც ცნობილი პედაგოგი შენიშნავს: „ამ განყოფილების შესწავლის დროს მოსწავლენი ნაწილ-

¹⁸⁰ ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 77.

¹⁸¹ იქვე.

¹⁸² იქვე, ტ. IV, წინასიტყვაობა „დედა ენის” I გამოცემისა, გვ. 78-79.

¹⁸³ ი. გოგებაშვილი, რწ. თხზ. 5 ტომად, ტ. IV, თბ., 1990, გვ. 78.

ნაწილად სწერენ იმ დედანსა და საგნების მოქმედებასა, რომელნიც ამ განყოფილებაა”.¹⁸⁴

ამ ნაწილში ი. გოგებაშვილს მოცემული აქვს ზოგადი ცნობები ამა თუ იმ განვლილი მასალის შესახებ, რომლისათვისაც მას, ბოლოში დაურთავს ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და ასევე, ანდაზები. მაგალითად, გაკვეთილს, „ია” მოსდევს ხალხური ლექსი „ბავშვის შექება” და ასევე, ანდაზები; გაკვეთილს „ბუდე” დართული აქვს ხალხური ლექსი „ბუდის ჩადგმა” და ან კიდევ ხალხური „ჩიტი და მელია”. ასევე, ქათმის შესახებ მოცემულ გაკვეთილს მოსდევს ანდაზები ქათამზე: „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო. – ეს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კი კვერცხსა სდებს. – ქათამი რო წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს”.¹⁸⁵

მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს, ი. გოგებაშვილის „კურდღელის” დახასიათებისათვის დაურთავს ხალხური ლექსი „კურდღელი და ყანა” და „კოჭლი კურდღელი და მურა”.

„დედა ენის” მე-2 ნაწილში იაკობს ხალხის უკვდავი შემოქმედების შემდეგი ნიმუშები დაურთავს: „ხალხური სიმღერა”, „მოსიყვარულე ამხანაგი”, „ყაყაჩო და ყმაწვილი”, „მოწვევა სწავლაზედ”, „მკვებარა ქოთანი”, „მკვებარა”, „მოჯამაგირის ლექსი”, „შესაძლებელია?”, „სამი მგელი”, „საწყალი მელა”, „ღარიბი გლეხი” და სხვ. აქედან ცალკე ციკლად გამოუყვია მოთხრობანი და ლექსები წმიდა ზნეობაზე („მოსუცის ნატვრა”, „გულკეთილობა”, „მებადურის შვილი” და სხვ.); შინაური ცხოველები („თაგვების და კატის ომი”, „ცხვარი და სიღარიბე”, „გუთნის ლექსი”), ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები („გულადი ქართველი”, „მძინარე ერეკლე”, „ერეკლე და პამპაული”) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1876 წლის გამოცემასთან შედარებით ზეპირსიტყვიერების ზოგი ნიმუში იაკობს ამოულია: („ბეჯითობა”, „ყორანი”, „ლექსი ჯავახეთზე”, „მდინარის ნაამბობი”, „ნადირობა”, „უშვილო კაცი და თაგვი”, დაჭერილი მელა”, „ბუზი და სპილო”, „მოშია”, „ქარი და საბძელი”, „ხმალი” „დაჭერილი კურდღელი” და სხვ.

ყურადღებას იქცევს ერთი ხალხური ლექსის ამგვარი სახით დასათაურება „შესაძლებელია?”. აშკარაა, სასწავლო მასალის ასეთი დასათაურებით დიდი პედაგოგი ხელს უწყობდა მოწაფეების ლოგიკური და აგრეთვე, კრიტიკული

¹⁸⁴ ი. გოგებაშვილი, „დედა ენა”, ნაწ. I, 1912, გვ., 35.

¹⁸⁵ იქვე, გვ., 39.

აზროვნების განვითარებას.

„სანთლის გუთანს ავაშენებ,
 შიგ შევაბამ უღელს დევსა;
 ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
 ხმელზე ვინადირებ თევზსა;
 ყინულზედ კალოს გავლეწავ
 და მშრალზედ გადაყერი ბზესა;
 ჭინჭველას გოდორს ავკიდებ
 და დევებს დაეყერი ბზესა.”

„დედა ენის” 1912 წლის გამოცემას იაკობ გოგებაშვილმა ქართული ხალხური სიმღერებიც დაურთო (განსხვავებით წინა გამოცემისა). იაკობი თავადაც მუსიკის მოტრფიალე გახლდათ. ამის შესახებ სოფრომ მაგლობლიშვილი იგონებს: „იაკობი ცხოვრებაში მდაბიო კაცი იყო ... უყვარდა სადილზე შექცევა, ლხინი, სიმღერა. ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელიც, სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელიძე. იაკობს ძალიან გაეხარდა, გაგვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ...სადილზე ბევრი ვილხინეთ, „მრავალ-ჟამიერს”, „კურდღელას” და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით”.¹⁸⁶

ქართული ხალხური სიმღერებიდან (გადაღებული: ბ.ბ. კარგარეთელისა, ჩხიკვაძისა და არაყიშვილის – მიერ) აქ შეტანილია: „თამარ მეფე”, „ორმოში ფეტვი ჩავყარე”, „იავნანა”, „სერზე მიდის სამი მგელი”, „მუმლი მუხასაო”, „კურდღელი ჩამოცანცალდა”, „ლეკებმა რომ დამიჭირეს”, „ჩარირამა”, „ბუბა ქაქუჩელა” და „მიყვარს ფაცხა”.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხურ ლექსში „კურდღელი ჩამოცანცალდა” იაკობმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა, ხალხურ სიმღერების ტექსტში კვლავ ხალხში გავრცელებული ვარიანტია მოთავსებული.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკის როლს ბავშვის აღზრდაში. უფრო მეტიც, იგი საჭიროდ მიიჩნევდა მუსიკის სასწავლო პროცესში გამოყენებას. „ბავშვის გონება, დაღალული ვარჯიშობისაგან, ერთი-ორად-უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ჟამსა, ვიდრე უბრალოდ დასვენების დროსა. საკმარისია პატარა ხანს შეაწყვეტინოთ შრომა დაღალულს კლასსა და სამ-ოთხ წამს ამღეროთ იგი, რომ

¹⁸⁶ ს. მაგლობლიშვილი, „მოგონებანი”, 1938, გვ. 191-192.

ღონეზე ისევ მოვიდეს და მან ახალი ძალით და ხალისით გააგრძელოს ვარჯიშობა. ამიტომ ახლანდელი დროის სკოლა გამანათლებელ ქვეყნებში ყოველად შეუძლებელია უსიმღეროდ”.¹⁸⁷ ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო კიდევ ერთ მაგალითს: „მასწავლებელი გარდასცემს ბავშვს ამ საგნის შესახებ რაიმე მოთხრობასა, თუ შესაძლებელია, ანდაზას, გამოცანასა და ლექსსა, რომელსაც ამდერებს მარტივს ჰანგზედ”.¹⁸⁸ ცნობილი პედაგოგი იქვე განაგრძობს: „საიდგან ვიცოდით ჩვენ ხალხური სიმღერები და წმინდა და აუღმღვრეველი წყარო ჰქონდა ამ ცოდნასა? ამის პასუხად მკითხველს მოვახსენებთ, რომ ამ სტრიქონების დამწერი ხალხის შვილია, შუა ქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში აღზრდილი”.¹⁸⁹

იაკობ გოგებაშვილი ხალხის პოეზიის ნიმუშებს სახელმძღვანელოში შეტანისას ხელმძღვანელობდა როგორც შემეცნებითი, ისე მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპით: „ლექსები სიმღერებისათვის იმ გვარნი ამოვარჩიე, რომელნიც ან პოეტური მხრით არიან ჩინებულნი, ან კეთილ-აზროვანნი, და პედაგოგიური შინაარსი აქვთ”.¹⁹⁰

იაკობს სახელმძღვანელო დაუწვია ხალხური ლექსით „მოდი ვნახოთ ვენახი”. „ჩვენი პირველი საკითხავი წიგნი იწყება სახალხო ლექსით: „მოდი ვნახოთ ვენახი”...თუ მკითხველს წაუკითხნია ეს ლექსი, დამეთანხმება, რომ იგი თითქო სწორედ პირველს წიგნის დასაწყისისათვის შეუთხზავს ჩვენს ხალხსა. ეს ლექსი მარტივია უკანასკნელ ხარისხამდე. ყოველი მუხლი მეტად მოკლეა, შესდგება მხოლოდ სამის სიტყვისაგან, ნიშნავს მთავარ წინადადებასა და სრულს აზრსა ხატავს, ასე რომ აზრის გასაგებად ბავშვისათვის საჭირო არ არის შემდგენის მუხლის ამოკითხვას დაუცადოს. ლექსი ცოტა გრძელია, მაგრამ ერთი და იგივე სიტყვების გადაბ-გადმობით არის შემდგარი. პირველ ოთხ მუხლიან ხანაში ბავშვი შეხვდება მხოლოდ ექვსს სხვა-და-სხვა სიტყვასა, ყველა შემდგენი ხანები ამავე სიტყვებიდან არის შემდგარი მხოლოდ თითო-თითო სიტყვის მიმატებით. ამიტომ საკითხავად მეტად ადვილია ბავშვებისათვის, ისე ადვილია, რომ მათ თვითონვე უკვიროთ (ჩვენ ამას გამოცდილებით ვამბობთ), თუ როგორ კითხულობენ ასე ადვილად პირველსავე დასაწყისში, და ძალიან ხალისი ეძლევათ. რაც შეეხება

¹⁸⁷ ი. გოგებაშვილი, „ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისათვის, 1878, გვ., 382.

¹⁸⁸ ი. გოგებაშვილი, „შემეცნების ამაყოფა”, რჩ. პედ. თხზ. 1977, გვ., 263.

¹⁸⁹ იქვე, გვ., 383.

¹⁹⁰ იქვე

შინაარსს, ლექსში იხატება საგნების და ცხოველების ერთმანეთზედ დამოკიდებულება იმისთანა მარტივის მახვილობით, რომ ბავშვი სრულს აღტაცებაში მოდის. ამას დაუმატეთ მარტივი საბავშვო ჰანგი, რომელზედაც იმდერება ეს ლექსი და თქვენ ადვილად მიხვდებით, რა ძვირ-ფასი რამ არის ეს ჩვენის ხალხის ნაწარმოები წიგნის დასაწყისისათვის”.¹⁹¹

როგორც ჩანს, იაკობზე დიდ გავლენას ახდენდა ბავშვობაში ამ ხალხური სიმღერის მოსმენა. „ამ ლექსის პირველმა გაცნობამ სიპატარავის დროს ისეთი ღრმა სიხარული დაჰბადა ჩემში, რომ ამ ჟამის ყველა გარემოება მტკიცედ ჩამრჩა აქამდის გონებაში...ამ ლექსის გაცნობა ჩემთვის შეიქმნა ნამდვილ დღესასწაულად, რომელმაც დიდ-ხანს გასტანა”.¹⁹²

ამ მოგონებიდან ნათელია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოში შესატან ნაწარმოებთა არა მარტო თემატურ-შინაარსობრივ მხარეს, არამედ მხატვრულობას და მუსიკალობას.

მესამე გამოცემა, რომელზეც ჩვენ შევაჩერეთ ყურადღება, არის 1944 წელს ნ. ბოცვაძისა და კ. ბურჯანაძის რედაქციით შედგენილი „დედა ენა”, პირველი ნაწილი. ეს გამოცემა ძირითადად ეყრდნობა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის” დიდაქტიკის პრინციპებს, ამასთან გამდიდრებული ახალი ეპოქისეული მოსწავლეთათვის მისაწვდომი მასალებით კერძოდ, ზეპირსიტყვიერებიდან მასში ავტორებს შემდეგი ნიმუშები შეუტანიათ: „ყაყაჩო და ყმაწვილი”, „მოსიყვარულე ამხანაგი”, „მოწვევა სწავლასედ”, „ნიბლია”, „ტოროლა”, „მკვეხარა ქოთან”, „გვრიტი” და სხვ.

წინა განხილული გამოცემებისაგან განსხვავებით ავტორებს ხალხური ნაწარმოებები რატომღაც, შეუმცირებიათ.

ზოგიერთ გაკვეთილს მოსდევს დავალება. მაგალითად, ხალხურ ლექსს „მოსიყვარულე ამხანაგი” დართული აქვს კითხვა: „ვისთან ერთად უნდოდა ბავშვს მინდორში ყოფნა” და „წერითი სავარჯიშო: დაამთავრეთ წინადადებები მზე წითლად...ბავშვი მინდორში...¹⁹³ ანდა ვთქვათ, ხალხურ ლექსს „სამი მგელი” მოსდევს კითხვა: „რატომ უთვლიან მგლები ცხერის პატრონს: ნუღარ გინდა თივა-წერიო?” და „წერითი სავარჯიშო: გადმოწერეთ ამ ლექსიდან ოთხი ოთხბგერიანი

¹⁹¹ „უმეცრების ამაყოლა”, გვ., 285-286.

¹⁹² იქვე, გვ., 286.

¹⁹³ ნ. ბოცვაძე, კ. ბურჯანაძე, „დედა ენა”, პირველი ნაწილი, „ანბანი და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი”, თბ., 1944, გვ., 78.

და ოთხი ხუთბერიანი სიტყვა”.¹⁹⁴ ზეპირსიტყვიერების შემდეგ ნიმუშში „საწყალი მელა“-ბავშვებს უნდა ეპასუხათ შემდეგი კითხვებისათვის: „რას მიაგნო მელიამ? რა უყო მელიას ქათმების პატრონმა?“ ასევე, მათ ეძლეოდათ დავალება: „დაწერეთ ზეპირად ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი; ენის სავარჯიშო: რამდენი თანხმოვანი ბგერაა შემდეგ სიტყვებში: იხვსა, ბატსა და ქათამსა ყველას კავკარი კბილია”.¹⁹⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ მსგავსი სახის დავალებები ზეპირსიტყვიერების სწავლებისას არ გვხვდება.

ხალხური ლექსი „თხა და ვენახი“, წიგნის შემდგენლებს გოგებაშვილისეული „დედა ენისაგან“ განსხვავებით ბოლოში გადაუტანიათ.

„დედა ენის“ ამ გამოცემაშიც უხვად გვხვდება ანდაზები და გამოცანები. ანდაზები შინაარსობრივად დაკავშირებულია შესასწავლ მასალასთან. მაგალითად, „უსუნო ყვავილის“ ბოლოს მოსწავლე შეისწავლის შემდეგ ანდაზას „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ და იქვე არის წერითი სავარჯიშო: „ანდაზა ზეპირად დაისწავლეთ და დაწერეთ”.¹⁹⁶

რაც შეეხება „დედა ენის“ მეორე ნაწილს აქ ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა რაოდენობა ათს არ აღემატება. აქ შესულია შემდეგი ნიმუშები: „მოჯამაგირის ლექსი“, „მელია და მწყერ-ჩიტა“, „მელია და მამალი“, „მგელი და მეცხვარე“, „სტალინს“, „მამულის სიყვარული“ და „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვ.

ხალხის გონებრივი საუნჯის უშრეტი წყაროს რაოდენობრივი შემცირება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ზეპირსიტყვიერების დიდი მნიშვნელობა აღმზრდელობითი თვალსაზრისით, რატომღაც ავტორებს სათანადოდ ვერ შეუფასებიათ. ამასთან ერთად, საკმაოდ დაუსაბუთებელია, თუ რატომ მოხდა ლექსის „მოდი ვნახოთ ვენახის“ წიგნის ბოლოში გადატანა.

ხალხურ ნაწარმოებებს, ზოგიერთის გარდა („მელია და მამალი“, „გადაარჩინეს“ და სხვ.) გაკვეთილის ბოლოს დაერთვის კითხვები. მაგალითად, „მოჯამაგირის ლექსს“ მოსდევს შემდეგი კითხვები: „რას ჩივის მოჯამაგირე? რა დროის ამბავია მოთხრობილი ამ ლექსში. წერითი დავალება: დაწერეთ ზეპირად პირველი რვა სტრიქონი”.¹⁹⁷ ხალხური ლექსის „კამეჩის“ სწავლებისას ბავშვებს შემდეგი წერითი დავალება ეძლეოდათ: „კამეჩი ყოყინებს

¹⁹⁴ იქვე, გვ., 135.

¹⁹⁵ იქვე, გვ., 139.

¹⁹⁶ ნ. ბოცვაძე, კ. ბურჯანაძე, „დედა ენა“, პირველი ნაწილი, თბ., 1944, გვ., 201.

¹⁹⁷ ნ. ბოცვაძე, კ. ბურჯანაძე, „დედა ენა“, მეორე ნაწილი, თბ., 1944, გვ., 33.

კატა?...

ძაღლი?...

ცხენი?...

ღორი?...

ცხვარი?...

ამრიგად, მოსწავლეს უნდა ეპასუხა, რა იყო ამ ცხოველთათვის დამახასიათებელი.

„დედა ენის“ 1944 წლის გამოცემაში არც თუ იშვიათად ბავშვებს ევალეობრათ სახელში დაესწავლათ ახალი მასალა და ზეპირად დაეწერათ. მაგალითად, მსგავსი დავალებაა მოცემული ხალხური ლექსის „მამულის სიყვარულის“ შესახებ.

„დედა ენის“ სამივე გამოცემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ი. გოგებაშვილი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა სახელმძღვანელოში შეტანას, ვიდრე ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოდ მიგვაჩნია „დროებაში“ (1881, №141) გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ვინმე ქ. ზარაფოვს ეკუთვნის.¹⁹⁸ ეს უკანასკნელი ქართულ ენას ასწავლიდა თელავის წმ. ნინოს საქალო სასწავლებელში. „სახელმძღვანელოდ გვაქვს „დედა-ენა“ ბ-ნი ი. გ-სა. როდესაც ერთს განყოფილებას ვასწავლი კითხვას, დანარჩენს ორს აქვს წერა. კითხვის დროს ჩემი ყურადღება მიქცეულია მაზედ, რომ მოსწავლეთა ესმოდეთ ყოველი სიტყვა და წინადადება (ხაზი ჩვენია – ქ.ბ) და აგრეთვე, რომ გამოსთქვან მათ სიტყვანი და წინადადებანი მაღლა, მაგრა და გარკვევით, რომლის მაგალითსაც ჯერ მე ვუჩვენებ და მერე მოსწავლეთა ვამეორებინებ. შემდეგ წაკითხვისა და შინაარსის თქმისა ზღაპრიდან, ლექსიდგან და ანდაზიდან, სადაც საჭიროდ დავინახავ, გადმოვიდვიარ ნამდვილ ცხოვრებაზედ და ვნასკვნავ ზნეობით სწავლას. საზოგადო ჭეშმარიტებას, რომელშიც ვაღებინებ მონაწილეობას თვით მოსწავლეთაც სხვა-და-სხვა ჩემი კითხვებით გამოწვეულთ“.¹⁹⁹

როგორც ჩანს, ავტორი შეუშფოთებია მაშინდელი საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას ქართული ენის სწავლისადმი. „ქართული ენის სწავლება, - შენიშნავს იგი, - ვერ მოიტანს სანატრელს ნაყოფს იქამდის, ვიდრე ახლანდელ

¹⁹⁸ ქ. ზარაფოვი ყურადღებას ამახვილებს ზღაპრებისა და ანდაზების სწავლების მეთოდზეც.

¹⁹⁹ ქ. ზარაფოვი, „დროება“, 1881, №141.

სასწავლებელთა წესდება არ შეიცვლება, ვიდრე ნამდვილად ქართული სასწავლებელი არ გავრცელდებიან, ვიდრე ხალხში არ გავრცელდება სურვილი კითხვისა”.²⁰⁰

1881 წელს ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოიცა „გაზაფხული ყმათათვის საკითხავი წიგნი...წყარო №2”. საგარაუდოა, რომ აღნიშნული წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. მასში შეტანილია: ხალხური ლექსი „მართალია” (ეს უკანასკნელი მცირედი ცვლილებებით შემდგომში გვხვდება „დედა-ენის” 1912წ. გამოცემაში – სათაურით „შესაძლებელია?”), რამდენიმე ანდაზა და ხალხური ზღაპარი „მზეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი”.

1885 წელს თბილისში გამოიცა მ. ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრისტომატია უმცროსი კლასებისათვის”. ჩვენთვის საინტერესოა ქრესტომატიის შესავალი ნაწილი, სადაც ავტორი მოსწავლეთა კითხვის კულტურის სწავლებაზე ამახვილებს ყურადღებას. ამასთან ნათქვამია, რომ მოწაფეებმა მარტივი შინაარსის ტექსტები უნდა იკითხონ. ამის საუკეთესო ნიმუშად კი მას ხალხური ზღაპრები მიაჩნია.

სახელმძღვანელო სამი განყოფილებისაგან შედგება: პირველში მოთავსებულია ლექსები (აქ ხალხური ლექსების გვერდით ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და რ. ერისთავის ლექსებიც გვხვდება), მეორე განყოფილებაში შესულია მხოლოდ ზღაპრები და III განყოფილება შედგება ნაწარმოებებისგან „საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ”. ამ განყოფილებაში განხილულნი არიან ისტორიული პირები.

კრებულის პირველივე გვერდზე მოთავსებულია ხალხური ლექსები „თამარ მეფე” და „სიმღერა ერეკლეზე” (ავტორი მათ იხსენიებს არა ხალხურ, არამედ ძველ ლექსებად). როგორც ჩანს, ამგვარი მასალით მ. ნასიძე ცდილობდა მოზარდი თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. დიდაქტიკური თვალსაზრისით მისაღებია ის, რომ კრებულში მოთავსებული (ხალხური) ნიმუშები ბავშვებს მიუთითებენ ზნეობრივ საქციელზე. ასევე, სხვათა დახმარებაზე და სხვ. მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თვალსაზრისით მ. ნასიძეს ზოგი ხალხური ზღაპარი შეუძოკლებია. ერთ-ერთი მათგანი კი „სამნი ძმანი” გვხვდება როგორც პირველ (შემოკლებული ვარიანტი), ასევე მეორე (ვრცელი) განყოფილებაში, რაც ჩვენ მეთოდური თვალსაზრისით მართებულად არ მიგვაჩნია.

მიუღებლად მიგვაჩნია აგრეთვე ისიც, რომ ცნობილი მწერლის აკ. წერეთლის

²⁰⁰ ქ. ხარაფოვი, „დროება”, 1881, №142.

„ღამურა“ მ. ნასიძეს ხალხურ ზღაპრებში მოუთავსებია.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ კრებულში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეტანა ავტორის მოღვაწეობის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშთა შეტანით აღნიშნული სახელმძღვანელო ბევრად ჩამოუვარდებოდა ი. გოგებაშვილის შედგენილ კრებულებს, ანუ საქმე ამ მხრივ წინ აღარ წასულა.

1891 წელს არ. ქუთათელაძემ გამოსცა „წყარო“, სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის. ამ სახელმძღვანელოში შეტანილია შემდეგი ხალხური ნაწარმოებები: „თამარი“, „სიმღერა ერეკლეზე“, „თხა“, „ნიკორა და ლაღა“, „რწყილი“, „ვაჟკაცი“ და სხვ. ეს ხალხური ნაწარმოებები ისწავლებოდა მხატვრული შემოქმედების გვერდით. აღნიშნულ კრებულში მრავლადაა შეტანილი ს. ორბელიანის, აკ. წერეთელისა და ეზოპეს იგავ-არაკები, რის გამოც ზემოხსენებული სახელმძღვანელო გაკრიტიკებულ იქნა პროფ. ანტ. ხინთიბიძის მიერ.²⁰¹

ირკვევა, ეს ნაკლოვანება ავტორსაც შეუნიშნავს, რადგანაც მომდევნო გამოცემებში (1898; 1900; 1904; 1908) იგავ-არაკების რაოდენობა შეუმცირებია.

სახელმძღვანელოში შეტანილი ზეპირსიტყვიერი ნიმუშები მცირე მოცულობისაა და სავსებით შეესატყვისება ბავშვთა ასაკობრივ განვითარებას.

კრებულის მომდევნო გამოცემებში ხალხური შემოქმედების შეტანის თვალსაზრისით არ. ქუთათელაძეს არსებითი ცვლილებები არ შეუტანია.

1898 წელს დაიბეჭდა არქიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის შედგენილი „სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით“. ნაშრომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „დღეს ჩვენში არსებობს ორი სათავადაზნაურო სკოლა...აგრედვე...ორი საეპარქიო სკოლა...საოსტატო და სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები. თითქმის ყოველ ამ სასწავლებელში მცირე ადგილი არა აქვს დათმობილი ჩვენს დედა ენას და ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას. მაშასადამე, ამ უამად უკვე საჭიროა არსებობდეს ისეთი სახელმძღვანელოცა, რომლის შემწეობით შეიძლებოდეს შესწავლა ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიისა.“

ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ჯერ-ჯერობით ეს მოკლე სახელმძღვანელო სიტყვიერების თეორიისა და ზედ დავურთეთ ცალკე დამატებად საქრისტომატიო

²⁰¹ ამის შესახებ ვრცლად იხ. ანტ. ხინთიბიძის ხალხური შემოქმედების გამოყენების ისტორიისათვის რევოლუციამდე ქართული ენისა და ლიტ. სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში, თელ. პედ. ინს. შრომები, ტ. III, 1959, გვ., 358-359.

ნაწილიცა, ანუ კრებული იმისთანა სალიტერატურო ნიმუშებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შესათვისებლად”.²⁰²

სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან: სიტყვიერების თეორიისა და დამატების, ანუ ქრესტომათიისაგან. ხალხური სიტყვიერება აქ ლიტერატურის საკითხებთან ერთად არის განხილული (აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს პროფ. თ. ჯაგოდნიშვილიც). გარდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა აქ ვხვდებით სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებებსაც. უფრო მეტიც, წიგნი შეიცავს სტილისტიკისა და სტილის, ლიტერატურის თეორიისა და მჭევრმეტყველების საკითხებს (ამ ყველაფერის თვალსაჩინო მასალა წარმოდგენილია ქრესტომათიულ ნაწილში).

ხალხური სიტყვიერება სახელმძღვანელოში მოაზრებულია, როგორც ნაწილი საერთოდ სიტყვიერებისა. ავტორებს პოეზია ასე აქვთ დახასიათებული: „პოეზია საერო და ხელოვნური”. საერო პოეზიაში იგულისხმება ზეპირსიტყვიერება, ხოლო ხელოვნურში – წერილობითი ძეგლები. ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა გაცნობამდე ავტორები ხალხურ შემოქმედების თეორიულ საკითხებს მიმოიხილავენ: „პოეტურ ნაწარმოებთა ისტორიაში უნდა განვარჩევდეთ ორს დრო-ჟამსა ანუ ეპოქასა: 1) ეპოქა საერო პოეზიისა ანუ არა - ხელოვნურისა (ზეპირისა) და 2) ეპოქა ხელოვნურის პოეზიისა (წერილობითისა). საერო პოეზია ანუ ზეპირი ჩნდება მაშინ, როცა ერს ჯერ არ შემოუღია მწერლობა, მაშასადამე, არა აქვს არც მეცნიერება, არც ხელოვნებანი და არც განათლება...ხოლო როცა ერში ვრცელდება დამწერლობა, მწიგნობრობა და ფეხს იდგამს განათლება, მაშინ ზეპირი პოეზია, ანუ ზეპირ-სიტყვაობა სუსტდება და მის მაგიერ ჩნდება ნაწერი ნაწარმოებნი, ხელოვნებით დაწერილნი თქმულებანი”.²⁰³

კრებულში ზღაპრების შეტანისას, როგორც ჩანს, ავტორებს გაუთვალისწინებიათ იმ დროს გავრცელებული კლასიფიკაცია.

პროფ. ანტ. ხინთიბიძის დაკვირვებით „ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში (ოდნავ შეცვლილი სათაურით – „სიტყვიერების თეორია და ქრესტომათია, სახელმძღვანელო წიგნი შედგენილი ეპისკოპოსის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ” 1908 წ) შემდგენლებს ცვლილება მოუხდენიათ. დაუმატებიათ:

²⁰² არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია”, ტფ., 1898, გვ., III; აღნიშნული წიგნი განხილული აქვთ პროფ. თ. ჯაგოდნიშვილსა („ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია”, 2004) და პროფ. ანტ. ხინთიბიძეს („ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების ისტორიისათვის რეკოლ. ქარ. ენისა და ლიტ. სახელმძღვ. და ქრესტ., ტ. III, 1959).

²⁰³ არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია”, ტფ., 1898, გვ., 53-54.

„არმაზი (მურვან-ყრუსაგან გაოსრების გამო” და ამოუღიათ – „ჩიტი და მელა”.²⁰⁴

სახელმძღვანელოში არ გვხვდება მეთოდური რეკომენდაციები. ნაშრომი შექმნილია რუსული სახელმძღვანელოს გავლენით (ცნობილია, რომ ხალხური სიტყვიერების სკოლებში სწავლების ინიციატორი რუსეთში ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ორესტ მილერი იყო. სწორედ მისი ინიციატივით დამკვიდრდა ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ზეპირსიტყვიერების შეტანისა და სწავლების ტრადიცია), რასაც არც ავტორები უარყოფენ. ნაშრომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ჩვენი სახელმძღვანელო შედგენილია რუსულ სახელმძღვანელოთა მიხედვითა და იმათსავით ესეც, ცოტად თუ ბევრად, კომპილიაციაა და ადგილ-ადგილ პირდაპირი თარგმანი.²⁰⁵

როგორც ჩანს, ავტორებს, მუშაობის პროცესში დაბრკოლებანი შეხვედრიათ: „იმათმა (დაბრკოლებების – ქ.ბ.) დაძლევა არა მცირედი შრომა მოინდომა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ამისთანა სახელმძღვანელოს შედგენა პირველი ცდაა ჩვენში, ხოლო დასაწყისი ყოველი საქმისა მუდამ ძნელია”.²⁰⁶

ირკვევა, რომ ავტორებს გარკვეული სირთულე შექმნიათ, თუ ზეპირსიტყვიერების რა ნიმუშები შეეტანათ წიგნის ქრესტომათიულ ნაწილში. ამის მიზეზი უდავოდ ზეპირსიტყვიერების გამოუქვეყნებლობა უნდა ყოფილიყო. „ამიტომ, – შენიშნავენ ავტორები, – იძულებულნი ვიყავით იმ ზღუდეთა შორის გვეტრიალნა და იმას დავეჯერებულიყავით, რაც დაბეჭდილია უკვე, ხოლო ეს დაბეჭდილიც ცალკე არ არის გამოცემული, არამედ გაფანტულია სხვა-და-სხვა გაზეთებსა და ჟურნალებში და მოძებნა მათი იქ ბევრს დროსა და მოცალეობას ითხოვდა”.²⁰⁷

არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის სახელმძღვანელოს შედგენაში ფართოდ გამოუყენებიათ აკაკის „კრებული” და ალ. ხახანაშვილის „Очерки по истории грузинской словесности, выпуск первый”. თუმცა, ამ უკანასკნელის ხმარებისას ავტორები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილან, რადგანაც მასში შეტანილი არ ყოფილა ქართული ორიგინალური ტექსტები, ქართულ სახელმძღვანელოში კი „საჭირო იყო ქართული ტექსტი და არა რუსულად

²⁰⁴ ანტ. ხინთიბიძე, ...გვ., 363.

²⁰⁵ აღნიშნულის გამო სახელმძღვანელო მ. კელენჯერიძის კრიტიკის ობიექტი გახდა. იხ. მისი წინასიტყვაობა „სიტყვიერების თეორიისა”.

²⁰⁶ არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია”, გვ., IV.

²⁰⁷ იქვე, გვ., V.

გადმოცემული შინაარსი ამა თუ იმ ზეპირის ნაწარმოებისა”.²⁰⁸

წიგნის ნაკლოვანი მხარეები თავადაც კარგად გაუცნობიერებიათ ავტორებს: „საქრისტომატიო ნაწილი ჩვენის სახელმძღვანელოსი...ვერც საკმაოდ სრულია და ვერც საკმაოდ შემუშავებული...ზოგიერთის გვარისა და დარგის ნაწარმოებთა მაგალითები საკმაოდ არის შიგ მოთავსებული, ზოგისა – კი – მცირედ. დროს განმავლობაში და მცოდნე კაცთა დახმარებით იმედია ეს ნაკლუვანებაც ქრისტომატიისა შეივსოს”.²⁰⁹

მიუხედავად იმისა, რომ, თვით ავტორთა მტკიცებით, წიგნი გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავს (1. მასში არ არის შეტანილი ზეპირისტიკვიერების ისეთი ცნობილი ნიმუშები, როგორცაა: „არსენა”, „აბესალომ და ეთერი” და სხვ; 2. ნაშრომს არ ერთვის მოსწავლეთათვის განკუთვნილი კითხვები და მთელი რიგი მეთოდური რეკომენდაციები), მიუხედავად ამისა, ეს სახელმძღვანელო იმ დროისათვის გარკვეულად დადებით ნაშრომად ითვლებოდა ქართულ მეთოდურ სინამდვილეში.

არსებულ სახელმძღვანელოებთა ნაკლოვანებაზე მიუთითებდა „ივერიაც” (1900, №271) „რაკი აწინდელი ხელსამძღვანელო წიგნები ქართულის ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისა მოიძველებს და ვერ არის ისე შედგენილი, რომ ერთის მხრით სკოლის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს და მეორის მხრით საზოგადოებისთვისაც უინტერესო არ იქნას, ბ-ნ დ. კარიჭაშვილს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ კონკურსი გამოაცხადოს ზემოაღნიშნულ საგანზე საუკეთესო თხზულების დასაწერად. გამგეობას 12 ამა დეკემბერს მიუხდვია ბ.ბ.დ. კარიჭაშვილის, ე. თაყაიშვილის და გრ. ყიფშიძისათვის შემუშავება და წარმოდგენა პროგრამისა და მისი, თუ როგორი უნდა იქნას დაახლოებით საკონკურსო თხზულებანი”.²¹⁰

1902 წელს გამოიცა ივანე როსტომაშვილის სახელმძღვანელო – „ნერგი”, ანუ ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი. მასში შეტანილია ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ლექსები („ყოჩაღი კაცი”, „მოდო ვნახოთ ვენახი”); „ანდაზები და გამოცანები”; „რწყილი და ჭიანჭველა”, შემდეგ ისევ „ანდაზები და გამოცანები”, „მეთევზის შვილი”; „ანდაზები და გამოცანები”; „ბატები და პატარა და-ძმა”; „ანდაზები და გამოცანები”.

²⁰⁸ იქვე, გვ. VI.

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ზემოხსენებულ კონკურსის შედეგებს.

წიგნს თან ერთვის გამოცანების ახსნა. ნაშრომი სამჯერ გამოიცა. მესამე გამოცემაში (1906) ავტორს ამოუღია მოწაფეთა აღზრდისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, როგორებიცაა: „მოდი ვნახოთ ვენახი“; „ყოჩაღი კაცი“; „რწყილი და ჭიანჭველა“ და „მეთევზის შვილი“. ასევე, ავტორს შეუმცირებია დიდაქტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ფოლკლორული უანრების – ანდაზებისა და გამოცანების რიცხვი. თუმცა, მეორეს მხრივ, სახელმძღვანელოს დამატებული აქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: „ხორობაანთ და თადიაურის ამბავი“; „ამირან დარიჯანიშვილი“; „როსტომ გმირი და მისი შვილი“; „ვახტანგ მეფე გორგასალი“; ლექსი – „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“; „თამარ მეფის ქორწინება“; „მეფე ირაკლის მასპინძელი“; „გიორგი მახათაძე“.

ამკარაა, რომ ამ სახელმძღვანელოში, ავტორს მეტი ყურადღება გამოუჩენია ისტორიული თემატიკის მიმართ, რაც უდავოდ ხელს შეუწყობდა მოსწავლე ახალგაზრდობაში ისტორიული წარსულისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

როგორც პროფ. ანტ. ხინთიბიძე შენიშნავს: „ი. როსტომაშვილი „ნერგის“ შემდგომ გამოცემაში თავისებურად მიუღვა ხალხური შემოქმედების მასალების სახელმძღვანელოში გამოყენების საქმეს. აქ ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით ვრცელ შინაარსიან ეპიკურ ნაწარმოებებს. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ „ნერგის“ მესამე გამოცემა, როგორც წიგნის გარეკანზეა აღნიშნული, იყო „ქართული წერაკითხვის შესასწავლად სრული სახელმძღვანელო სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად“.²¹¹

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. ანტ. ხინთიბიძეს ზემოგამოთქმულ მოხსენებაში. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, სახელმძღვანელოს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს: 1) ანდაზებისა და გამოცანების რიცხვის შემცირება, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას მოზარდის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის; 2) სახელმძღვანელოში შეტანილი ფოლკლორული მასალა უფრო მეტად შეეფერება მაღალი ასაკის (10-13წ) მოზარდებს, ვიდრე 7-9 წლის ასაკისას, ვისთვისაც აღნიშნული სახელმძღვანელოა შექმნილი; 3) წიგნი არ შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს.

ამრიგად, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა შემდეგ, ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა კრებულში შეტანა-მოთავსება მნიშვნელოვნად არ იქნა გაუმჯობესებული.

²¹¹ ანტ. ხინთიბიძე, ხალხური შემოქმედების გამოყენების ისტორიისათვის... გვ., 367.

1907 წელს მ. კელენჯერიძემ გამოსცა „თეორია სიტყვიერებისა საუკეთესო ნიმუშების გარჩევით“ (მეორე შესწორებული და დასრულებული გამოცემა). სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით ავტორი ჯერ კიდევ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „მიზანი ჩვენის შრომისა არის – საზოგადოებას და უმეტეს მოსწავლე ახალ-თაობას გაუადვილოს შესწავლა სიტყვიერების საზოგადო კანონებისა და კერძოდ ქართული ზეპირ და მწერლობით სიტყვიერების თვისებებისა და სხვა და სხვა ნიმუშებისა. ამ თვალსაზრისით აღჭურვილი, ჩვენს ამ შრომაში ნიმუშები ავარჩიეთ და მაგალითები მოვიყვანეთ ისეთი, რომელიც მკითხველს და მოსწავლეს მიაწოდებს საზრდოს პოხიერს”²¹² (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.). როგორც ჩანს, ავტორს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ სახელმძღვანელოს როლი მოზარდთა აღზრდისათვის.

სახელმძღვანელოს გამოცემისას საზოგადოებას გარკვეული ყურადღება მიუქცევია ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ამ პოზიციას მხარს უჭერს მ. კელენჯერიძე: „დღეს, ცოტა არიყოს, ჩვენი ქართული პატივში შევიდა და მისი ჯეროვანი შესწავლის საჭიროებაც შეიგნო საზოგადოებამ. ამ სასიხარულო გარემოებამ გაგვაბედინა...ამ წიგნის მეორედ გამოცემა, რომ მით ცოტათი მაინც დაგხმარებოდით ჩვენს ახალ-თაობას სამშობლო ენის შესწავლის საქმეში”²¹³

ნაშრომში ჭარბობს თეორიული ხასიათის ცნობები ზეპირსიტყვიერების შესახებ. მაგალითად, აქ განხილულია ეპიკური პოეზია, რომელიც იყოფა ორ დიდ ნაწილად: ხალხური ზეპირი ანუ უხელოვნო სიტყვიერებად და ხელოვნურ, ანუ მწერლობით სიტყვიერებად. შემდეგ ავტორი უხელოვნო და ხელოვნურ სიტყვიერების განმასხვავებელ ნიშნებზე მიგვითითებს. ამასთან ერთად, უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინები „ხელოვნური“ და „უხელოვნო“ პოეზია უხერხულ ტერმინად მიგვაჩნია, რადგან ხელოვნურობა ე.ი. მხატვრულობა ზეპირსიტყვიერ ქმნილებებს არანაკლებად ახასიათებს, ვიდრე დამწერლობით ლიტერატურას.

მ. კელენჯერიძემ ხალხურ ეპოსში სამი ხანა გამოყო: მითიკური, გმირული და ისტორიული გამოყო და მოგვცა მათი ანალიზი სათანადო ნიმუშების დართვით. მაგალითად, მითოლოგიური პოეზიის განხილვისას მოყვანილია ლექსი „მზეო, ამოდო, ამოდო“; ისტორიული ხანის ხალხურ ეპოსში ლექსები „ვ. გორგასალი“ და „თამარი“, გმირულ ეპოსში ზოგადაა განხილული თქმულებანი და ლექსები ამირანზე, უსუპზე, ბადრიზე, როსტომზე და სხვ. ავტორმა, ასევე მოგვცა ხალხური

²¹² მ. კელენჯერიძე, „სიტყვიერების თეორია“, 1898.

²¹³ მ. კელენჯერიძე, წინასიტყვაობა მეორე გამოცემისა, 1907.

ლირიკის დახასიათებაც.

იმავე წელს (1907) მ. კელენჯერიძემ დაბეჭდა „ქართული ქრესტომატია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, ტ. I, წიგნი პირველი, სადაც წიგნის შედგენის მიზანი ნათლად ჩამოაყალიბა: „პირველად, მიგვეწოდებინა ქართული ენის მასწავლებლებისათვის და მოზარდი თაობისათვის, რაც შეიძლებოდა, სრული კრებული...ყველა იმ ნიმუშებისა, რამდენიც ქართული მწერლობის და აზროვნების ყვავილებად ითვლებიან ერისას”

ზემოსხენებულ ნაშრომში ზეპირსიტყვიერებიდან შეტანილია მხოლოდ ანდაზები, ისიც ნიმუშების სახით: (ალეგორიის „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“; ჰიპერბოლის: „ერთმა პირქუშმა მოყმემ ცხენ ხეთქით ჩამომიარა, ხელი გამიკრა გუთანსა, ზღვას იქით გამისრიალა“; გაპიროვნების: „ნიავო, წყნარად დაჰქროლე ფოთოლთ ტაში დააკრევინე“).

1915 წ. ს. გორგაძის მიერ დაიბეჭდა „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“. ნაშრომი იწყება ძველი მწერლობის გაცნობით, ხოლო ხალხური პოეზიის განხილვა მეორე ნაწილშია გადატანილი. შესავალში ავტორი საუბრობს ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის საჭიროებაზე.

სახელმძღვანელოში დაცულია ნიმუშთა შერჩევის თემატური პრინციპი. I ნაწილი – ლექსები და შაირები მოიცავს 3 ჯგუფს: 1) უძველესი ლოცვა-საგალობლები და საოჯახო ლექსები (რომელშიც შედის შემდეგი ნიმუშები: „მზის საგალობელი“; „ბატონების საგალობელი“; „დედა ობლების დამყრელი“; „ქალის სიზმარი და დედის მოთქმა“ და „ცოლის სიზმარი“), 2) სატრფიალო ლექსები („ქალის სიტურფე“, „ძალა სიყვარულისა“, ქალ-ვაჟის ნატვრა და „თავფარავნელი ჭაბუკი“); 3) სავაჟაკო და საისტორიო ლექსები („სავაჟაკო ლექსები“, „თამარ-მეფე“; „ერეკლე-მეფე და ლევანბატონიშვილი“; გლოვა ერეკლე მეფისა მთიულთაგან). II ნაწილში შეტანილია ანდაზები და გამოცანები, ხოლო III ნაწილი ეთმობა ზღაპრებსა და არაკებს („წიქარა“, „მარგალიტის ცრემლი“, „მზის ქალი“, „ნაცარქექია“, „გველვაჟი“, „ამირანი“, „ხათაგანი და შვათაგანი“, „ჩვენ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ“, „კატა და ლომი“ „ძეძვის ბუჩქი ორ სამარეს შუა“). შესწავლილი მასალების ამგვარი დაყოფა სახელმძღვანელოში მართებულად მიგვაჩნია.

სახელმძღვანელო ქრესტომატიას წარმოადგენს. მასში არ გვხვდება მოწაფეთათვის განკუთვნილი კითხვები და დავალებები, ასევე, მეთოდური რეკომენდაციები, კითხვები განმარტებულია და ახსნილი. ამას თვით ავტორიც

მიუთითებს, თუმცა ზოგიერთი დიალექტური ფორმა მას თავად გაუსწორებია, რაც ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია.

აქ ავტორი, აშკარაა, არ იცნობს, ან უარყოფს ზეპირსიტყვიერების ნიმუშების უცვლელად წარმოდგენის პრინციპს, რაც ითვალისწინებდა ფოლკლორული მასალების გაუსწორებლად გაცნობა-ათვისებას.

ჩვენის აზრით, ზემოხსენებული სახელმძღვანელო (მიუხედავად იმისა, რომ ზეპირსიტყვიერი ნიმუშებით ბავშვის გათვითცნობიერებას ისახავდა მიზნად) არაერთ ნაკლს შეიცავს (მაგ. ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა შეცვლილი სახით მიწოდება). ავტორს ეს მდგომარეობა შედარებით გამოუსწორებია მეორე კრებულში „ჩვენი ხალხური პოეზია პარალელურად ახალი ქართული მწერლობიდან“ (1920), რომლის წინასიტყვაობაშიც ავტორი საუბრობს ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით ქართული ლიტერატურის სწავლების გაფართოების შესახებ. „ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების აღორძინება, - ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, - არც ერთს სასკოლო საგანს არ დასტყობია ისე მძლავრად და ისე საკეთილოდ, როგორც ეროვნულ საგნებს და კერძოდ მშობლიური სიტყვიერების შესწავლას. ახალი სამინისტრო პროგრამით ქართული სიტყვიერება ისწავლება საშუალო სკოლის ოთხსავე კლასში, ე. ი. უწინდელი გიმნაზიის მე-V-ე-მე-VIII-ე კლასებში. კერძოდ, ხალხურ სიტყვიერებას ანუ ზეპირსიტყვაობას დათმობილი აქვს მთელი პირველი წელიწადი (კვირაში 3 გაკვეთილი) და თან მოითხოვება ხალხური სიტყვიერების დარგებთან ერთად წაკითხულ და გარჩეულ იქნას პარალელური ახალი ქართული მწერლობიდან. პროგრამის ამ მოთხოვნებამ გამოიწვია ჩვენი ქრისტომატიიდან („ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“) ცალკე წიგნად გამოყოფა ხალხური სიტყვიერებისა და მისი შევსება ახალი ზეპირსიტყვიერებითი მასალით და პარალელურად ჩვენი ახალი მწერლობიდან“.²¹⁴

ს. გორგაძის ზემოხსენებული წიგნი შეიცავს 6 ნაწილს: I ნაწილში შესულია მითოლოგიური ხასიათის ლექსები და ზღაპართქმულებანი („მზე, მთვარე და ვარსკვლავები“, „მზე და მთვარე“, „მზე და სიკვდილ-სიცოცხლე“, „მზის საგალობელი“, „ნაცარქექია“, „გველ-ვაჟი“ და სხვ), მეორე ნაწილს წარმოადგენს სავაჟაკო ლექსები და საგმირო ეპოსი („ამირანი“, „ხალხური როსტომიანი“, „ტარიელი ანუ ხალხური ვეფხისტყაოსანი“, „ეთერი“, „არსენას

²¹⁴ ს. გორგაძე, „ჩვენი ხალხური პოეზია პარალელურად ახალი ქართული მწერლობიდან, ქუთ., 1920, გვ. III.

ლექსი”(მესტირული) და სხვ), მესამე ნაწილში წარმოდგენილია საისტორიო ლექსები და ზეპირთქმულებანი („ვახტანგ I გორგასალი”, „ლეგენდა დავით აღმაშენებელი”, „დარუბანდის კარების ჩამოხსნა”, „დ. აღმაშენებლის ეპიტაფია”, „თამარ-მეფე და ხონთქარი”, „შუქურ-ვარსკვლავები და თამარ მეფე”, „თამარ-მეფის ეპიტაფია”, „ერეკლე” და სხვ). IV ნაწილში ავტორს მოუთავსებია საოჯახო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლექსები (სალხინო: „სუფრული”, „საქორწინო”, „მაყრული”; სამგლოვიარო: ა) მიცვალებულის გლოვა თუშებში; ბ) „ქალის სიზმარი და დედის მოთქმა”; სატრფიალო ლექსები: „ქალის სიტურფე”, „ძალა სიყვარულისა”). მეხუთე ნაწილი დათმობილი აქვს ანდაზებს, გამოცანებს, აფორიზმებსა და სიტყვის მასალას. დაბოლოს, მე-6 ნაწილში შეტანილია პირუტყვთა ეპოსი და საყოფაცხოვრებო არაკები („საბრალო დედაბერი”, „მგლის ბერად შედგომა”, „წიქარა”, „მარგალიტის ცრემლი”, „მზის ქალი”, „კატა და ლომი” და სხვ). როგორც ვხედავთ, წინა გამოცემასთან შედარებით, ამ სახელმძღვანელოში მეტი ნიმუშია წარმოდგენილი, რაც უდავოდ მისასალმებელია. სახელმძღვანელოს მთავარ ღირსებად კი ჩვენ მიგვაჩნია კრებულის მეორე განყოფილების ის მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა წყაროდაც ხალხის უკვდავი შემოქმედება, ზეპირსიტყვიერება გვევლინება. ამ პრინციპით მანამდე განხილული არცერთი სახელმძღვანელო არაა შედგენილი. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში ყურადღება ექცევა ლიტერატურული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების თემატიკურ პარალელებს. ეს საყურადღებოა, რადგან ამგვარი მუშაობით მოსწავლეები კიდევ უფრო მეტად იღრმავებდნენ ცოდნას ზეპირსიტყვიერების შესახებ. მაგალითად, ავტორი ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულისა” და „კაკო ყაჩაღის” შესახებ შენიშნავს: „პირველი ამათგანი ნამდვილი მესტირული კილოთია დაწერილი და ნამდვილი ხალხოსნური შემოქმედების ბეჭედს ატარებს, ხოლო მეორე საგნით და შინაარსით ეპიკურ ნაწარმოებთა იმავე ციკლს ეკუთვნის, რომელსაც მესტირული „არსენას ლექსი”, თუმცა ფორმით, სტილით, მათ შორის დიდი განსხვავებაა”²¹⁵. ო დასძენს იგი და მოჰყავს „დიმიტრი თავდადებულისა” და „კაკო ყაჩაღის” ნიმუში. ს. გორგაძე ასევე ხაზგასმით აღნიშნავს ზეპირსიტყვიერების გადამუშავებაში აკ. წერეთლის ღვაწლს. „მან (აკაკიმ – ქ.ბ.) პირველმა იწყო თვით ხალხურ თქმულებათა სიუჟეტებად აღება და პოეტური დამუშავება (იხ. მაგალითად მისი ხალხური აპოკრი თული არაკი „წმ. გიორგი და წმ. ილია”) და დასასრულ მოგვცა რამოდენიმე საუცხოვო ნიმუში

²¹⁵ ს. გორგაძე, დასახ. ნაშრ., 1920, გვ., 192.

ეგრეთ წოდებულის პოლიტიკური ზღაპრებისა, რომელთაც სარჩულათ უძევს ჩვენთვის პოლიტიკური მდგომარეობის გამოსატყობა მე-19-ე საუკუნეში”.²¹⁶

ს. გორგაძე მოსწავლეებს აცნობს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით დამოკიდებულებას ზეპირსიტყვიერებასთან „აკაკი წერეთლის მიერ ნაჩვენები გზა, – ნათქვამია წიგნში, – ხალხური სიუჟეტების ხელოვნურ პოეზიაში შემოტანისა და ლიტერატურულად დამუშავებისა არც ერთს ქართველ მგოსანს არ გამოუყენებია ისე ფართოდ და ისეთის წარმატებით, როგორც ჩვენი მთების „არწივმა“ ვაჟა-ფშაველამ გამოიყენა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ამ ნიჭიერი მგოსნის შემდეგი უკვდავი პოემები: „გოგოთურ და აფშინა“, „აღუდა ქეთელაური“, „კობალა“, „ეთერი“, „ნახევარ-წიწილა“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“ და სხვანი”.²¹⁷ აქვე, ნათქვამის საილუსტრაციოდ მოსწავლეებს ურჩევს ერთმანეთს შეადარონ ლიტერატურული ნაწარმოები „ეთერი“ და ხალხური „ეთერიანი“. ეს რეკომენდაცია მეთოდური თვალსაზრისით საყურადღებოა, რადგან ამ მეთოდით მოწაფეთა საკითხავ ტექსტებზე მუშაობა მათ უვითარებს დამოუკიდებელი მეცადინეობის უნარ-ჩვევებს, ლოგიკურ აზროვნებასა და შესასწავლი საგნისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას.

ს. გორგაძის ამ სახელმძღვანელოს წინა ნაშრომთან შედარებით პედაგოგიკურ-მეთოდური ხედვითა და რეკომენდაციებით შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუში „ეთერი“ ნაცვლად „სავაჟაკო ლექსები და საგმირო ეპოსი“, თემატიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნებოდა მოსწავლეებისათვის გაეცნო „მითოლოგიური ხასიათის ლექსებისა და ზღაპარ-თქმულებების“ განყოფილებაში.

ზოგჯერ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ქრესტომატიაში შეჰქონდათ დამატების სახით. ამის ნათელი მაგალითია 1918წ. გამოცემული ქართული ქრესტომატია საშუალო სასწავლებლის II კლასის კურსი შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ.

„დრო გამოშვებით, - შენიშნავენ წიგნის ავტორები წინასიტყვაობაში, - მასწავლებელი შეასწავლის მოწაფეებს იგავ-არაკებს და წაუკითხავს ზღაპრებს”.²¹⁸

ზემოსხენებულ წიგნში შეტანილია შემდეგი ზღაპრები: „მსგავსია“, „ისრის-მასრის სანდლის ქალი“, „ფასკუნჯი“ და „ზარმაცი“.

²¹⁶ ს. გორგაძე, პარაღლელები...გვ., 217.

²¹⁷ ს. გორგაძე, პარაღლელები, გვ., 280.

²¹⁸ ქართული ქრესტომატია საშ. სასწავლებლის II კლასის კურსი შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ, ტფ. 1918, წინასიტყვაობა.

1919 წელს ვასილ ბარნოვიმ გამოსცა „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“. მისი ზოგადპედაგოგიკური შეხედულებების გაცნობით (მხედველობაში გვაქვს ნაშრომის წინა თავი) აშკარა ხდება, თუ როგორ დაინტერესებას იჩენდა იგი ზეპირსიტყვიერების სწავლების მეთოდური დონის ასამაღლებლად. მისი პედაგოგიური პოზიცია, ჩვენის აზრით, გამჭვირვალედ აღსახული ზეპირსიტყვიერების სწავლებისადმი მიძღვნილი გაკვეთილების კერძო-მეთოდური რეკომენდაციებში. ამიტომ ეს ნაშრომი ზეპირსიტყვიერების სწავლების პირველ მეთოდურ სახელმძღვანელოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

ზეპირსიტყვიერების სწავლების მეთოდური რეკომენდაციებიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს საგაკვეთილო კონსპექტების სტრუქტურის საკითხები. მაგალითად, ბარნოვის მიერ შედგენილი თითქმის ყველა გაკვეთილის კონსპექტი მოიცავს შესავალ სიტყვას, ძირითად ასახსნელ მასალას, დასკვნასა და რიგ მეთოდურ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო მეთოდების თვალსაზრისით ვ. ბარნოვს გამოუყენებია: საუბრის ანუ დიალოგის მეთოდი, ლექციური მეთოდი, კლასში კითხვა, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, შედარებითი დახასიათება, შემაჯამებელი მუშაობა და სხვ.

ამჯერად, შევჩერდებით ბარნოვისეულ გაკვეთილებში შესავალი მეცადინეობის სასწავლო-აღმზრდელობით ზოგიერთ საკითხზე. ჩანს, შესავალ მეცადინეობისას გამოცდილი პედაგოგი, დიდ ყურადღებას აქცევდა მოწაფეთა დაინტერესებას ზეპირსიტყვიერი სახეების ზოგადი ინფორმაციული ცნობების გადაცემით. კერძოდ, ამ ხერხით, მისი აზრით მოსამზადებელი საუბრით, რომლის მიხედვით ერთგვარი წინასწარი ე.წ. „მოთელვით“ მასწავლებელი მოსწავლეთათვის ახალი მასალის ახსნისათვის შესაფერ აქტიურ, სამეცადინო-სასწავლო განწყობილებას ქმნიდა და ამგვარი ხერხით აღძრავდა მათ შორის სასწავლო ინტერესს. მაგალითად, თემაზე „პერიოდები ხალხური სიტყვიერების განვითარებაში“ ვ. ბარნოვი მოსწავლეებს შემდეგ ინფორმაციას გადასცემს: „ხალხის მეხსიერებაში აღნიშნული არის უმთავრესი ამბები მისი ცხოვრების მსვლელობისა. ერი ყოველთვის მოაზრება და დამკვირვებელი. მის სულზე სულზე ძლიერად მოქმედებენ როგორც ბუნება და მისი ძალები, ისე ცხოვრება პიროვნული თუ საზოგადო. ის ამჩნევს და გრძნობს ურთიერთობას თვისა და თავის გარემო არსებული ქვეყნიერების შორის, იკვლევს მოვლენათა თუ მოქმედებათა მიზეზს და მიზანს; აღბეჭდავს თვის გონებაში ღირსშესამჩნევ ცვლილებებს, რომლებიც კი ხდებიან მის გარშემო და გავლენა აქვთ მის ყოფაზე. თვის ნაფიქრს, ნაგრძობს და ნასურვებს ერი ხატავს სიტყვათა

საშუალებით, თვისი ენის შემწეობით. ამგვარად, ხალხური სიტყვიერება ჩნდება ხალხის ცხოვრებასთან ერთად, ვითარდება მის ისტორიულ განვითარებასთან და შესწედება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისპობა თვით ერის არსებობა. ხალხური სიტყვიერება ასდევს ერის ცხოვრებას და გასწივდის იმავე ცვლილებებს, რა ცვლილებებსაც განიცდის თვით ერის ცხოვრება”.²¹⁹

ასევე, სანიმუშო შესავალი სიტყვა აქვს წამდვარებული გაკვეთილს ქართველთა საყვარელ გმირის არსენას სწავლებასთან დაკავშირებით: „ხალხისაგან გმირებად აღსარებული არსებები, მისგან ზეკაცებად დასახული პიროვნებები, მისი საარაკო ბუმბერაზები ხალხისვე შვილნი არიან-მეთქი, რომლებსაც ოდესმე უცხოვრიათ კაცთა შორის და უშრომნიათ ერის საკეთილდღეოდ. ხალხის მადლიერ ხსოვნას არ დაუვიწყნია მათი დეაწლი, კიდევ გაუზვიადებია მათი პიროვნება და ნამოქმედარი; ჩამოუცლია მათთვის ყოველივე ნაკლი და სათაყვანებელ კაცდმერთებად დაუსახავს ისინი. რომ ეს ასე ყოფილა, ამას გვიჩვენებს ერის წიადიდან წარმოშობა ხალხური გმირის არსენასი, რომლის სახელი მოჰფენია მთელ საქართველოს, რომლის საგმირო საქმეებს გვიმღერს და მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე.

არსენა თითქმის ჩვენ ხსოვნაში შეიქმნა უკვდავ პიროვნებად. მისი სახსენებელი საუკუნოდ დარჩება ხალხში, მისი პიროვნება თანდათან გაბრწყინდება, შარავანდედმოსილი შეიქმნება და შორს მომავალში გვერდს დაუმშვენებს ამირანს თუ როსტომს, ბეჟანს თუ ტარიელს.

მარაბდის მცხოვრები გლეხი ოძელაშვილი, ბარათაშვილების ყმა, როგორც მთელი მარაბდაც, ძველისძველი სოფელი ალგეთის პირას, აბრამ ბარნაველის ხელით მონათლული, მცხეთასთან ტყვიით განგმირული არსენა, რომლის საფლავს დაუცხრომელ ნანას ეტყვის მტკვარი, დღეს საზღაპრო არსებად არის გარდაქმნილი, ხალხის სათაყვანებელ ბუმბერაზად. ეს იმისთვის, რომ არსენაში განხორციელდა ქართველი გლეხკაცობის ნატვრა თუ ოცნება, არსენამ მარტოდმადტომ შესძლო შესდგომოდა იმ საბედისწერო ბილიკს, რომელზედაც ის უსათუოდ უნდა შესწიროდა თავის მისწრაფებას, მაგრამ რომელიც ერთადერთი გზა იყო ხალხის ხსნისა”.²²⁰

მსგავსი მიზანდასახულობითაა შემუშავებული შესავალი სასწავლო მეცადინეობისათვის სათანადო ინფორმაცია სხვა სასწავლო თემისათვისც.

²¹⁹ ვ. ბარნოვი, „ქართ. სიტყვიერების ისტ. გაკვეთილები”, თბ., 1919, გვ., 9-10

²²⁰ ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, 1919, ტფ., გვ., 46-47.

ვ. ბარნოვის ზემოხსენებულ ნაშრომში გვხვდება ისეთი გაკვეთილებიც, რომელთა შინაარსი პირდაპირ, ყოველგვარი წინასწარი შესავალი საინფორმაციო ცნობების გარეშე ისწავლება. ასეთი სასწავლო მასალებია: სიტყვიერება, ნაწარმოებთა შეფასება და მათი განყოფა; ქართული მითოლოგიის საფუძვლები; ბუმბერაზთა პირველ დასს ეკუთვნიან; ბუმბერაზთა მეორე დასს ეკუთვნიან; დახასიათება ამირანისა; დახასიათება როსტომისა; საისტორიო თქმულებანი საერონი; ზღაპარი ანუ არაკი; ანდაზები; გამოცანები; აბესალომ და ეთერი და დედააზრი ეთერიანისა და მისი შეფასება. დასახელებულ მასალებს, მეთოდოლოგიური შესავალი საინფორმაციო ცნობები არ ერთვის, ვფიქრობთ, ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ უპირველესად იმის გამო, რომ ეს საკითხები წმინდა მეცნიერულ-ფილოლოგიური, თეორიული ხასიათისაა და ამ შემთხვევაში პედაგოგი უპირატესობას ანიჭებს იმ დროისათვის არსებულ მეცნიერულ შეხედულებებს. მეორეს მხრივ, ისიც სავარაუდოებელია, რომ მოწაფეები უკვე იცნობენ, ვთქვათ, დასახასიათებელი გმირების ცხოვრებას ანდა, ანდაზის, გამოცანის შინაარსს და ალბათ, ამ ცოდნის საფუძველზე ფიქრობდა ვ. ბარნოვი შესასწავლი ზეპირსიტყვიერი მასალების ჟანრობრივი თავისებურებების თეორიულ განხილვას თუ ცნობილი გმირების ამადლებული სულიერების გაცნობას.

იდეური შინაარსის გადასაცემად, ცნობილ პედაგოგს ფართოდ გამოუყენებია საუბრის ანუ დიალოგის მეთოდი. ეს მეთოდი იმ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. მის „უდიდეს სარგებლობაზე“ ცნობილი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი მიუთითებდა. „თუ დამრიგებელს სურს, რომ ბავშვმა ნათლად და ნამდვილად შეითვისოს რომელიმე ახალი აზრი, ყველაზე უკეთესად იგი ამას შესძლებს სოკრატეს ხერხით“.²²¹

როგორც ცნობილია, ამ მეთოდის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ჩამოაყალიბებს პედაგოგი კითხვებს, რა თანმიმდევრობით დაუსვამს მათ მოსწავლეებს და როგორ ჩართავს მთელ კლასს აქტიურ კითხვა-პასუხში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვ. ბარნოვის თითოეული კითხვა. მაგალითად, „გაკვეთილების“ შესავალ ნაწილს, სადაც განმარტებულია სიტყვიერების რაობა, დართული აქვს კონსპექტი კითხვებით: „1) რა არის სიტყვიერება? 2) რას იპყრობს თავისი შინაარსით სიტყვიერება? 3) სიტყვიერება ზეპირი და წერითი ანუ ხალხური და ავტორისაგან თხზული. 4) როგორა ჩნდება ხალხური ნაწარმოები? 5) გარჩევა ხალხური ანუ უპირი ნაწარმოებისა და

²²¹ დ. ლორთქიფანიძე, კ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, თბ., 1955, გვ. 310.

ხელოვნური ნაწარმოების შორის? 6) რა აქვთ საერთო უბირს და ხელოვნურ ნაწარმოებთ?“.222

სავარაუდებელია, ამგვარ კითხვებს ვ. ბარნოვი მიმართავდა ერთის მხრივ, შესწავლილი მასალის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად და, მეორეს მხრივ, მოწაფეთა გონებრივი აზროვნებისა და ზეპირი მეტყველების კულტურის გასავითარებლად.

ვ. ბარნოვის ნაშრომში ზოგიერთ გაკვეთილს არ ერთვის არც კონსპექტი და არც თემა. ასეთია, მაგალითად, „ანდაზები და გამოცანები“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში იგი ითვალისწინებდა შესასწავლი მასალის შინაარსის გამჭვირვალობას, ადვილად გააზრებასა და დამოუკიდებელი მეცადინეობის გზით სათანადო შეფასებასაც. ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს გაკვეთილის ბოლოს დართული შენიშვნაც: „ყოველი ანდაზა ივარგებს თემად: მასწავლებელი დაუსახავს მოწაფეებს იმ უმთავრეს დებულებებს, რომლებზედაც აგებულია ანდაზა, ხოლო ანდაზის ფართოდ გაშლას და მის შინაარსის დაწვრილებით დამუშავებას მიანდობს მოსწავლეს“.223

ნაწარმოების იდეური შინაარსის უკეთ გასაგებად ვ. ბარნოვი მიმართავს მოქმედ გამართა დახასიათებას. გამირის პორტრეტის დახასიათებისათვის, ავტორი იყენებს პორტრეტულ მონაცემებს, ილუსტრაციას, გამართა შინაგან სულიერებას. ამირანის დახასიათებისას ავტორი მოწაფეთა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მნიშვნელოვან მონაცემებზე: „ბაღლობიდანვე ძლიერი იყო ამირანი: მერწყულთ დასცინეს აკვანში მწოლს ამირანს. ის წამოდგა და თავი თავს უხალა მათ, ჭურჭელი დაუმტვრია“.224

ზოგჯერ გამირის დახასიათებას, ვ. ბარნოვი მათი ყრმობიდან იწყებს, შემდეგ ჭაბუკობის პერიოდს განიხილავს. „დავაუკაცდა ამირანი და შესაზარი ჭაბუკი დადგა: შავს ღრუბელსა ჰგავდა საავდროდ განმზადებულს, საცერივით თვალნი ესხდა, ერთი კბილი ოქროსი ჰქონდა ოქროს დაღალებიანი დედისაგან დაყოლილი; ეს კბილი იყო მისი ნიშანი, ამითი სცნობდნენ მას. არ მოკვდებოდა ამირანი სხვანაირად, თუ ნეკს არ მოსჭრიდნენ. უშველებელი რამ იყო აგებულობით და ამიტომ საჭმელიც ბევრი უნდოდა: სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ჰყოფნიდა. მის ხმაღს ვაჟკაცი ვერ დასძრავდა. ცხრა ლიტრა რკინისაგან

²²² ვ. ბარნოვი, გაკვეთილები, გვ. 7.

²²³ იქვე, გვ. 79.

²²⁴ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“ გვ. 79.

გამოკვერილი შვილდი ეჭირა”.²²⁵

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამირანის დახასიათებისას ავტორი მიმართავს როგორც პირდაპირ, ასევე შედარებითი დახასიათების ხერხსაც. „არც წინდახედულება და შორს განმჭვრეტელობა აქვს ამირანს, როგორც სტიქიურ რამ ძალას, შეუგნებლად მოქმედებს: „აფროთხილებენ, ბაყბაყის თავებიდან გამოსული ჭიები დახოცე, თორემ ინანებო, ის კი ყურადღებას არ აქცევს ამას და შემდეგში წინ დაუხვდებიან მას იგინი, უკვე გველემშაპებად ქცეულნი.

ეს თვისებები აახლოვებენ მას დევებთან, რომლებიც არიან სტიქიურთავე ძალთა განხორციელებანი, ბოროტმოქმედ ძალთა: დევებიც მოუხეშავნი არიან, მოუფიქრებელნი, მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამყარებულნი და წინდაუხვდავნი. რომელიმე ქოსა თუ ნაცარქექია ისე ატყუებს მათ, როგორც ბავშვებს”.²²⁶

ამირანის დახასიათებისას ვ. ბარნოვი მის მიზნებსაც გამოყოფს: „ იგი (ამირანი-ქ.ბ.) ისწრაფის მოსპოს ბნელი თუ ბოროტი, რომელიც განხორციელებულია ჩვენს ქვეყანაზე სახედ ვეშაპთა, დევთა, ქაჯთა და მავნე მხეცთა. საბოლოო მოზანი ამირანის მოღვაწეობისა არის ის, რომ დაეხმაროს კეთილ ანუ ნათელ ძალებს ბნელი ანუ ბოროტი ძალების ძლევაში და განქარებაში”.²²⁷

აღსანიშნავია, რომ ვ. ბარნოვი დახასიათების ხერხს მიმართავს მოსწავლეთა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ეს კარგად ჩანს ამირანის სახეში ქართული ხასიათის ბარნოვისეულ ძიებაში: „აქ ამირანი სანიმუშო გამომხატველია ქართველთა ხასიათისა: ქართველი ხალხიც ბუნებით რაინდია, იმისი უმთავრესი მისწრაფებაც ის არის რომ სინათლე და სიყვარული განამრავლოს ცხოვრებაში”²²⁸ (ხაზი ჩვენია - ქ. ბ.)

ანალოგიური ხერხები აქვს გამოყენებული ვ. ბარნოვს არსენას დახასიათებისას: „ გაძნელდა არსენასთან ბრძოლა, შეუძლებელი შეიქმნა მისი მოკვლა, მისი შეპყრობა. წერწეტი, მხარბეჭიანი, შოლტივით მოქნილი ვაჟკაცი. ბღღვრიალა დიდრონი თვალები გადმოკარკლული. ჩოხა თეთრი. იარაღასხმული. ქარივით სწრაფი ლურჯაზე თითქო დაკრული. არწივისებური გადახედვა, ელვასავით სწრაფი მოაზრება”.²²⁹ როგორც ვხედავთ, არსენას ამ დახასიათებაში

²²⁵ იქვე, გვ., 24.

²²⁶ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები” გვ., 56.

²²⁷ იქვე, გვ., 54.

²²⁸ იქვე, გვ., 55.

²²⁹ იქვე, გვ., 49.

ჭარბობს მისი ფიზიკური სიძლიერე.

ამგვარი მუშაობით ხალხური ნაწარმოების პერსონაჟები მოსწავლეებს წარმოუდგებოდა ცოცხალ, რეალურ პირებად, რომლებიც თავიანთი ქცევით წარუშლელ კვალს ტოვებენ მათ სულიერებაზე. აქვე ბარნოვი განმარტავს, დახასიათებისას რას უნდა მიექცეს ყურადღება. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, დიდად საყურადღებოა მეთოდოლოგიური და ფილოლოგიური თვალსაზრისითაც. ვ. ბარნოვის გაკვეთილებში ამ შემთხვევაში სასურველი გმირული სულისკვეთების პერსონაჟთა დახასიათებლად გამოყენებულია არა ოდენ ამ პერსონაჟთა ფიზიკური და შინაგანი სულიერების თავჩენა, არამედ მთლიანი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მრწამსი, რის გათვალისწინებითაც ზეპირსიტყვიერების სწავლების პროცესში მოსწავლეთა ყურადღება ექცევა შესასწავლი ქმნილების ამ მონაცემებს და თითოეული მოსწავლის მიერ საინტერესო გმირების, პერსონაჟის ქმედება ფასდება ნაწარმოების საერთო იდეურ-მხატვრული სულისკვეთების მიხედვით. „ავტორისა თუ ხალხის ნაწარმოებში ჩახატულ ანუ ტიპიურ პირთა შესაგნებლად და მათი ღირებულების დასაფასებლად, აუცილებლად საჭიროა გამორკვევა იმ უმთავრეს სამოწმედო იდეისა, რომელიც ცხადქმნილა შესაფასებლად აღებულ პიროვნებაში და რომლის დახასიათებლად შექმნილა ესა თუ ის ნაწარმოები; თანაც, აღნიშნული და დახასიათებული უნდა იყოს იმ სამოწმედო იდეის დამოკიდებულება სანიმუშო პიროვნების მთელ მსოფლმხედველობასთან. ნაწარმოებში რომ არის რაღაცა საუკუნო და გარდაუვალი, რომელიც ჟამთა მსვლელობაში არა ჰკარგავს თავის ფასსა და მიმზიდველობას, არის უპირველესად იგი უებრო იდეა საუკუნო, რომელსაც განსჭვრეტს ავტორი და განიცდის, როგორც უკვე ხორცსხმულ სინამდვილეს”.²³⁰ ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებთ მკვლევარ თ. ჯაგოდნიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „იდეა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის ამოსავალია. მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმი პერსონაჟის იდეის შინაარსია. ამიტომ, ვ. ბარნოვისათვის პერსონაჟები გარკვეული იდეების მატარებელი არიან. ამ პოზიციიდან აფასებს იგი ხალხური სიტყვიერების ცალკეული ნაწარმოებების მხატვრულ აზრს”.²³¹

ყურადღებას იქცევს ბარნოვისეული გაკვეთილების დასკვნითი მომენტების შინაარსობრივ-მეთოდოლოგიური მხარე. ჩანს, პედაგოგს კარგად ჰქონია გათვალისწინებული ის სიძნელებები, რაც ხელს უშლიდა ზეპირსიტყვიერების

²³⁰ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები”, გვ., 54.

²³¹ თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, თბ., 2004, გვ., 796.

შეგნებულად სწავლება, მაგალითად, არ ყოფილა სათანადოდ შეკრებილი და ბეჭდურად გამომხეურებული ზეპირსიტყვიერი მასალები, მეტიც, უნდა ვიფიქროთ, რომ მწერლისა და პედაგოგისათვის არაა სასურველი ის ფაქტი, რომ ხალხის მესხიერებაში აღბეჭდილია ზეპირი გადაცემის გზით ძველისა თუ ახლის აღთქმის ისტორიის და, რაც მთავარია, სწავლებას ქონებია დოგმატური მხარე. ამიტომაც, მას შეუმუშავებია სპეციალური რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც უნდა შეკრებილიყო მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს პირველ რიგში ზეპირსიტყვიერი მასალების მეცნიერულ დონეზე სწავლებას და, აგრეთვე, გათვალისწინებულიყო გარკვეული პროგრესული მეთოდოლოგიური დონე. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ბარნოვი წერს: „ბევრი თქმულება დადის ხალხში არსენას შესახებ, თანდათან მრავლდებიან მისი საგმირო საქმეების ჯგუფი. უნდა შეიკრიბოს ეს თქმულებები, რომ არ შეფერხდეს არსენას ლეგენდის ბუნებრივი ზრდა, რომ მელექსეებს და მთქმელებს მეტი მასალა მიეცეთ სასიძღვრო”.²³² „მრავლად არიან ჩვენს ხალხში გაფანტული თქმულებები ღვთისმშობელზე, მთავარ ანგელოზზე, წმიდანებზე, სამოთხეზე, შავეთზე ანუ ჯოჯოხეთზე, სულთა ცხოვრებაზე იმქვეყნად. ამგვარი ლექსი თუ ამბავი უხვად ეხვევა გარს ურიცხვ ეკლესიის ნანგრევს, ნიშს და წმიდა ადგილს, რომელნიც გაფანტულ არიან მთელ საქართველოში. ხალხის მესხიერებაში აღბეჭდილია მთელი სამღვთო ისტორია ძველისა თუ ახალის აღთქმისა და სწავლა დოგმატიური თუ ზნეობრივი. ერს მთელი ეს მასალა საკუთარი ძალით აქვს დამუშავებული და გარდაქმნილი. შეგროვება ეჭირება ამ სიმდიდრეს და რიგზე დალაგება. ჩვენ კი ჯერ ხელიც არ გვიხლია ხალხის გონების ამ ნაწარმოებისათვის. შეგროვილი თქმულებები მხოლოდ შემთხვევით გადმოცვივნილი ნამცეცებია იმ უხვი სუფრიდან, რომელიც შეუმზადებია ჩვენ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში. მოვა დრო, შეიგნებენ მნიშვნელობას ამისთანა სამღვთო თხრობებისა, შეჰკრებენ მათ საქართველოს ყველა კუთხეში და გამოსცემენ დასურათხატებულ წიგნს: „ისტორია ძველისა და ახალის აღთქმისა ქართველი ხალხის გადმოცემით”²³³ (ხაზი ჩენია - ქ.ბ.)

ამ შორს გამიზნულ ოცნებაში, ბუნებრივია, უნდა ვიგულისხმეთ ვ. ბარნოვის სურვილი მომავალში ზეპირსიტყვიერების მაღალ მეცნიერულ დონეზე სწავლებისათვისაც. ასეთ ვარაუდს ადასტურებს მწერლისა და ნოვატორი

²³² ვ. ბარნოვი, გაკვეთილები, გვ., 50.

²³³ იქვე, გვ., 74.

პედაგოგის ის სურვილი, რომ ზეპირსიტყვიერი შეგროვილი მასალა დახასიათებლიყო ამგვარად: „საქართველოს ისტორია ქართველი ხალხის გადმოცემით“. მაშინ უფრო ბედნიერი იქნება ამ საკითხის მკვლევარ-შემმუშავებელიც და ქართული სიტყვიერების მასწავლებელიც”.²³⁴ (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.)

ახსნილი მასალის ცოდნის გასამტკიცებლად და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად ბარნოვი მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით სათანადო მიზნობრივ დავალებას აძლევდა. მაგალითად, შესავალი ნაწილისათვის პედაგოგი მოწაფეებს ავალებდა დამოუკიდებლად ემსჯელათ ხალხური ნაწარმოების ჩასახვა და განვითარების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო პროცესში მოწაფეთა დამოუკიდებელი და გაცნობიერებული მუშაობის გააქტიურებისათვის ბარნოვი ზოგჯერ ავალებდა მათ მოეძებნათ პარალელები ცხოვრებისეულ პერსონაჟებს შორის. ბარნოვისეული გაკვეთილების სასწავლო პროცესის ეს მოთხოვნა კარგად ჩანს შემდეგ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებში: „1. ჩასახვა და განვითარება ხალხური ნაწარმოებისა (მსჯელობა და მაგალითებით დასაბუთება მსჯელობისა). 2. კავშირი ხელოვნური ნაწარმოებისა ხალხის ცხოვრებასთან”.²³⁵ და სხვ.

გაკვეთილებში არის ცდა, მოსწავლეთა მიერ მზეთუნახავი ქალის თვისებების შესწავლისა ქართულ ზღაპრებში. ეს მეთოდოლოგიური რეკომენდაცია შინაარსობრივად კიდევ უფრო ღრმავდება ხალხური ტარიელისა და ლელწამ-დარეჯანის დახასიათებისას. ასე მაგალითად, ტარიელისა და ლელწამ-დარეჯანის დახასიათებისას ვ. ბარნოვი შემდეგ დავალებას აძლევს მოსწავლეებს: „მზეთუნახავი ქალი ქართველთა ზღაპრებში და მისი უმთავრესი თვისებები”.²³⁶

აქ ვ. ბარნოვი შეიძლება ითვალისწინებდეს აკაკი წერეთლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „საზოგადოდ, ჩვენს ზღაპრებში მზეთუნახავები ისე არ გამოდიან თავის ცხრა კლიტურიდან და არ ნებდებიან საქმროებს, თუ არა ჭიდაობითა და გამოცანებით... ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ დროში ხელძალუმობასა ჰქონდა ფასი, და კაცი ისე ვერ აისრულებდა თავის სურვილს თუ არ ბრძოლითა და შეჭიდებით: ან უნდა მომკვდარიყო, ან უნდა ჩაეგდო ხელში მისი საძებარი საგანი, მისი მზეთუნახავი”.²³⁷

²³⁴ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“, გვ. გვ., 67.

²³⁵ იქვე, გვ., 7.

²³⁶ იქვე, გვ., 62.

²³⁷ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975, გვ., 246.

მოსწავლეთა ცოდნის გასამდიდრებლად, ზეპირსიტყვიერების სწავლებისას ვ. ბარნოვი იყენებს წარმართულ, მითოლოგიურ, ბიბლიურსა და ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც, რაც კარგად ჩანს ერთ-ერთი გაკვეთილის ბოლოს დართული თემით „ნათელის თაყვანისმცემლობის ნაშთები ქართველთა ზნე-ჩვეულებაში (მზის ფიცი, ჭიაკოკონა, ლოცვა მზის ამოსვლისას, მთვარის სიმღერები)“.²³⁸ „ჩვენამდე ვერ მოაღწია მაშინდელმა სარწმუნოებრივმა მწიგნობრობამ. ალბათ ქრისტიანობამ მოსპო იგი. ვერც დროზედ ჩაიწერა ხალხში დარჩენილი მოთხრობები ამ საგნის შესახებ და ჩვენი მითოლოგია ჯერ დაკარგულია. ამ ფრიად საჭირო საცოდნელს გაგვიადვილებდა გამორკვევა ხალხის ჩვეულებებისა, ცრუმორწმუნეობისა, რწმენისა; აგრეთვე უწინდელ კერპთა კოლექცია, თუ ოდესმე მოხერხდა მათი შედგენა“.²³⁹

მოსწავლეებს ეძლეოდათ არა კონკრეტული, არამედ ზოგადი ხასიათის დავალებებიც, ამ შემთხვევაში მთლიანი ნაწარმოების შინაარსისა და მისი იდეურ-მხატვრული მრწამსის გათვალისწინებით, დედუქციური მსჯელობის გზით, მოსწავლეებს ევალებოდათ ხალხურ ნაწარმოებში ასახული გმირის მოქმედების შეფასება. არის განსხვავებული რეკომენდაციაც: მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გასაადვილებლად მასწავლებელი დაუსახელებს მოწაფეებს დასაკვირვებელ ნაწარმოებსაც და გმირსაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გაკვეთილის „იდეა და პიროვნება“ დართული თემა: „შეფასება ნაწარმოებში გამოყვანილ გმირისა, როგორც იდეის მატარებლისა და განხორციელებელისა (მასწავლებელი დაუსახელებს ნაწარმოებს და გმირს)“.²⁴⁰ ბუნებრივია, ასეთი დავალებების მიცემა არ იქნებოდა იოლი მოსწავლეებისათვის, და ამიტომაც გაკვეთილებში მათთვის წინასწარ ვ. ბარნოვს შეუშუშავებია შემდეგი შინაარსის დამხმარე კითხვებიც: „1. აბესალომი, როგორც რაინდი (დახასიათება) 2 ეთერი და მისი ხასიათი. 3. დედააზრი ეთერიანისა და როგორ არის იგი ნაწარმოებში გატარებული“.²⁴¹

და ეს მაშინ, როცა ვ. ბარნოვს დედააზრი „ეთერიანისა“ ჯერ არ განუხილავს. ხოლო მომავალ გაკვეთილზე უკვე თვით პედაგოგი, ვ. ბარნოვი, მსჯელობდა ნაწარმოების მთავარ გმირებზეც და „ეთერიანის“ დედააზრზეც.

ერთი შეხედვით ვ. ბარნოვის ეს მეთოდოკური რეკომენდაცია თითქოს არ

²³⁸ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“, გვ., 18.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“, გვ., 54.

²⁴¹ იქვე, გვ., 91.

ექვემდებარება დიდაქტიკის ცნობილ პრინციპს ნაცნობიდან-უცნობზე გადასვლის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პედაგოგს განუზრახავს მოწაფეებს დამოუკიდებლად გააცნოს „ეთერიანი“ და მერე კი მოსწავლეებს მასთან ერთად გაეკეთებინათ შეფასება. ამრიგად, ამ დავალებაში ჩანს მასწავლებლისა და მოსწავლეთა მუშაობის საყურადღებო ურთიერთობა. მომავალ გაკვეთილზე „ეთერიანის“ დედააზრის გაცნობისას მოსწავლეებს ევალებოდათ საშინაო დავალების სახით წარმოედგინათ: „ეთერიანის განვითარება სურათებად (მძინარე ეთერი და აბესალომ; ეთერი უცხადებს თავის შემთხვევას თავის დედ-მამას; აბესალომი უცხადებს სურვილს სასახლეში...)“.²⁴²

ვფიქრობთ, ამგვარი სწავლება დიდად შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების სრულყოფა-განვითარებას.

„გაკვეთილებში“ ვ. ბარნოვი შინაარსის მიხედვით ზღაპართა ოთხ ჯგუფს გამოყოფს: მითისმაგვარნი, საზნეობონი, პირუტყვთა შესახებნი და საგამოცანონი. როგორც მკვლევარი თ. ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, „ვ. ბარნოვი ასეთი კლასიფიკაციითაც და ზღაპართა ჯგუფების სახელდებითაც აღ. ხახანაშვილის ემყარება. აღ. ხახანაშვილთან, პირველ ჯგუფში მითიური ზღაპრებია გაერთიანებული, მეორეში – საყოფაცხოვრებო, მესამეში – ცხოველთა ეპოსი, განსხვავებას ქმნის მეოთხე ჯგუფის სახელწოდება „საგამოცანო ზღაპრები“.²⁴³ ჩვენის აზრით, საგამოცანო ზღაპრები მოწაფეთა ერთგვარ განმავითარებლად გვევლინება. „ისინი ჩააფიქრებენ ადამიანს, სწვრთნიან მის გონებას, ამახვილებენ მის აზროვნებას“.²⁴⁴

გასაზიარებელია ვ. ბარნოვის მოსაზრება ზღაპრის აღმზრდელობითი ფუნქციის შესახებაც: „უყვარს ხალხს ზღაპარსიტყვაობა, როგორც დროს გასატარებელი სახალისო ამბავი, თანაც ჭკუის მასწავლებელი და ზნეობის მაფაქიზებელი“.²⁴⁵ ვ. ბარნოვი აქვე მიუთითებს ზღაპრის თხრობის განმსაზღვრელ დროსა და წესზეც: „ზღაპარ-თქმულებას ხალხში განსაზღვრული დრო აქვს მიჩემებული, როდესაც საღამოს ბინდი იძულებულს ჰყოფს ადამიანს შრომაზე ხელი აიღოს, ხოლო ძილის დრო კი ჯერ არ არის. მაშინ ამბობს ხალხი ზღაპარს, მაშინ სწვრთნის იგი თავის შვილებს ზღაპარ-სიტყვაობით“.²⁴⁶ ე. ი. მიგვანიშნებს

²⁴² იქვე, გვ., 94.

²⁴³ თ. ჯაგოდნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ., 798.

²⁴⁴ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“, გვ., 77.

²⁴⁵ იქვე

²⁴⁶ იქვე, გვ., 77-78.

მის ერთგვარ გასართობ, ამავე დროს ძილისთვის განწყობის ფუნქციაზეც.

ვ. ბარნოვი მიიჩნევდა, რომ მთლიანი ნაწარმოების შესწავლა გაკვეთილზე შეუძლებელი იყო, თუმცა მისი ნიმუშების წაკითხვა გაკვეთილზე აუცილებლად მიაჩნდა. „მთელი თხზულების შესწავლა გაკვეთილზე უხერხულიც არის: ერთი კითხულობს. სხვა ყურს არ უგდებს და უბარაქოდ იკარგება მიზომილი წუთები. ნიმუშების საგანგებოდ წაკითხვა კი გაკვეთილებზე რასაკვირველია, აუცილებელია“.²⁴⁷

როგორც ვხედავთ, ზეპირსიტყვიერების სწავლების გაკვეთილების ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია ის სიძნელეები, რომელიც სასწავლო პროცესში ჩნდება მთელი თხზულების სწავლებასთან დაკავშირებით კლასსა და კლასგარეშე მუშაობისას. იგი ფილოლოგიური თვალსაზრისით საჭიროდ თვლის შესასწავლი თხზულების კლასში მთლიანად გაცნობას, მაგრამ სიძნელე ის ყოფილა, რომ, ჯერ ერთი, თხზულების მთლიანად გაკვეთილზე შესწავლა უხერხულად ჩაუთვლია, რადგან, მაშინ შესასწავლი მასალის კლასში და კლასგარეშე წაკითხვის ორგანიზაცია ეტყობა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მართებულად არ ყოფილა დამუშავებული, „ერთი კითხულობს სხვა ყურს არ უგდებს და უბარაქოდ იკარგება მიზომილი წუთებიო“. ამიტომ, ნოვატორ პედაგოგს საჭიროდ ჩაუთვლია შესასწავლი თხზულებიდან შერჩეული „ნიმუშების საგანგებოდ წაკითხვა“. თუმცა, მეორეს მხრივ, აქ ბარნოვი იქნებ გულისხმობდეს იმ ნიმუშებს, რომელიც მას დაურთავს გაკვეთილებისათვის.

ვ. ბარნოვის ზემოხსენებული მეთოდოლოგიური შენიშვნა, დღესაც დიდად საყურადღებოა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის მეთოდოლოგიური დამუშავების დონე ახლა არსებითად სხვაა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ბევრ შემთხვევაში დიდი მოცულობის ნაწარმოებთა სწავლება, ჯეროვნად ახლაც არ არის დამუშავებული-ძნელდება დიდი მოცულობის თხზულების სწავლებისას კლასში გასაცნობად რა შეირჩეს და დამოუკიდებელ მუშაობისათვის რა მიეცეთ მოსწავლეებს როგორც კლასში, ისე კლასგარეშედ. ყოველივე ამის გამო ვ. ბარნოვის, როგორც პროგრესული პედაგოგის, ზრუნვა იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა მუშაობა რომელიმე შესასწავლ ნაწარმოების გასაცნობად „უბარაქოდ“ არ დაიკარგოს, დღესაც უდავოდ გასათვალისწინებელია.

ვ. ბარნოვი ერთგვარ ნაკლად თვლის ყოველი გაკვეთილის ბოლოს კონსპექტებისა და თემების მითითებას, რადგან ასეთი მეთოდოლოგიური

²⁴⁷ ვ. ბარნოვი, „გაკვეთილები“, წინასიტყვაობა.

რეკომენდაციებით თურმე ჭრელდებოდა გაკვეთილი.

„მთელ წიგნს რომ დავათავებ – წერს იგი – თემებისა და კონსპექტების კრებულს ბოლოში მოვაქცევ. იქნება ზოგი გაკვეთილი მოზრდილი აღმოჩნდეს: მასწავლებელი დაანაწილებს, მოსწავლეებს შეუფერებს“.²⁴⁸

ამ შენიშვნაში კარგად ჩანს, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ვ. ბარნოვი ზეპირსიტყვიერების გაკვეთილების მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას. ოღონდ, აქ პედაგოგის ამ ვარაუდით სიტყვების ქვეკონტექსტში შეიძლება ისიც ამოვიკითხოთ, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მართებულად გათვლილი, თუ რა დახმარება უნდა გაწეოდა მასწავლებლებს სანიმუშო გაკვეთილების კონკრეტული კონსპექტებით და შესასწავლი მასალის თემატიკის სასწავლო პროცესის დასაწყისშივე კონკრეტულად გათვალისწინებისათვის. მაგრამ ეს გარემოება, ვფიქრობთ, უნდა ავხსნათ არა პედაგოგის მეთოდური ცოდნის დაბალი დონით, არამედ იმ დროის დიდაქტიკური აზროვნების მონაცემებით.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ბარნოვის ზოგადპედაგოგიკურსა და კერძომეთოდურ შეხედულებებს XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული მეთოდური აზროვნების გასათვალისწინებლად გამორჩეული მნიშვნელობა აქვს მეთოდური აზროვნების განვითარებაში (ხაზი ჩვენია-ქ.ბ). მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით ყურადსადებია ქართული ზეპირსიტყვიერების სწავლების მეთოდური აზროვნების ისტორიისათვის.

1920 წელს მ. კელენჯერიძემ გამოსცა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ქრესტომათიით) ნაწილი I, ხალხური სიტყვიერება, მწერლობა – სამზადისის ხანა (XII – მდე). შესავალში ავტორი საუბრობს ხალხური სიტყვიერების რაობაზე, შემდეგ განიხილავს პერიოდებს, გვაძლევს ჯერ პერიოდის ზოგად დახასიათებას, შემდეგ კი მოჰყავს ამ ხანის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. იძლევა ანდაზისა („ანდაზა აძლევს ენას სიმკვეთრეს, ენერგიას... მას შეაქვს ცოდნაში სიმარტივე, სიცხადე... ვინც ანდაზა ცოტა იცის ის ღარიბია ენითაც და ცნებითაც“) და გამოცანის („გამოცანაც ხალხური სიბრძნეა, მხოლოდ ფარულად, ალეგორიულად გამოხატული) საინტერესო განმარტებებს.

სახელმძღვანელოს ქრესტომატიული ნაწილის I თავია - მითიური ხანა. ამ ხანის ნაწარმოებებად ავტორი ასახელებს „ქრისტეშობა გურიაში“ (რომელიც წარმოადგენს შობის დღის მოკლე აღწერას), „კალანდა გურიაში“, ლექსები:

²⁴⁸ ვ. ბარნოვი, გაკვეთილები, წინასიტყვაობა.

„ალილო“ „ტონა“, „მზის კულტი“, „ფერხული“ (ამ მასალას თან ერთვის შემდეგი შინაარსის დავალება: „ფერხულიც მზის კულტია, როგორ იციან თქვენში ფერხული? რას ამბობენ“²⁴⁹) და „დიდი ოთხშაბათი“ (დავალება: „მოიგონეთ სოფლის ცრუმორწმუნეობები „ბატონებზე“, წირვებზე, უქმურის გამოლოცვაზე, მოყოლილზე, მწარე ბაღზე...შავ კატაზე, მღვდელზე, ორშაბათზე... გუგულზე, მარეშლობაზე, მეფეზე, ქორწილზე, მიცვალებულზე და სხვ“²⁵⁰). II თავში „მითიური-კოსმიური ზღაპრები“ შეტანილია: „ოჩო-კოჩი, ცალთვალა კაცი (მეგრული), „წიქარა“, „ნაცარ-ქექია“ და სხვ. III თავში ცხოველთა ეპოსია: „მოდინახოთ ვენახი“, „საბრალო დედაბერი“ და სხვ. IV თავში „ოჯახურ-ზნეობრივი ზღაპრები და მითიური ანდაზები და გამოცანები“: „თხუპნია“, „ნატვრა“, „ზღაპარ-გამოცანა“ და სხვ. V თავი გმირულ ხანას ეხება. აქ მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებები: „ამირანი“ (გურული, მეგრული და ფშავური ვარიანტები), „ეთერი“ (კახური ვარიანტი), „როსტომ და ზურაბი“ (სვანური ვარიანტი) და ხალხური ვეფხის ტყაოსანი“ (ლექსად). VI თავში წარმოდგენილია „ისტორიული ხანა“: „დავით აღმაშენებელი“, „თამარ დედოფალი“, „არსენას ლექსი“ და სხვ. VII თავი „სასულიერო პოეზიას“ მოიცავს: „ლექსი ქრისტე ღმერთზე“, „აბრამის ლექსი“ და სხვ. VIII თავში კი წარმოდგენილია „საყოფაცხოვრებო ლექსები“: „ქალის სიზმარი“, „რძალი და დედამთილი“, „ნადირობა“ და სხვ.

ქრესტომათიის პირველი , როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, - არა ხალხურ ნაწარმოებებს, არამედ წეს-ჩვეულებებს უჭირავს. უდაოდ გასაზიარებელია პროფ. ანტ. ხინთიბიძის მოსაზრება წეს-ჩვეულებათა სწავლებასთან დაკავშირებით: „მათ შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ისინი წარმართული და ქრისტიანული ცხოვრების ზოგიერთ ნიშან-თვისებებს აცნობდა მოსწავლეებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი შეიძლება საშიშიც იყვნენ მოსწავლის სულიერი ჩამოყალიბებისათვის, თუ მასწავლებელი მეცნიერულ სიმაღლეზე ვერ დააყენებდა მათ სწავლებას“.²⁵¹

სახელმძღვანელო გამოირჩევა ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა ვარიანტულობით, მაგალითად, აქ ვხვდებით „ამირანის“ გურულ, მეგრულ და ფშავურ ვარიანტებს. ხშირია ვარიანტების მითითებაც. ზოგჯერ, (განსაკუთრებით ზღაპრებში) მოქმედ გმირთა სახელები დაბეჭდილია ხაზგასმით (სავარაუდოდ უკეთ დამახსოვრების

²⁴⁹ „ქართული ლიტერატურის ისტორია“ შედგენილი... მეღ. კელენჯერიძის მიერ, ნაწ. I, ქუთ., 1920, გვ.6.

²⁵⁰ „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ... იქვე.

²⁵¹ ანტ. ხინთიბიძე, ხალ. შემოქმედების ნიმუშთა გამოყენების ისტორიისათვის, გვ., 375.

მიზნით). სასურველი იქნებოდა ავტორს გაკვეთილებისათვის კითხვები და დავალებები დაერთო (საშინაო დავალებას ვხვდებით მხოლოდ წეს-ჩვეულებების გაცნობისას).

საყურადღებოა ნაშრომის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც ავტორი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო წიგნის უქონლობას უჩივის: „არც ერთი საგნის მასწავლებელი არ განიცდის საშუალო სკოლაში უწიგნობისა გამო (იგულისხმება სახელმძღვანელო წიგნი) ისეთ მიმე მდგომარეობას, როგორსაც ქართული ლიტერატურის მასწავლებელი. ერთად ერთი წიგნი პროფ. ა. ხახანაშვილისა უკვე თავისი ხასიათით და ენით არაა სახელმძღვანელო. ის შეიცავს მხოლოდ მასალას, დაუმუშავებელს და დაუწყობელს. არც ძველი მწერლობის ქრესტომატიები შეეფერება დანიშნულებას“.²⁵²

მ. კელენჯერიძე, რატომღაც, საერთოდ არ ახსენებს ვ. ბარნოვის ნაშრომს „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ (1919) არსებობას, რომელიც ჩვენი აზრით, იმ დროს დიდ დახმარებას გაუწევდა პედაგოგებს.²⁵³

1925 წელს გამოიცა თედო ბეგიაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ნაწ. I (სახელმძღვანელო სკოლებისა და თვითგანვითარებისათვის). სახელმძღვანელოს ავტორს ზეპირსიტყვიერების სწავლების მნიშვნელობა მართებულად აქვს გათვალისწინებული.

სახელმძღვანელოში შესწავლილი მასალა თემატიკურად ამგვარადაა წარმოდგენილი: თავდაპირველად განხილულია სიტყვიერება და მისი დარგები, შემდეგ „ხალხური პოეზია და ლიტერატურა“, რასაც მოსდევს „ხალხური პოეზიის მნიშვნელობა“ (აქ ზეპირსიტყვიერება ავტორს ერის გონებრივი განვითარებისა და სულიერი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად მიუჩნევია). განხილულია ასევე: „ხალხური პოეზიის ჩასახვა და წარმოშობა“. ხალხურ პოეზიაში სამი ხანა ანუ პერიოდია გამოყოფილი: მითიური, გმირული და ისტორიული. აღწერილია ქართული მითოლოგიური თქმულებანი; საგმირო თქმულებებიდან განხილულია „ამირანი“ და „როსტომი“, ასევე, ზოგადად საუბარია სულკალმასხა, ცამცუმსა და იგრი-ბატონზე. ნაშრომში მოცემულია „ტარიელ და ლერწამ-დარეჯანის“ და „აბესალომ და ეთერის“ განხილვა, ყურადღება გამახვილებულია ისტორიული მოვლენების ხალხის პოეზიაში ასახვაზე, ხალხურ ლექსებსა და სიმღერებზე, ხალხურ არაკებსა და საყოფაქცეო ზღაპრებზე. საუბარია ანდაზებზე, გამოცანებსა

²⁵² ქართული ლიტ. ისტორია, შედგ. მ. კელენჯერიძის მიერ, ნაწ. I, ქუთ., 1920, გვ., 152

²⁵³ ამის შესახებ შენიშნავს პროფ. თ. ჯაგოდნიშვილიც, ქარ. ფოლკლორისტიკის ისტორია, 2004, გვ., 805.

და შელოცვებზე. დაბოლოს, განხილულია „სასულიერო ლექსები და ლეგენდები“, სადაც ავტორი შენიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ცხოვრებაში ძველად რელიგიურ ფაქტორს დიდი გასავალი ჰქონდა, იყო დრო, როდესაც ხალხს შეძლება კი არა ჰქონდა გარეშე ეკლესიური მოძღვრებისა ეფიქრა რამეზე, ქართველ ხალხს ამ პირობებშიაც კი შერჩენია უნარი კრიტიკული აზროვნებისა. ასეთი თავისუფალი მოქცევა ეკლესიური წიგნების ტექსტებისადმი, მათი შინაარსის თავისებურად გადაკეთება, ღმერთების ადამიანური სახით და თვისებებით წარმოდგენა, ყველა ეს დამახასიათებელია მხოლოდ ქართველი ერისა“.²⁵⁴ -ო დასძენს ავტორი.

ზემოხსენებულ ნაშრომში ვფიქრობთ, ერთგვარად ჩანს ვ. ბარნოვის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ (1919) კვალი. ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩვენი ყურადღება მიიქცია თ. ბეგიაშვილის სახელმძღვანელოში მოცემულმა შემდეგმა მონაცემებმა: სტრუქტურულად ორივე ნაშრომი იწყება სიტყვიერების განმარტებით, შემდეგ განხილულია პოეზიის ჩასახვა და განვითარება, ასევე ორივეგან განხილულია ხალხური პოეზიის სამი ხანა ანუ პერიოდი: მითიური, გმირული და ისტორიული და სხვ. 2) ორივე ნაშრომში თითქმის ერთნაირად არის განხილული ისეთი ზეპირსიტყვიერი თხზულებები, როგორცაა „თქმულება ტარიელ და ლერწამ-დარეჯანის“ განხილვა; „აბესალომ და ეთერი“ და სხვ); 3) სტრუქტურული თვალსაზრისითაც თ. ბეგიაშვილის სახელმძღვანელოშიც მსგავსად ვ. ბარნოვის „გაკვეთილებისა“ თავდაპირველად გვხვდება ზეპირსიტყვიერების ნიმუში და შემდეგ მისი ავტორისეული ანალიზი; 4) „თქმულება აბესალომ და ეთერის“ დედააზრი ერთნაირადაა გაგებული და სხვ.

ჩვენის აზრით, აღნიშნული ნაშრომი ვ. ბარნოვის „გაკვეთილებს“ დიდაქტიკურ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც ჩამორჩება. მაში არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის განკუთვნილი რეკომენდაციები. თუმცა, სხვათა ლიტერატურის გამოყენების შესახებ,²⁵⁵ თავად ავტორიც შენიშნავს: „ყოველი თავის ბოლოში მოყვანილია ლიტერატურა, რომელიც შეეხება ამ თავში გარჩეულ საკითხს. აქ დასახელებულია მხოლოდ ის წყაროები, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება მკითხველისათვის და;

²⁵⁴ თ. ჯაგოდნიშვილიც, ქარ. ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ., 146-147.

²⁵⁵ უნდა აღინიშნოს, რომ თ. ბეგიაშვილი ვ. ბარნოვის „გაკვეთილებს“ გამოყენებულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთხელ მიუთითებს და ისიც „გაკვეთილების“ ნაცვლად მოხსენიებული აქვს „ქართული ლიტერატურის გაკვეთილები“. მითითებული არაა არც გამოცემის წელი. ჩვენი გამოკვლევით აღნიშნული წიგნის არსებობა ქართულ ბიბლიოგრაფიაში არ დასტურდება.

რომლებიც იშვიათად თუ იშოვება, ისიც მხოლოდ რომელიმე ძველ ბიბლიოთეკაში, არ დამისახელებია”.²⁵⁶

ლიტერატურის ამ სახით მითითება, როგორც ირკვევა, თ. ბეგიაშვილს მისაღებად ჩაუთვლია: „ლიტერატურის ამ სახით ჩვენება და არა ციტატებით უფრო მიზანშეწონილია – მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელთაც სკოლაში არსებულ აქტიურ შრომის მეთოდის მიხედვით, თითონ მოუხდებათ ლიტერატურულ წყაროების ძებნა და მათში გარკვევაო”²⁵⁷ – დასძენს ავტორი. ამ მოსაზრებიდან, ნათელია, რომ იმ დროის სკოლებში მოწაფე, პედაგოგისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა ამა თუ იმ საკითხის კვლევა-ძიებას, რაც უთუოდ შეუწყობდა ხელს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

1925 წელს გამოიცა ტრ. და შ. თაბუკაშვილების სახელმძღვანელო „აისი“ მესამე ჯგუფისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხალხური შემოქმედების ნიმუშთა სიუხვით არ გამოირჩევა (მასში გვხვდება მხოლოდ ერთი ზღაპარი „ნაცარქექია“), ჩვენ ის მნიშვნელოვნად მივიჩნით შემდეგი გარემოების გამო: ზღაპრის ბოლოს მოწაფეებს ეძლევათ დავალება: „დახატეთ შესაფერი სურათები.

რადარა ცრუმორწმუნოება არის გავრცელებული თქვენს სოფელში? ვის სწამს ავი სულების (დევების, ქაჯების და სხვ.) არსებობა? რა არის მიზეზები?”²⁵⁸

ბავშვთა წარმოსახვის საშუალებით ზღაპრის რომელიმე სიუჟეტისა თუ მოქმედი გმირის დახატვა აქამდე განხილულ არცერთ სხვა სახელმძღვანელოში არ გვხვდება. ეს ჩვენ ავტორთა სერიოზულ, პედაგოგიურ ინიციატივად მიგვაჩნია, რადგან შესრულებული დავალება მოწაფეთა ინდივიდუალური აღქმისა და მხატვრულად გააზრების შესაძლებლობას იძლეოდა.

საყურადღებოა სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში გამოთქმული შეხედულება, რომელშიც ავტორები სასწავლო პროცესში მოწაფეთა აქტივობისა შესახებ ხაზგასმით მიუთითებენ: „მასალის დამუშავება კლასში უნდა სწარმოებდეს **საინტერესო საუბრის დახმარებით**: მოწაფეები თავისუფლად მსჯელობენ, არაფერი მათ გრძნობა-აზროვნებას არ უნდა ზღუდავდეს, მასწავლებელი მხოლოდ ხელმძღვანელის როლშია.

წაკითხულის შინაარსის **გადმოცემაზე ტყუილა-უბრალოდ დრო არ უნდა იკარგებოდეს**. საერთოდ კითხვები ყოველთვის შინაარსიანი და **დამაფიქრებელი**

²⁵⁶ თ. ბეგიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ., IV.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ ტრ. და შ. თაბუკაშვილები, აისი მესამე ჯგუფისათვის, ტფ., 1925, გვ., 59.

უნდა იყოს”.²⁵⁹

აღნიშნული სახელმძღვანელო, - ავტორთა აზრით, - გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც კლასში, ასევე კლასგარეშეც. ამავე ავტორთა მიერ 1926წ. გამოიცა „ისი მეოთხე ჯგუფისათვის”, რომელშიც გათვალისწინებულია ერთი ზღაპრის - „ასფურცელას” (საშინაო დავალების გარეშე) სწავლება.

საინტერესოა ს. გორგაძისა და შ. თაბუკაშვილის მიერ 1927 წ. გამოცემული სახელმძღვანელო „ახალი მნათობი” ქრესტომატია მე-VI ჯგუფისათვის. სახელმძღვანელოში ყურადღებას იქცევს „არსენას ლექსთან” დაკავშირებული მოსწავლეთათვის განკუთვნილი დავალებები: „გაისხენეთ შინაარსი „გლახის ნაამბობისა” და „კაკო ყაჩაღისა”, გაიცანით შილერის „ყაჩაღები” და დაამზადეთ მოხსენება: „ყაჩაღად გავარდნის ძირითადი მიზეზები უცხოეთში და ჩვენში ბატონყმობის დროს”.²⁶⁰ ვფიქრობთ, მოსწავლეთა განვითარებისათვის უდაოდ მნიშვნელოვანია ზეპირსიტყვიერების ნიმუშის ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის პარალელურად სწავლება, მაგრამ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი დავალების საფუძვლიანად შესრულება მე-6 კლასელი მოწავისათვის იოლი არ იქნებოდა. შესაძლოა ამ გარემოების გამო სახელმძღვანელოს ავტორები მოცემული დავალების ზუსტ შესრულებას სავალდებულოდ არ მიიჩნევენ. „ჩვენი დავალებანი” აქ წარმოდგენილია მხოლოდ ნიმუშების სახედ და მასწავლებელი არაა ვალდებული უსათუოდ ამ სახითა და უსათუოდ ეს დავალებანი შეასრულებინოს მოწაფეებს”.²⁶¹

1929 წელს დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის „ქართული სიტყვიერების განარკვი”. „განარკვიში” ზოგად სახეებში ლაპარაკია ზეპირსიტყვიერების წარმოშობაზე, მისი შინაარსის თაობიდან თაობაზე გადაცემის მეთოდისაზე, უანრობრივ თავისებურებებზე და სხვ. ამასთან ერთად, „განარკვიში” წარმოდგენილია არა ცალკე, არამედ ისეთ საკითხებთანაა შერწყმული, როგორიცაა: „ქართველი ერის გვარტომობა”, „ქართული ენის ბუნება”, „ქართული ანბანის შემოღება და საკულტურო მოღვაწეობის ცენტრები შინ და გარეთ მეთერთმეტე საუკუნემდე. ყველა ეს საკითხი ერთმანეთში ისე გადადის, რომ არ აქვს მკითხველისათვის საჭირო გამყოფი თუ გამავრცელებელი ქვესათაური, რაც ჩვენ, ნაშრომის ნაკლად მიგვაჩნია.

²⁵⁹ ტრ. და შ. თაბუკაშვილები, ისი მესამე ჯგუფისათვის, ტფ., 1925, წინასიტყვაობა.

²⁶⁰ ს. გორგაძე, შ. თაბუკაშვილი, „ახალი მნათობი”, ქრესტ. მე-VI ჯგუფისათვის, ტფ., 1927, გვ., 310.

²⁶¹ იქვე, გვ., 4.

უფრო მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია 1931 წელს გამოცემული ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-6 ჯგუფის სამუშაო წიგნი (ს. წვერავა, ი. სიხარულიძე, ა. მჭედლიძე), რომელსაც დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც ნათლადაა გამოკვეთილი სწავლების პროცესში მასწავლებლის წამყვანი როლი. „ნაწარმოების გარჩევას წინ უნდა უსწრებდეს ტექსტის უშუალოდ და საფუძვლიანად გაცნობა. ამისათვის საჭიროა ნაწარმოების მხატვრულად, გამომეტყველებით წაკითხვა მასწავლებლის მიერ... ასეთი წაკითხვა საშუალებას აძლევს მოწაფეს სრულიად, ყოველმხრივ წარმოიდგინოს გმირების ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, სიტყვა-პასუხი” და სხვა”.²⁶² აღნიშნული რეკომენდაცია დღევანდელი თვალთახედვით გამართლებული ვერ იქნება, ვინაიდან დღეს, სწავლების პროცესში წამყვანი როლი მოსწავლეს ეკუთვნის.

სახელმძღვანელოში ხალხური შემოქმედების ნიმუშები დაყოფილია ციკლებად: მაგალითად, ციკლი - „კაპიტალიზმის შემოჭრა და ფეოდალიზმის ყოფის რღვევა” მოიცავს ლექსებს ბატონყმობაზე და მის გადავარდნაზე: „1) დაახასიათეთ ბატონყმობა აქ მოთავსებული ხალხური ლექსების მიხედვით. დახასიათება შესაფერი ციტატებით დაასაბუთეთ. 2) განიხილეთ ხალხური ლექსების ლექსთწყობა: ზომა, რითმი, რითმა”.²⁶³ როგორც ვხედავთ, ავტორებს გაუთვალისწინებიათ ლიტერატურის თეორიის საკითხების სწავლებაც.

ხალხური შემოქმედება წარმოდგენილია 1933 წლის V ჯგუფის ლიტერატურის სახელმძღვანელოშიც (შ. თაბუკაშვილი, ვ. ასათიანი, ს. გაჩეჩილაძე).

სახელმძღვანელოში ხალხური ლექსის „ნათავადარის ჩივილის” შესწავლისას მოსწავლეებს უნდა ჩაეწერათ ის ხალხური ლექსები, რომელნიც თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას გამოხატავდნენ. „არსენას ლექსს” წინ უძღვის გმირის მოკლე დახასიათება, რომელშიც ვკითხულობთ: „ხალხს ის უსაზღვროდ უყვარს და ამის ბრალია ისიც, რომ ეს უაღრესად სოციალური შინაარსის ლექსი ვერ აღმოფხვრა მოწინააღმდეგე კლასმა, ის ეღირსა დაბეჭდვას და გაერცვლდა ისეთი რაოდენობით, როგორიც არ რგებია წილად არც ერთ ნაწარმოებს”.²⁶⁴ ლექსს დართული აქვს კითხვები: „მონახეთ ლექსში არსენას გამჭრიახობისა და გმირობის დამახასიათებელი ადგილები; რა დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს

²⁶² ს. წვერავა, ი. სიხარულიძე, ა. მჭედლიძე, ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-6 ჯგუფის სამუშაო წიგნი, თბ., 1931, გვ., 5.

²⁶³ იქვე, გვ., 328.

²⁶⁴ შ. თაბუკაშვილი, ვ. ასათიანი, ს. გაჩეჩილაძე, ლიტერ. სახელმ. საშ. სკოლის V ჯგუფისათვის, ტფ., 1933, გვ., 96.

არსენა გლეხობას? და სხვ.²⁶⁵ (მოსწავლეებს ევალებოდათ მოეხდინათ არსენასა და კაკო ყაჩაღის შედარებაც). „არსენას ლექსს“ მოსდევს სისხლიანი ნადიმი (ნაწყვეტი მ. ჯავახიშილის „არსენა მარაბდელიდან“).

ზეპირსიტყვიერებისა, და საერთოდ, ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან საფეხურად უნდა ჩათვალოს პროფ. მ. ზანდუკელის „ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგია“, რომელიც 1934 წელს გამოქვეყნდა. სახელმძღვანელოში ყურადღება ექცევა ხალხური ზეპირ-შემოქმედების სწავლების ადგილსა და როლს სკოლის პროგრამაში. ფაქტობრივად, ეს არის, ვ. ბარნოვის მეთოდოლოგიური შრომის შემდეგ, პირველი მეცნიერული მეთოდოლოგიური ნაშრომი, რომელშიც დასაბუთებულია ზეპირსიტყვიერების სწავლების ადგილი და მნიშვნელობა ლიტერატურულ მწერლობასთან ერთად, შეფასებულია მისი სწორი მნიშვნელობა მოსწავლეთა გონებრივ და ზნეობრივ აღზრდაში, და აგრეთვე, მოცემულია რეკომენდაციები ზეპირსიტყვიერების შეკრების მოწაფეთა მონაწილეობის შესახებაც. „ფოლკლორისათვის შესაფერი ადგილის მიჩნევა, – აღნიშნავს ავტორი, – სკოლის საგანთა სისტემაში ენისა და ლიტერატურის შესწავლას ჯანსაღ გზაზე დააყენებს, საერთო პედაგოგიური, აქტიური და შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავებას, უდაოდ, დიდს დახმარებას გაუწევს. ფოლკლორის შესწავლა გულისხმობს ხალხური შემოქმედების შეკრებას, კლასიფიკაციას, მის ყოველმხრივ გარჩევა-შესწავლას. მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს მოსწავლეები მძლავრად ჩართოს ასეთ მუშაობაში. ამისათვის მან უნდა მიუთითოს მოსწავლეებს სად და როგორ შეკრიბონ ფოლკლორული მასალა, რას მიაქციონ ყურადღება, როგორ დაამუშაონ შეკრებილი მასალა. ეს პირობები მოსწავლეთა თვითმოქმედებას, ინიციატივას, კვლევით უნარს საგრძნობლად ავითარებს”²⁶⁶ (ხაზი ჩვენია-ქ.ბ.)

მ. ზანდუკელის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ზეპირსიტყვიერების სწავლების გაუმჯობესებას სკოლაში.

ეტყობოდა, მეთოდოლოგიურ აზროვნებაში მწიფდებოდა აზრი მეტი ყურადღება დათმობოდა სკოლაში ხალხის გენიის უპირფასესი მარგალიტების ღრმა, მეცნიერულ დონეზე სწავლებას. ამ მხრივ ჩვენი ინტერესი გამოიწვია ვარლამ ხუროძის სახელმძღვანელომ „ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში“ (1936). მასვე ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი სტატიებიც, როგორცაა: „კითხვისა

²⁶⁵ იქვე, გვ., 107.

²⁶⁶ მ. ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგია, თბ., 1934, გვ., 166-167.

და წერის სწავლება ახალი სკოლის პირობებში („საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925წ, №2), „მშობლიური ლიტერატურისა და ენის სწავლების საკითხები“ („განათლების მუშაკი“, 1927წ. №1), „ლიტერატურის პროგრამები საშუალო სკოლებში“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1934, №27)...და სხვ.²⁶⁷

ზემოსხენებულ სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები „ხალხური ზეპირსიტყვიერების ზოგადი ხასიათი“, „რა მნიშვნელობით იხმარება ტერმინები: სიტყვიერება, ხალხური და ზეპირი“; „ადამიანთა დამოკიდებულება და ბრძოლა ბუნებასთან, ამ ბრძოლის დამახასიათებელი სალხური პოეზია“.

ამ სახელმძღვანელოში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს შესასწავლი მასალის თემატიკური და ჟანრობრივი სტრუქტურა. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში წარმოდგენილია მითოლოგიური შინაარსის ნიმუშები, მეორეში – გმირული ნიმუშები, მესამეში – საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების გამომსახველი მასალები. წინა სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით ვ. ხუროძეს სახელმძღვანელოში ხალხური იუმორის ამსახველი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიცაა მოცემული: „ორი ქოსა-ტყუილა“; „ბრიყვი და ჭკვიანი“ და „რწყილი“ შეუტანია.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ზოგიერთი მასალა სახელმძღვანელოში არ არის წარმოდგენილი შესაბამის თემატურ ჯგუფში. მაგალითად, ხალხური ზღაპარი „ეთერი“ შესულია „გმირულ ხანაში“ და სხვ.

სახელმძღვანელო სოციალიზმის ხანაში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით იწყება. აქ წარმოდგენილია: „თქმულება ლენინზე“; „სტალინს“; „მენშევიკების ხელში“; „კომუნისტების ხელში“; „გლეხის სიმღერა“ „ხევსურის სიმღერა“ და სხვ.

მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიისათვის სახელმძღვანელო ძალზედ საინტერესოა. პედაგოგს, ერთი თემატიკის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისათვის საყურადღებო საკვლევი-საძიებო კითხვები დაურთავს. მაგალითად, ლექსების: „მზე, მთვარე და ვარსკვლავები“, „მზე და მთვარე“; „მზე და სიკვდილ-სიცოცხლე“, „მზის საგალობელი“ და „მზეო, ამოდი, ამოდი“ სწავლებისას აქ მოსწავლეებს ეძლევათ ასეთი კითხვები: 1) ვის ადარებს ამ ნიმუშებში ადამიანი მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და რატომ? 2) ვისი თვისებებით არიან აღჭურვილნი ეს მნათობები? 3) ვინ უფრო ძლიერია – ადამიანი, მზე, ან მთვარე? ვინ ვისგან არის

²⁶⁷ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ.III, 1968, გვ., 276.

დამოკიდებული? 4) როგორ მსოფლმხედველობის ნიადაგზეა აღმოცენებული ამ ლექსებში გატარებული შეხედულებანი?”²⁶⁸ აშკარაა, ასეთი სავარჯიშოებით ვ. ხუროძე მიზნად ისახავდა ზეპირსიტყვიერი მასალების შეგნებულ სწავლებას, მოსწავლეთა კითხვისა და თხრობის კულტურის განვითარებასა და კრიტიკული აზროვნების სრულყოფას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი შემდეგი რეკომენდაციაც: „სავარჯიშოს ცალკე მუხლები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს რეფერატისა და მოხსენებისათვის”.²⁶⁹

სასწავლო ტექსტების შეგნებული კითხვისა და, ამდენად, წაკითხული შინაარსის კრიტიკულად გააზრებისათვის ვ. ხუროძე მოსწავლეთაგან ითხოვდა შესწავლილი მასალა, კერძოდ, ანდაზები დაეჯგუფებინათ სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისით:

- „ა) ჩაგრულთა აზრის მატარებელი ანდაზები;
- ბ) გაბატონებული თვალთახედვის შემცველი;
- გ) მღვდლების და რელიგიის საწინააღმდეგო;
- დ) შემარიგებელი ხასიათისა, ანუ პრაქტიკული გამოცდილების შემცველი ანდაზები”.²⁷⁰

უფრო მეტიც, მეორე სავარჯიშოში, რომელიც მოსდევს ქართველთა ცრუმორწმუნეობის შესახებ შექმნილ ხალხურ ნიმუშებს, პედაგოგი ასეთ დავალებას აძლევს ბავშვებს: „1) ჩაიწერეთ თქვენს სოფელში გავრცელებული ცრუმორწმუნეობანი”: ნათვალავის შემინებულის და შაკიკის და უქმურის შელოცვანი; როგორ ღოცულობენ სხვადასხვა სალოცავზე; სამღვთოს კუთხევის დროს, თემობაზე, დამისთევის დროს, მოზვრის და თხის სალოცავზე და სხვ. ბუნების რომელი ძალის წინაშე ღოცულობენ თითოეულ ამ შელოცვაში და რა მიზნით?; 2) გამოკითხეთ მორწმუნეებს ქრისტიანული ღოცვები. ვის მიმართ წარმოითქმის თითოეული ღოცვა („მამა ღმერთის”, „ღვთის მშობლის”, „ძილის ანგელოსის”) და რა მიზნით?”²⁷¹

ამრიგად, მოცემული დავალებით პედაგოგი მოსწავლეებს არა მარტო ასწავლიდა ზეპირსიტყვიერების შეკრების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს, არამედ აღვიძებდა და ავითარებდა მათში მოსმენილი ზეპირსიტყვიერების აზრობრივად გაცნობიერების უნარ-ჩვევებს, უვითარებდა დამოუკიდებელი კვლევის

²⁶⁸ ვ. ხუროძე, დასახ. ნაშრ., გვ., 28.

²⁶⁹ იქვე.

²⁷⁰ იქვე, გვ., 159.

²⁷¹ ვ. ხუროძე, დასახ. ნაშრ., გვ., 32.

უნარს და სხვ.

პედაგოგი დაინტერესებულა ზეპირსიტყვიერების სწავლებისას მოწაფეთა ლექსიკოლოგიური მუშაობითაც: „ამოწერეთ ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რომელიც მოგეწონათ“.²⁷² მეტიც, სახელმძღვანელოში არის ცდები ფოლკლორული ნიმუშების ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით სწავლებისა, მაგალითად, მოსწავლეებს ევალებოდათ დაედგინათ „რითი განირჩევა პოემის („ზურაბ ერისთავი და ხევსურები“-ქ.ბ.) ენა ძირითად სალიტერატურო ქართულისაგან? კიდევ რომელი ქართული დიალექტები იცით?“²⁷³ ანდა გამოეყოთ წაკითხული მასალებიდან როგორი ტიპის წინადადებები უფრო სჭარბობენ ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში „მარტივი თუ რთული? დაასაბუთეთ თქვენი აზრი“.²⁷⁴ აქვე, მოწაფეებს ეძლევათ ასეთი მეთოდოლოგიური რეკომენდაციაც, „ამ დავალების ესა თუ ის ნაწილი, ან მთლიანად მთელი დავალება, შეიძლება ცალკე ნაწარმოების შესწავლის დროსაც გამოვიყენოთ გზადაგზა – მუშაობის პროცესში შესაფერისი რედაქციით“.²⁷⁵

დავალების მიცემისას, პედაგოგს, გაუთვალისწინებია ლიტერატურის თეორიის საკითხებიც: „1) გამოარკვიეთ, რამდენ მარცლოვანი ლექსი ჭარბობს ხალხურ შემოქმედებაში? 2) ჩამოთვალეთ, რა და რა ეპიტეტებს და შედარებებს მიმართავს ხალხი მეტყველების სილამაზისა და მხატვრულობისათვის“.²⁷⁶

ვ. ხუროძე, ჩანს, დიდ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა წერით მეტყველების განვითარებას. ამ მიზნით მას რეფერატებისათვის სპეციალური თემებიც შეუმუშავებია. „ხელოვნება ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის?“ მასალა – ხალხური სიტყვიერება“.²⁷⁷ ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი რეფერატების თემატიკაც: „ა) „ფეოდალების ტიპები ძველ საქართველოში“; ბ) წოდება წოდების წინააღმდეგ ფეოდალურ საქართველოში“; გ) „ქართული სალიტერატურო ენა და მისი დიალექტები“. მასალა სამივე თემისათვის: „ზ. ერისთავი და ხევსურები“; „შ. დუღუშაური“ და „არეშიძეების ამოწყვეტა“.²⁷⁸

ვფიქრობთ, ამ რეფერატების განხილვა დაგეგმილიყო უნდა ყოფილიყო შემაჯამებელ გაკვეთილებზე, რადგანაც წერითი დავალებები მოზარდებს

²⁷² იქვე, გვ., 52.

²⁷³ იქვე, გვ., 177.

²⁷⁴ იქვე, გვ., 52.

²⁷⁵ იქვე.

²⁷⁶ ვ. ხუროძე, დასახ. ნაშრ., გვ., 148-149.

²⁷⁷ იქვე, გვ., 149.

²⁷⁸ იქვე, გვ., 178.

ეძლეოდათ არა ყოველი გაკვეთილის ბოლოს, არამედ ერთ თემატურ ჯგუფში შემავალი ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გავლისას.

სახელმძღვანელოს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ხალხური შემოქმედების უმეტესობას მითითებული აქვს ჩაწერის ადგილი და შემკრების ვინაობა.

შედარებით ნაკლები ღირებულებისაა შ. თაბუკაშვილისა და ს. გაჩეჩილაძის სახელმძღვანელო „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია საშუალო სკოლის V კლასისათვის (1938). ზეპირსიტყვიერებას ემთხვევა სახელმძღვანელოს I თავი („ლენინის ხსოვნას“, „სიმღერა სტალინზე“, „სტალინი – ქვეყნის ბელადი“, „სტალინს“, „არსენას ლექსი“ და „ტროცია“). საყურადღებოა „არსენას ლექსისათვის“ დართული კითხვები, რომლებშიც ავტორები პირველ რიგში იმით დაინტერესებულან რომელი ადგილები მოეწონათ ბავშვებს ლექსში და რატომ. ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშთა დავალებებში ავტორები ეპითეტის, შედარებისა და ჰიპერბოლის მოძებნით შემოიფარგლებიან. ზემოხსენებული სახელმძღვანელოს 1943 წლის გამოცემაში (ავტორები იგივე) ცვლილებები არ გვხვდება.

ყურადღებას იქცევს მშობლიური ლიტერატურის VIII კლასის სახელმძღვანელო²⁷⁹, რომელიც 1938 წელსაა გამოცემული. ჩვენთვის იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ზეპირსიტყვიერების თეორიული საკითხებით იწეება. კერძოდ, შესავალში გადმოცემულია სიტყვიერების რაობა, აღნიშნულია სიტყვიერების ჩაწერის საქმეში ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის განსაკუთრებული ღვაწლი, განხილულია ზეპირსიტყვიერების ჟანრები და მოცემულია ზოგადი ცნობები ხალხური ლექსებისა და სიმღერების, საოჯახო-საყოფაცხოვრებო და საწესხვეულებო ლექსების შესახებ.

ცალკეა წარმოდგენილი საგმირო ეპოსი, აქვეა მოცემული „ამირანის“ ტექსტიც. სახელმძღვანელოს ბოლოს აღნიშნულია სიტყვიერების მნიშვნელობა და მისი განვითარების საბჭოთა პერიოდი. ამ უკანასკნელს თან ერთვის რამდენიმე ნიმუშიც. ნაშრომი საინტერესოა მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. ყოველი თემის განხილვას დართული აქვს კითხვები და დავალებები. მაგალითად, გაკვეთილის თემის: „რა არის ხალხური სიტყვიერება“, სწავლებისას მოსწავლეებს ევალებოდათ გაერკვიათ: „1) როგორ ნაწარმოებს ეწოდება ხალხური? 2) როგორ იქმნებოდა ხალხური ნაწარმოები? 3) რომელი წარმოიშვა უფრო ადრე: მწერლობა თუ ხალხური სიტყვიერება? 4) რატომ შეგვიძლია ხალხურ ნაწარმოებს კოლექტიური

²⁷⁹ აღნიშნულ გამოცემას თავფურცელი აკლია

შემოქმედება ვუწოდოთ? 5) როგორ მოაღწია ხალხურმა ნაწარმოებმა ჩვენამდე? 6) დაასახელოთ ხალხური შემოქმედების უმთავრესი დარგები: 7) მოიგონეთ თქვენთვის ნაცნობი ხალხური ნაწარმოები. 8) რომელ დარგს ეკუთვნის თითოეული მათგანი? რაზეა მათში ლაპარაკი?²⁸⁰ (ხაზი ჩვენია-ქ.ბ.)

უკანასკნელი ორი შეკითხვა, ჩანს, საშინაო დავალებისათვისაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში დავალების შესრულება ორიენტირებულია მოსწავლეთა შექნილ საბაზო ცოდნაზე, ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები დავალების შესრულებისას იხსენებენ ზეპირსიტყვიერ ცოდნას და ამ გზით კიდევ უფრო იმყარებენ, საფუძვლიანად ითვისებენ საპროგრამო მასალას.

ამავე წელსაა (1938) გამოცემული ცნობილი ფოლკლორისტის, პროფ. მ. ჩიქოვანის „ხალხური ზეპირსიტყვიერების სახელმძღვანელო (საშუალო სკოლის მე-8 კლასისათვის). იგი ქრესტომათიული ხასიათისაა.

სახელმძღვანელოში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ისტორიულ ლექსებსა და ლექენდებს („ლექსი ვახტანგ მეფეზე“; „დავით აღმაშენებელი და დარუბანდის კარები“; „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“; „თამარ მეფე და ხონთქარი“ და სხვ).

ზღაპრებსა და თქმულებებში გაერთიანებულია შემდეგი მასალები: „საბრალო დედაბერი“; „წიქარა“ „ამირანი“; „ტარიელი ანუ ხალხური კეფხისტყალსანი“; „ავთანდილ გადინადირა“; „ეთერი“ და „გამოცანები და სიტყვის მასალა“. სახელმძღვანელოში ეს უკანასკნელი ანბანის მიხედვითაა დალაგებული. ნაშრომის ბოლოს მოთავსებულია სოციალიზმის ხანაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები („თქმულება ლენინზე“, „ორი მზე“, სიმღერა სტალინზე“, „სტალინს“ და სხვ).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ სახელმძღვანელოს ერთგვარი მსგავსება (თემატური და შინაარსობრივი თვალსაზრისით) ზემოგანხილულ, ამავე წელს გამოცემულ მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან („მშობლიური ლიტერატურა, VIII, კლ, 1938). ორივე სახელმძღვანელო, როგორც ჩანს, იმ დროის სკოლაში გამოიყენებოდა პარალელურად. ერთი როგორც ქრესტომათია და მეორე – როგორც თეორიული სახელმძღვანელო.

ერთი წლის შემდეგ, 1939 წ. ჩიქოვანმა აღნიშნული წიგნი მეორედ გამოსცა მცირედი ცვლილებებით. ამასთანავე, სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაც დაურთო, რომელშიც მიუთითა კრებულის შედგენის მიზანსა და სკოლის ფოლკლორისტულ მუშაობაში ჩაბმის აუცილებლობაზე: „ხალხური სიტყვიერება“ წარმოადგენს

²⁸⁰ მშობლიური ლიტერატურა, VIII კლ. თბ., 1938, გვ., 5.

კრებულს, რომლის მიზანია „მიაწოდოს მოსწავლე ახალგაზრდობას ის ფოლკლორული ნაწარმოებები, რომელთა შესწავლა პროგრამის მიხედვითაა გათვალისწინებული...სკოლაში ფოლკლორის შესწავლა არ განისაზღვრება მარტო პროგრამული მასალის ათვისებით, სკოლას შეუძლია შეისწავლოს თავისი რაიონის ზეპირსიტყვიერება, შეჰკრიბოს ძვირფასი მასალები და სხვ. შემკრებლობითი მუშაობა და ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია სკოლის ფოლკლორისტული მუშაობის მნიშვნელოვანი მომენტებია”.²⁸¹

ამრიგად, მ. ჩიქოვანი მასწავლებელთაგან მოითხოვს მოწაფეთა ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებასა და მათ შემკრებლობით მუშაობაში ჩაბმას. 1939 წლის სახელმძღვანელოშიც, მსგავსად წინა გამოცემისა, მასალები დალაგებულია ჟანრობრივი პრინციპით.

მეორე გამოცემაში მ. ჩიქოვანს, როგორც ჩანს, ზღაპრებისა და თქმულებების ციკლიდან გამოუყვია საგმირო ეპოსი, რომელშიც შეტანილი აქვს: „ამირანი” და „ტარიელი”. 1938 წლის გამოცემაში კი ეს ორი უკანასკნელი ზღაპრებისა და თქმულებების ციკლში გვხვდება. საინტერესოა ისიც, რომ მეორე გამოცემაში, ცნობილ ფოლკლორისტს, „ხალხური ვეფხისტყაოსანის” სხვა ვარიანტი აქვს წარმოდგენილი.

1939 წელს აფხაზური სკოლებისათვის გამოიცა ქართული ენის სახელმძღვანელო, რომელშიც ავტორებს (დ. გულია, ს. ჯანაშია, ბ. ჯანაშია) ზეპირსიტყვიერების ორი ნიმუშიც მოუთავსებიათ („სიმღერა სტალინზე” და „გაზაფხული”). წიგნი განკუთვნილი იყო სწავლების პირველი წლისათვის, ამიტომ შესასწავლი მასალა და საშინაო დავალებებიც მარტივი ხასიათისაა. მოზარდებს ევალებოდათ ახალი მასალის რვეულში ჩაწერა და ზეპირად დასწავლა. სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია ლექსიკონი სტატიების მიხედვით, სადაც ყოველი გაკვეთილის სიტყვათა აფხაზური შესატყვისებია მოცემული. ვფიქრობთ, დღეს ამგვარი სახელმძღვანელოს გამოცემა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ყველასათვის ნაცნობი, გამწვავებული კონფლიქტის მოგვარებისათვის.

შედარებით ნაკლები ღირებულებისაა თ. ასალანიშვილისა და ა. ხუბუტიას მიერ გამოცემული ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არასრული საშუალო და საშუალო სკოლის III კლასისათვის (1939). სახელმძღვანელოში მოცემული ანდაზები და გამოცანები შინაარსობრივად უკავშირდება შესასწავლ მასალას. მაგალითად, დუტუ მეგრელის „ქინაქინას” მოსდევს ანდაზა „სწავლა

²⁸¹ მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერება, საშუალო სკოლის VIII კლასისათვის, თბ., 1939, გვ., 4.

ცოდნისა თესლია და ცოდნა ბედნიერება”, ან კიდევ შ. მღვიმელის ლექსს „ოჯახის გამხარებელი” მოსდევს შესაბამისი ანდაზა „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო”.

აქ შემცირებულია ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა რაოდენობა. ამ კლასში შეისწავლება ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია” და ლექსები „ლენინის სსოვნას”, „დათვის სიზმარი” და „სტალინი ქვეყნის ბელადი”. ფოლკლორულ ნიმუშებს წიგნში არ დაერთვის კითხვები და საშინაო დავალებები, თუმცა მანამდე მოცემულ ყველა მხატვრულ ნაწარმოებს ისინი თან ახლავს. ავტორებს ეს მდგომარეობა სახელმძღვანელოს არც შემდგომ გამოცემებში (1941, 1942) გამოუსწორებიათ.

უფრო დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს შ. თაბუკაშვილისა და ო. შარაბიძის ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის (1940). მაგალითად, პოზიტიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს სახელმძღვანელოს სქოლიოებში უხვად მოცემული განმარტებანი: ვინ იყო ამილახვარი – ერთ-ერთი მებატონე ქართლში, ვარიანი – სოფელ ქართლში და სხვ.

ავტორები დიდი ყურადღებას აქცევენ შესწავლილი ტექსტის შინაარსის საფუძვლიან ცოდნას. მაგალითად, ხალხურ ზღაპარს „მზეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი” მოსდევს შემდეგი დავალება: „დაახასიათეთ სოფიო, დედამისი და მარიამი. დაწერეთ ამ ზღაპრის მოკლე შინაარსი”.²⁸²

1940 წელს ცნობილმა მეთოდისტმა კ. გაგუამ გამოსცა „მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა”, რომელშიც ზეპირსიტყვიერების სწავლებას (ფოლკლორი სკოლაში) ცალკე თავი აქვს მიძღვნილი.

„პოეტურ ფოლკლორს, - შენიშნავს ავტორი, - განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საშუალო სკოლაშიაც და ეს სავსებით მიზანშეწონილია. იგი უფრო სისტემატურად ისწავლება მე-8 კლასში. ფოლკლორის სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს მოსწავლეთა ყურადღება გლეხური ყოფისა და ბრძოლის გამომჟღავნებაზე ფეოდალებისა და თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ”.²⁸³

შრომას ემჩნევა დროის მეთოდოლოგიური შტამები. მეორე მხრივ, უდავოდ ფასეულია ავტორის შემდეგი მეთოდიკური მითითება „პოეტური ფოლკლორი გამოსაყენებელია აგრეთვე მხატვრული თვალსაზრისითაც: მარტივი, ლაკონური, მკვეთრი და მასთანვე სურათოვანი თქმა ხალხური შემოქმედებისა აჩვენებს

²⁸² შ. თაბუკაშვილი, ო. შარაბიძე, ლიტ. სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის, თბ., 1940, გვ., 21.

²⁸³ კ. გაგუა, მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1940, გვ., 41.

მოსწავლეებს მეტყველებისა და წერის სიმარტივეს, სილამაზესა და ემოციურ სიმძლავრეს. ენობრივი მოვლენების გარკვევაშიაც მასწავლებელი ბევრ მასალას გამონახავს ფოლკლორში”.²⁸⁴ მასწავლებელი უნდა ახდენდეს ზეპირსიტყვიერ და ლიტერატურულ ნაწარმოებს შორის პარალელების გავლენას. „როდესაც ვასწავლით ვაჟს „ეთერს“, მოსწავლეებს უნდა მოვაგონოთ ხალხური „ეთერიანი“ და პარალელების საშუალებით უფრო ხალისიანი და შინაარსიანი გავხადოთ გაკვეთილი... და სხვ.

ამგვარი ხერხი სწავლებისა მოსწავლეებს კარგად შეათვისებინებს როგორც პოეტურ ფოლკლორეს, ისე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსაც”.²⁸⁵ (ხაზი ჩვენია – ქ. ბ.)

ცნობილ მეთოდისტს საჭიროდ მიაჩნია ხალხური სიმღერის ენაზე დაკვირვებაც, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს „კარგად გაითვალისწინონ ხალხური შემოქმედების თავისებურება: მუღმივი ეპითეტი, პარალელიზმი და სხვა”.²⁸⁶

საყურადღებოდ მიგვაჩნია მისი მეთოდური რეკომენდაციები: 1) „ხალხური ანდაზა-გამოცანები მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს როგორც ხალხის პრაქტიკული სიბრძნისა და დაკვირვების ილუსტრაცია”²⁸⁷ და 2) „საჭიროა აგრეთვე მოსწავლეთა გარკვევა იმ საკითხებშიაც, თუ რა განსხვავება-ურთიერთობაა ზეპირსიტყვიერებასა და წერილობითს ლიტერატურულ მეტყველებას შორის”.²⁸⁸

ხალხური შემოქმედების შესწავლაში ავტორს მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება დაუნახავს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო მისივე სიტყვებს: „მომეტებული ნაწილი პოეტური ფოლკლორისა (ლექსები, ანდაზები და გამოცანები) მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ზეპირად, რაც მათი ლექსიკის მარაგს გაამდიდრებს და დაამშვენებს მოხდენილი, მოსწრებული და მკვეთრი თქმებით”.²⁸⁹

დასასრულს, კ. გაგუა მასწავლებლებს ურჩევს დაავალონ მოსწავლეებს არდადეგების დროს შეკრიბონ მოსახლეობაში (იგულისხმება უფრო სოფელი) პოეტური ფოლკლორის ნიმუშები, რამეთუ ეს ხელს შეუწყობს ერთი მხრივ

²⁸⁴ იქვე.

²⁸⁵ იქვე, გვ., 41-42.

²⁸⁶ იქვე, გვ., 42.

²⁸⁷ იქვე, გვ., 43.

²⁸⁸ კ. გაგუა, მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდთა, გვ., 43.

²⁸⁹ იქვე.

ფოლკლორის ფონდის ზრდას და მეორე მხრივ მოზარდი თაობის განვითარებას. აქვე, ცნობილი მეთოდისტი მიუთითებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ზუსტად, სიტყვასიტყვით ჩაწერის შესახებაც, რაც უდავოდ მისასაღმებელია.

1946 წლის ქართული ლიტერატურის V კლასის სახელმძღვანელოში (უშ. ობოლაძის რედაქციით) ზეპირსიტყვიერებას ცალკე თავი ადარ ეთმობა. ხალხური შემოქმედების ნიმუშები („არსენას ლექსი“, „კარგი ვაჟკაცი“, „ვაჟკაცსა გული რკინისა“ და სხვ.) აქ „გაბნეულია“ მწერლისეულ ნაწარმოებებში. ზეპირსიტყვიერებისა და მისი ცალკეული ჟანრების შესახებ გვხვდება თეორიული ხასიათის ცნობებიც.

სახელმძღვანელოს ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ ჯერ მოცემულია ხალხური ზღაპრისა და ანდაზის ზოგადი დახასიათება, და, შემდეგ ხალხური სიტყვიერების განმარტება და ფოლკლორით მწერალთა დაინტერესება.

ზემოსხენებული სახელმძღვანელოს იდენტურია იმავე 1949 წლის V კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოც.

3. 3. ზეპირსიტყვიერების შემსწავლელი სპეციალური მეთოდოლოგიური შრომა

1941 წელს პროფესორმა ქს. სიხარულიძემ გამოსცა სპეციალური მეთოდოლოგიური ნაშრომი – „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში“, რომელიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა დასახმარებლად: „ფოლკლორის ...სისტემატიკურ შესწავლას ჩვენს სკოლებში, - აღნიშნავს იგი, - დიდი ხნის ტრადიცია არ აქვს. ამიტომ ზოგ შემთხვევაში მასწავლებელს ფოლკლორის სწავლების მეთოდოლოგია ერთგვარ სიძნელის წინაშე აყენებს.

წარმოდგენილი წერილი მიზნად ისახავს ფოლკლორის სწავლების მეთოდების ჩვენებას მე-8 კლასში. პროგრამით გათვალისწინებული მასალებიდან სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმეა გარჩეული. აქ...ნაჩვენებია, თუ რა მეთოდით უნდა შევასწავლოთ მოწაფეებს ესა თუ ის ფოლკლორული ჟანრი, ან ნიმუში“.²⁹⁰

ცნობილ ფოლკლორისტს მართებულად მიაჩნია, რომ პირველ გაკვეთილზე მოსწავლე-ახალგაზრდობამ მათთვის უკვე ნაცნობი ხალხური შემოქმედების ნიმუშები უნდა გაიხსენონ. ამით მასწავლებელი მათ ხალხური შემოქმედების სამყაროში გადაიყვანს. „ფოლკლორის შესწავლა...უნდა დაიწყოს გაკვეთილით, რომელიც დაეთმობა ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ნიმუშების თქმასა და მოყოლას. პირველად მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს რომელიმე საინტერესო ხალხურ ზღაპარს, შემდეგ თვით მოსწავლეები მოიგონებენ ხალხურ შაირებს, გამოცანებს, სიმღერებს, ლექსებს და სხვ., რომლებიც მათ წაუკითხავთ ან გაუგონიათ. პირველ გაკვეთილზე ზღაპრის შინაარსის, შაირების, გამოცანებისა და ლექსების თქმისას, არ არის საჭირო ტექსტების კომენტირება.“²⁹¹

ამრიგად, პირველი გაკვეთილის მთავარ მიზანს მოსწავლეთა სიტყვიერების სამყაროში შეყვანა წარმოადგენს.

ვეთანხმებით პროფ. ქს. სიხარულიძის აღნიშნულ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციას, ვინაიდან იგი ემყარება ცოდნის შექმნის ნაცნობიდან უცნობისაკენ გადასვლის პედაგოგიურ პრინციპს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ზეპირსიტყვიერი მასალების შინაარსის გაცნობა-სწავლებას საბაზო სკოლის კლასებში უპირატესად წაკითხვით გაიცნონ მოსწავლეებმა.

მომავალ გაკვეთილზე, ავტორის აზრით, პედაგოგი წარმოდგენას იძლევა

²⁹⁰ ქს. სიხარულიძე, „ფოლკლორის შესწავლა საშ. სკოლის მე-8 კლასში“, თბ., 1941..

²⁹¹ იქვე, გვ. 5.

ფოლკლორის რაობაზე, მის თავისებურებასა და სპეციფიკაზე, იმ განმასხვავებელ ნიშნებზე, რაც ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურას ერთმანეთისგან ანსხვავებს. ზეპირსიტყვიერების ვარიანტულობასთან დაკავშირებით პროფ. ქს. სიხარულიძე შემდეგ რეკომენდაციას იძლევა: „საჭიროა მასწავლებელმა ხაზი გაუსვას ფოლკლორულ ნაწარმოებთა ვარიანტების სიმრავლეს, როგორც შედეგს მისი სპეციფიკისას. ესა თუ ის ნაწარმოები ზეპირი გადაცემისას სხვადასხვა ეპოქაში, ან სხვადასხვა მოქმედის ხელში განიცდიდა ცვლილებას. ზოგი რამ ემატებოდა, ზოგი აკლდებოდა და, ამრიგად, იქმნებოდა ახალი ვარიანტი. რომ ნათქვამი ცხადი იყოს, საჭიროა მასწავლებელს ხელთ ჰქონდეს საილუსტრაციო მასალა“.²⁹²

რადგანაც ერთი და იმავე ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი შეიძლება მწერალსაც ჰქონდეს, ცნობილი ფოლკლორისტი საჭიროდ მიიჩნევს მოწაფეებს ვარიანტების მაგალითები მხატვრულ ლიტერატურაშიც მივუთითოთ. ეს ჩვენც სასარგებლოდ მიგვაჩნია.

ფოლკლორის უანრების ანალიზის შემდეგ, როგორც ავტორი მიიჩნევს, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს საწესო პოეზიაზე. მისი ნიმუშები კლასში უნდა იქნას წაკითხული პედაგოგის მიერ. შემდეგ განიხილება პროგრამით გათვალისწინებული ლექსები: „მზე, მთვარე და ვარსკვლავები“, „მზევ შინა“, „მზეო, ამოდი, ამოდი“ და „მზე და მთვარე“.

დღევანდელი პოზიციის მიხედვით ვფიქრობთ, საანალიზო მეთოდოლოგიურ ნაშრომში დომინირებს ინფორმაციული მეთოდოლოგია. და ეს მაშინ, როცა XX საუკუნის 10-იან და 20-30-იან წლებში სასწავლო პროცესში ლუარსაბ ბოცვაძისა და ვ. ბარნოვის და სხვათა პედაგოგიკურსა და მეთოდოლოგიურ ნააზრევში ჯეროვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში გააქტიურებას. ასევე, ნაკლები ყურადღება ექცევა ზეპირსიტყვიერების სწავლებისას მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი კულტურის გაუმჯობესებას.

საწესო და საკულტო პოეზიის ნიმუშთა განხილვის შემდეგ, ქს. სიხარულიძე შემდეგ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციას იძლევა: „მასალების მთლიანად დამუშავებისა და შესწავლის შემდეგ მასწავლებელი აწყობს წერით ვარჯიშს. შეიძლება საკონტროლო თემად აღებული იქნას მნათობთა თაყვანისცემა ქართული ფოლკლორის მიხედვით“.²⁹³ მაგრამ აქ არ ჩანს ის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები,

²⁹² ქს. სიხარულიძე, დასახ ნაშრ., გვ., 6.

²⁹³ ქს. სიხარულიძე, დასახ ნაშრ გვ., 15.

რომლის მიხედვითაც მოწაფეები შეასრულებ-დნენ მოცემულ დავალებას.

დიდი მოცულობის ტექსტის წაკითხვას კლასში პროფ. ქს. სიხარულიძე საჭიროდ არ მიიჩნევს, მისი აზრით ასეთი ნაწარმოებები მოსწავლეებმა წინასწარ უნდა გაიცნონ. „წიქარას“ შესწავლისას არ არის საჭირო შინაარსის გაცნობის მიზნით ტექსტი მთლიანად კლასში იქნას წაკითხული. მასწავლებლის წინასწარი დავალებით ზღაპრის შინაარსი მოსწავლეებმა უკვე იციან”.²⁹⁴ სამწუხაროდ, ეს მეთოდი ჩვენში ზოგიერთმა მეთოდისტმა უკომენტაროდ შემოიტანა რუსული მეთოდური აზროვნებიდან ჩვენში. ცხადია, ჩვენ არ უარყოფთ, ვთქვათ, არდადეგების დროს მოსწავლეებმა წინასწარ გაიცნონ დიდი მოცულობის საპროგრამო თხზულებები, მაგრამ სასკოლო მეცადინეობისას ამ ხერხის გამოყენება მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ამ დროს მოწაფეები დაკავებული არიან სხვადასხვა საგნების სწავლით. რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზღაპრის ჟანრობრივი თავისებურებანი მოწაფეებს გააცნოს წინასწარ, ვიდრე მის შინაარსს გაეცნობიან – ჩვენი აზრით, მართებული რეკომენდაციაა.

ნაშრომში წინაა წამოწეული ზღაპრის დადებითი როლი და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა მოსწავლეებისათვის. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „საჭიროა მასწავლებელმა ხაზი გაუსვას ზღაპრის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას“-ო.²⁹⁵ ასევე, პედაგოგმა ცალკე უნდა გამოყოს ზღაპრის შესავალი – ტრადიციული ფორმულა „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. ასეთი შესავლის ფუნქციაა, – მიუთითებს ავტორი, – დააინტერესოს მსმენელი, მოამზადოს ფანტასტიკური ამბების მოსასმენად, შეიყვანოს არაჩვეულებრივ სამყაროში”.²⁹⁶

ნაშრომის ბოლოს განხილულია „ამირანი“-ს სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდური მითითებანი. „ამირანი“-ს შესწავლა იწყება ტექსტის შინაარსის გაცნობით, – წერს ავტორი, – მოწაფეებს წინასწარ ეძლევათ დავალება გაეცნონ ტექსტს. მასწავლებელი ამოწმებს ტექსტის ცოდნას და შემდეგ იწყებს უშუალოდ ტექსტის კომენტირებას”.²⁹⁷

„მასწავლებელი კითხულობს ტექსტიდან იმ ადგილებს, სადაც მოცემულია ამირანისა და მისი ძმების დახასიათება, მათი გარეგნობის აღწერა”.²⁹⁸ მას

²⁹⁴ იქვე, გვ. 17.

²⁹⁵ იქვე, გვ. 22.

²⁹⁶ ქს. სიხარულიძე, დასახ ნაშრ., გვ., 21.

²⁹⁷ იქვე გვ., 23.

²⁹⁸ იქვე.

მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გამახვილდეს ამირანის საგმირო საქმეებზე: „ასეთი ადგილები კლასშივე უნდა წავიკითხოთ. მეტად დამახასიათებელი ადგილები მოსწავლეებს უნდა ჩაგანიშნინოთ და შევასწავლოთ“-²⁹⁹ -დასძენს ავტორი.

ზემოსხენებული მეთოდიკური რეკომენდაცია, გარკვეული კორექტივით, დღესდღეობით მართებულად მიგვაჩნია.

მისაღებია ასევე, ქს. სიხარულიძის შემდეგი მეთოდიკური მითითებანი: 1) „გზადაგზა, კომენტარების დროს მასწავლებელი განმარტავს მოწაფეთათვის გაუგებარ ხალხურ გამოთქმებს“.³⁰⁰ სასურველია, მათ ეს განმარტებანი ჩაიწერონ; და 2) „კომენტარების დროს ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილების დასახელებას (კავკასიონის ქედი, ალგეთის მთა), რომელნიც ვარიანტების მიხედვით იცვლებიან“.³⁰¹

წერითი დავალებისათვის ნაშრომში შერჩეულია შემდეგი თემები: 1) ამირანის დახასიათება; 2) საღვთგამირო ამბები „ამირანში“ და 3) ქართული ყოფა-ცხოვრება და ადათ-ჩვევები „ამირანის“ მიხედვით.

პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლის შემდეგ ტარდება შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც მთლიანად მასწავლებელს მიჰყავს. იგი მათ აძლევს გარკვეულ ინსტრუქციას, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობა ფართოდ ჩაებას დამოუკიდებელ მუშაობაში. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მათ „ფოლკლორული ნიმუშები უნდა ჩაიწერონ ისე, როგორც მთქმელი ამბობს“³⁰²...შეაგროვონ „ზეპირსიტყვიერების ყველა ნიმუში, რასაც კი გაიგონებენ“.³⁰³

გარდა იმისა, რომ ნაშრომში ნაკლებად ჩანს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობა, რატომღაც გაკვეთილები მიზანდასახულობით ერთმანეთისგან არ არის გამოყოფილი; სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ნიმუში არ არის განხილული; დღევანდელი თვალთახედვით მიუღებელია ასეთი რეკომენდაცია: „ამ საკითხის გარკვევის დროს მასწავლებელს უდიდესი შესაძლებლობა აქვს, ყურადღება გაამახვილოს ანტირელიგიური აღზრდის

²⁹⁹ იქვე, გვ. 24.

³⁰⁰ იქვე, გვ. 27.

³⁰¹ იქვე, გვ. 26.

³⁰² ქს. სიხარულიძე, დასახ ნაშრ., გვ. 28.

³⁰³ იქვე.

საკითხებზე”.³⁰⁴

ასევე, დღეს შეუძლებელია მასწავლებელს მოეთხოვოს ხალხური შემოქმედების მარქსისტულ-ლენინურ თვალთახედვით გაგება და სხვ.

ამრიგად, პროფ. ქს. სიხარულიძის ნაშრომი „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში” მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იმ პერიოდისათვის ნამდვილად სიახლე იყო, დღეისთვისაც მისაღებია მისი მთელი რიგი მოსაზრებანი ზეპირსიტყვიერების გენეზისისა და ცალკეული ჟანრების რაობის შესახებ, მაგრამ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დღევანდელ პედაგოგიკურ დონეს ნაკლებად პასუხობს სასწავლო პროცესში ისეთი მეთოდის უპირატესად გამოყენება, როგორცაა ინფორმაციული მეთოდი, ზეპირსიტყვიერების ტექსტზე მუშაობისას დიალოგის გამოყენებლობა და სხვ.

³⁰⁴ იქვე, გვ. 11.

ზოგადი დასკვნები

1) ეროვნული ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს მოსწავლეთა შემეცნებითი და აღმზრდელობითი ინტერესების განვითარების მარად უშრეტ წყაროს, რასაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი პედაგოგიური მნიშვნელობა. ამ საუნჯეს ჩვენი ხალხი მიზნობრივად იყენებდა და დღესაც იყენებს მომავალი თაობის დროის სულისკვეთებით აღსაზრდელად;

2) საუკუნეობრივი სასწავლო-სააღმზრდელო იდეების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, როგორც ირკვევა, თავდაპირველად თვით ხალხურ პედაგოგიკის წიაღში აღმოცენებული გარკვეული დიდაქტიკური ხერხები და რეკომენდაციები;

3) სპეციალური სკოლების დაარსების შემდეგ ხალხური პედაგოგიკური საუნჯის მიზნობრივად გამოყენებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, შემოქმედ პედაგოგთა ნოვატორულმა მოღვაწეობამ, მეორე მხრივ, ზოგადპედაგოგიკურ შეხედულებებთან ერთად პედაგოგიური ფსიქოლოგიის განვითარებამ (დ. უზნაძის, შ. ჩხარტიშვილის, ალ. ფრანგიშვილის, შ. ნადირაშვილის, დ. რამიშვილის, ნ. იმედაძისა და სხვ. შრომები);

4) სადღეისოდ, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების აღმშენებლობის ეპოქაში, კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ზეპირსიტყვიერების მასალების სასწავლო და სააღმზრდელო პრობლემატიკის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა-ანალიზი;

5) დოკუმენტურად დასტურდება, რომ ჩვენ ქვეყანაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოფიციალურ სკოლებში როგორი ინტერესით ინერგებოდა ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლების ზოგადპედაგოგიკური და კერძო მეთოდური ტექნოლოგიები.

6) ხალხური სიბრძნის გამომხატველი ამ მეხსიერებითი ცოდნის შესასწავლად, უთუოდ, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვით კოლექტიური შემოქმედის პედაგოგიკის წიაღში წარმოშობილ პირველად მეთოდურ ტექნოლოგიებსაც;

7) ზეპირსიტყვიერი მასალების სასწავლო-სააღმზრდელო თვალსაზრისით მიზნობრივი შერჩევა, მისი პროგრამებსა და სასწავლო სახელმძღვანელოებში შესასწავლად გათვალისწინება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ოფიციალური ორგანიზებული სასკოლო ქსელის გაფართოებასთან საქართველოში;

8) ზეპირსიტყვიერების სწავლების დინამიკის გაუმჯობესების საწყისი მყარი საფუძველი გახდა ქართველი განმანათლებლების – კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის (აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, და განსაკუთრებით ვასილ ბარნოვის) სასწავლო-საგანმანათლებლო მაღალი იდეები.

9) ზეპირსიტყვიერი მასალების სასწავლო-სააღმზრდელო საკითხების მეცნიერულად შესწავლა და სასწავლო სახელმძღვანელოებში პრაქტიკულად სასწავლოდ შეტანა უკავშირდება იაკობ გოგებაშვილის ახალ პედაგოგიკურ მოძღვრებას, რომლის საფუძველზე შეიქმნა ისეთი უკვდავი სახელმძღვანელოები, როგორიცაა „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვ.

10) ზეპირსიტყვიერების სწავლების პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს აღებული პერიოდის სკოლების პედაგოგებმა პ. უმიკაშვილმა, მ. კელენჯერიძემ ვ. ბარნოვმა და სხვ., რომლებმაც არა მარტო გაიზიარეს სამოციანელთა ზოგადპედაგოგიკური და კერძომეთოდოლოგიური მოსაზრებები, არამედ პრაქტიკულად დაიწყეს სკოლებში ზეპირსიტყვიერი მასალების სწავლების მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერლისა და პედაგოგის ვასილ ბარნოვის დეაწლი, რომლის ნააზრევი წარმოადგენს პირველ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს ზეპირსიტყვიერების სწავლებაში, და რომელიც ჩვენ მიერ პირველად იქნა ამ კუთხით გაანალიზებული;

11) ვასილ ბარნოვის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს გზას ზეპირსიტყვიერების სწავლებაში აგრძელებენ სხვა ქართველი შემოქმედი პედაგოგებიც (ს. გორგაძე „ჩვენი სახალხო პოეზია და პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან“, ქუთ., 1920წ., თ. ბეგიაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ნაწ. I, 1925წ., ვ. ხუროძე „ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში“, თბ., 1936წ. და სხვ.) ზემოხსენებულ სახელმძღვანელოებში ხალხური პოეტური საუნჯის სწავლების საკითხები, ზოგჯერ, მართალია, არათანმიმდევრულად არის განხილული, მაგრამ ფაქტია, რომ მათში ზეპირსიტყვიერება ისწავლებოდა სხვადასხვა ოდენობით, სხვადასხვა თემატიკური შინაარსითა და, აგრეთვე ზოგჯერ მხატვრულ ლიტერატურული ტექსტების პარალელურად;

12) XX საუკუნის 10-იანი წლების დასასრულს, 1919 წელს იაკობ გოგებაშვილის მოძღვრების ერთგულმა გამგრძელებელმა ლუარსაბ ბოცვაძემ, ახალი ევროპული და ამერიკული პედაგოგიკური აზროვნების გაცნობის საფუძველზე, (იმ პრინციპით, რომ ეროვნული მეხსიერებისათვის არასდროს

მიუღებელი არ ყოფილა მოწინავე ქვეყნების მეცნიერული წარმატებების შემოქმედებითად გაცნობა-გამოყენება), პირველად ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში 87 წლის წინ მხარი დაუჭირა ინოვაციურ მოძღვრებას, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. ლ. ბოცვაძის შეხედულებით, სასწავლო პროცესის მთავარი მოქმედი პირი მოწაფეა და არა მასწავლებელი, განსხვავებით ძველი პედაგოგიკისაგან (რომელიც თხოულობდა მოწაფეთა მიერ მასწავლებლის ყურის გდებას), რაც დღევანდელი პედაგოგიკური აზროვნებისათვის უთუოდ მისაღებია:

13) ლუარსაბ ბოცვაძის შეხედულებებს სამწუხაროდ მაშინ არ ეწერა პრაქტიკული ხორცშესხმა თავისი დროის სასწავლო დაწესებულებებში;

14) XX საუკუნის 30-იანი და 40-იან წლებიდან ჩვენ ქვეყანაში სასკოლო ქსელის დაწესებულებების გაზრდა-გაფართოებასთან ერთად, ფოლკლორის სწავლების წმიდა პედაგოგიური და მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფ. მ. ზანდუკელი, მ. ჩიქოვანი, კ. გაგუა, ქს. სიხარულიძე და სხვანი. (მხედველობაში გვაქვს პროფ. მ. ზანდუკელის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია“ (1934), მ. ჩიქოვანის „ხალხური სიტყვიერება საშუალო სკოლის VIII კლასისათვის“ (1938), კ. გაგუას „მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია“ (1940), ქს. სიხარულიძის „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში“, 1941 და სხვ.), რომელთა ნააზრევიც ნაშრომში შესწავლილია როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალთახედვით;

15) ბუნებრივია, ზეპირსიტყვიერების სწავლების საკითხებით მეცნიერების დაინტერესებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ხალხის საუნჯის საფუძვლიანად გაცნობა-ათვისებისათვის, მაგრამ აღნიშნული სახელმძღვანელოები დიდაქტიკური თვალსაზრისით არ იყო უნაკლო, ამას ემატებოდა ისიც, რომ ზეპირსიტყვიერი მასალები განიხილებოდა სხვადასხვა მეთოდოლოგიით;

16) შექმნილი გარემოების გამო და იმიტომაც, რომ დღეს, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების აღმშენებლობის პერიოდში, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის პროგრესული ისტორიული მემკვიდრეობის ცოდნას, მის პრაქტიკულ გამოყენებას სრულყოფილი მომავალი თაობის აღსაზრდელად, შრომაში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერების სწავლების კერძომეთოდოლოგიური საკითხები;

17) ვფიქრობთ, ნაშრომში მოპოვებული და გაანალიზებული ისეთი მეთოდოლოგიური ტექნოლოგიები, როგორცაა სასწავლო პროცესში დიალოგის

ფართოდ გამოყენება, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის რეკომენდაციები ზეპირსიტყვიერების შეკრება-გაანალიზების თაობაზე, და, რაც მთავარია, ლუარსაბ ბოცვაძისეული ნოვატორული იდეები სწავლებაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის შესახებ შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი მხრივ, საშუალო სკოლებსა და აგრეთვე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზეპირსიტყვიერების სწავლების შესაფერისი დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური ეფექტური რეკომენდაციების შესარჩევად და მეორე მხრივ, ეროვნული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიის შესასწავლად.

18) დაბლოს, შრომის შედეგები გარკვეულად შეუწყობს ხელს სკოლაში საპროგრამო ზეპირსიტყვიერების სწავლების მეთოდოლოგიური რეკომენდაციების საფუძვლიან შემუშავებას, რის საფუძველსაც იძლევა ზემოხსენებული საკანდიდატო ნაშრომი;

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული ა., ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში, თბ., 1990.
2. ასლანიშვილი თ., ხუბუტია ა., ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არასრული და საშუალო სკოლის III კლ. თბ., 1939.
3. ასლანიშვილი თ., ხუბუტია ა., ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწვებითი სკოლის III კლასისათვის, თბ., 1941.
4. ასლანიშვილი თ., ხუბუტია ა., ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწვებითი სკოლის III კლასისათვის, თბ., 1942.
5. არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია“, ტფ., 1898წ.
6. ბარნაველი ლ., ვ. ბარნოვის ბიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, 18391-ხ.
7. ბარნაველი ს., ვ. ბარნოვის ნაწარმოებთა თემები, ლიტ. მუზ., 13121-ხ.
8. ბარნოვი ვ., ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვეული პირველი, ტფ., 1919წ.
9. ბარნოვი ვ. თხზ. სრ. კრ. ტ. I თბ., 1961წ.
10. ბარნოვი ვ. სისტემატიური კონსპექტი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, ტფ., 1925წ.
11. ბეგიაშვილი თ., ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. I, 1925წ.
12. ბერძენიშვილი, დონდუა და სხვები, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.
13. ბოცვაძე ლ., პირველ დაწვებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, ტფ., 1919.
14. ბოცვაძე ნ., ბურჯანაძე კ., დედა ენა ნაწ. I. თბ., 1944.
15. ბოცვაძე ნ., ბურჯანაძე კ., დედა ენა ნაწ. II. თბ., 1944.
16. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანიშვილი მიერ, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V.
17. გაგუა კ., მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1940.
18. გაგუა კ., ქართული პოეტური ფოლკლორი, თბ., 1941.
19. გაზაფხული... ყრმათათვის საკითხავი წიგნი... წყარო №2, ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული.
20. გოგებაშვილი ი., ბუნების კარი, 1912წ.
21. გოგებაშვილი ი., დედა ენა, 1976წ.
22. გოგებაშვილი ი., დედა ენა, I და II ნაწ. 1912წ.

23. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. II თბ., 1958წ.
24. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. IV, 1990წ.
25. გოგებაშვილი ი., „ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისათვის”, რჩ. პედ. თხზ. თბ., 1977წ.
26. გოგიანიშვილი ფ., ხალხური სიტყვიერება, ტფ., 1937.
27. გორგაძე ს., ჩვენი ძველი მწერლობა და სახალხო პოეზია, ქუთ., 1915წ.
28. გორგაძე ს., ჩვენი სახალხო პოეზია და პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან, ქუთ., 1920წ.
29. გორგაძე ს., თაბუკაშვილი შ., ახალი მნათობი, ქრესტომატია მე-VI ჯგუფისათვის, ტფ., 1925.
30. გულია დ, ჯანაშია ს, ჯანაშია ბ, ქართული ენა აფხაზური სკოლებისათვის (სწავლების პირველი წელი), სოხუმი, 1939.
31. გურგენიძე ნ. გორგაძე ი. ა. წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე, თბ., 1989წ.
32. გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოსატყულებით, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V.
33. „ვეფხისტყაოსნის შესახებ”, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V.
34. თაბუკაშვილი ტრ. თაბუკაშვილი შ, აისი მესამე ჯგუფისათვის, ტფ., 1925.
35. თაბუკაშვილი ტრ. თაბუკაშვილი შ, აისი მეოთხე ჯგუფისათვის, ტფ., 1926.
36. თაბუკაშვილი შ, ასათიანი ვ, გაჩეჩილაძე ს, ლიტერატურის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V ჯგუფისათვის, ტფ., 1933.
37. თაბუკაშვილი შ, გაჩეჩილაძე ს. ქართული ლიტერატურის ქრესტომატია საშუალო სკოლის V კლასისათვის, თბ., 1938.
38. თაბუკაშვილი შ, შარაბიძე ო, ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის, თბ., 1940.
39. თამარის ცხვარი ფშავში, ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V.
40. ვ. ფშაველა, ცრუპენტელა აღმზრდელი, თხზ. სრ. კრ. ტ. VI, თბ., 1964.
41. ზანდუკელი მ. ქართული ლიტერატურის მეთოდისა, თბ., 1934.
42. ზანდუკელი ფ. წერილები საბავშვო ფოლკლორზე, თბ., 1980წ.
43. ზანდუკელი ფ. ხალხური შემოქმედება დაწყებით კლასებში, თბ., 1986.
44. კელენჯერიძე მ. სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო საესთეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა, ქუთ., 1896.
45. კელენჯერიძე მ. სიტყვიერების თეორია, 1898.

46. კელენჯერიძე მ. ქართული ქრესტომატია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, ტ. I, წიგნი პირველი, 1907.
47. ლორთქიფანიძე დ. პ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, თბ., 1955.
48. მაცაბერიძე ვ., ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელნი, თბ., 1977.
49. მირიანაშვილი პ., ქართული სიტყვიერების განარკვი, 1929.
50. მგალობლიშვილი ს. მოგონებანი, თბ., 1938.
51. ნასიძე მ. ქართული ქრესტომატია უმცროს კლასებისათვის, ტფ., 1885.
52. ობოლაძე უ. აკაკი და ახალგაზრდობა, თბ., 1980.
53. პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძის რედ., თბ., 2004.
54. როსტომაშვილი ნერგი „ანუ ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, 1902წ.
55. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. III, 1968.
56. სახოკია თ. ვ. ბარნოვი (მოგონება), ლიტ. მუზეუმი, 20370-ხ.
57. სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1964.
58. სიხარულიძე ქს. საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938.
59. სიხარულიძე ქს. ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში, თბ., 1941.
60. სიხარულიძე ქს. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, თბ., 1956.
61. სიხარულიძე ქს. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, II, 1966.
62. სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამა, ტფ., 1921.
63. სპარსიაშვილი არჩ. ი. გოგებაშვილი და ხალხური შემოქმედება, თბ., 1990.
64. სულხანიშვილი, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, თბ., 1961.
65. უმიკაშვილი პ. თხზ. სრ. კრ. ტ. IV.
66. უმიკაშვილი პ. სახსოვრად, თბ., 1905.
67. ფირცხალავა ს. მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988.
68. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ათწლედისა (8, 9 და 10 ჯგ.) და ტექნიკუმებისათვის, თბ., 1933.
69. მშობლიური ლიტერატურა, VIII კლ. 1938.
70. ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამის პროექტი, ტფ., 1932.
71. ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამა, ტფ., 1929.

72. ქართული ლიტერატურის ისტორია, (ქრისტომატიით), შედგ. მ. კელენჯერიძის მიერ, ნაწ. I, ხალხური სიტყვიერება, მწერლობა-სამზადისის ხანა (XI ს-მდე), ქუთ., 1920.
73. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია არასრული საშუალო და საშუალო სკოლის V კლასისათვის, შედგენილი შ. თაბუკაშვილისა და ს. გაჩეჩილაძის მიერ, თბ., 1943.
74. ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974.
75. ქართული ქრესტომატია საშუალო სასწავლებლის II კლასის კურსი, შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ, ტფ., 1918.
76. ქიქოძე, გ. რჩ. თხზ. ტ. III, თბ., 1965.
77. ქურდაძე შ. პედაგოგიკურ ტერმინოლოგიური მასალები ქართულ და ოსურ ფოლკლორსა და მწერლობაში, ცხ., 1987.
78. ქურდაძე შ. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია, I, 2003.
79. ქურდოვანიძე თ. ქართული ფოლკლორი, თბ., 2001.
80. დლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი, თბ., 1984,
81. შეთეკაური გ. ხალხური პოეზიის ზნეობრივი არსი, თბ., 1988.
82. შეიდწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები, V-Xკლ. თბ., 1944.
83. ჩიქოვანი მ. ა. წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, თბ., 1958.
84. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975.
85. ჩიქოვანი მ. ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1986.
86. ჩიქოვანი მ. ხალხური სიტყვიერება, საშუალო სკოლის VIII კლასისათვის, 1938.
87. ჩიქოვანი მ. ხალხური სიტყვიერება, საშუალო სკოლის VIII კლასისათვის, 1939.
88. ცხრაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ტფ., 1925.
89. წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი, რჩ ნაწ. თბ., 1935.
90. წერეთელი ა. უბრალო საუბარი, „კრებულის ფოსტა“, [3], 1898, №8
91. წერეთელი ა. მოლიპულ გზაზე, ტ. XIII.
92. წერეთელი ა. თხზ. სრ. კრ. ტ. XIII, 1961.
93. წვერაგა ს, სიხარულიძე ი. მჭედლიძე ა. ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-6 ჯგუფის სამუშაო წიგნი, თბ., 1931.

94. ჭავჭავაძე ი. თხზ. სრ. კრ. ტ. II, 1941.
95. ჭელიძე გ. ვ. ბარნოვი ფოლკლორის სპეციფიკის შესახებ, თბ., 1980.
96. ხინთიბიძე ანტ. ქართული ხალხური და მეცნიერული პედაგოგიკის ურთიერთობის საკითხები (XIX საუკუნე), თბ., 1986.
97. ხინთიბიძე ანტ. აღზრდის იდეები ხალხურ შემოქმედებაში, 1963.
98. ხინთიბიძე ანტ. აღზრდის იდეები ხალხურ შემოქმედებაში, 1976.
100. ხინთიბიძე ანტ. ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების ისტორიისათვის რევოლ. ქართული ენისა და ლიტ. სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში, თელ. პედ. ინსტ. შრომები. ტ. III, 1959.
101. ხუროძე ვ., ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში, თბ., 1936.
102. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორის სათავეებთან, თბ., 1986.
103. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, თბ., 2004.
104. „აკაკის კრებული“, 1897, №1.
105. „აკაკის კრებული“, 1897, №2
106. „აკაკის კრებული“, 1898, №12.
107. „დროება“, 1872, №40.
108. „დროება“, 1876, №99
109. „დროება“, 1881, №141.
110. „დროება“, 1881, №142.
111. „დროება“, 1882, №86.
112. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №5.
113. „თემი“, 1913, №120.
114. „ივერია“, 1889, №74.
115. „ივერია“, 1889, №98.
116. „ივერია“, 1893, №83.
117. „ივერია“, 1894, №66.
118. „ივერია“, 1899, №43.
119. „ივერია“, 1900, №271.
120. „ივერია“, 1902, №196.
121. „ივერია“, 1904.
122. „კვალი“, 1893 №5.
123. „სკოლა და ცხოვრება“, 1984, №8.
124. „სკოლა და ცხოვრება“, 1990, №3.

125. Дидактика средней школы под редакцией М. Н. Статкина, Москва 1982.
126. Методика преподавания литературы под редакцией проф. З. Я. Рез, Москва, 1985.
127. Методика преподавания литературы в советской школе хрестоматия, Москва, 1969.
128. Кравцов, Лазутин, Русское устное народное творчество, Москва, 1983.
129. Новое обозрение, 1892 № 2825.

სარჩევი

შესავალი	-----	
თავი I		
ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა	-----	
თავი II		
ზეპირსიტყვიერების სწავლების ზოგადპედაგოგიკური იდეები	-----	
თავი III		
ზეპირსიტყვიერება სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში და მისი სწავლების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები	-----	
ზოგადი დასკვნები	-----	
ბამოყენებული ლიტერატურა	-----	41